ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 იანვარი **ხუთშაბათი** 2013 №018 (13 934) ფასი 80 თეთრი

# 9:0 მალტაში

↳4




## ფუტსალში მაინც ვყოჩაღობთ

### ჩვენები იწყებენ

გუშინ „ალანიამ“ „სალიუტთან“ 0:2 წააგო. „ალანიას“ რიგებში **მამუკა კობახიძემ, მამუკა ლონლაძემ** (პირველი ტაიმი) და **გიორგი ჭანტურიამ** (მე-2 ტაიმი). „კრილიაში“ კი პირველი ვარჯიში ჩაატარა **ალეკო ამისულაშვილმა.**


ამისულაშვილი კრილიაში

### ნუ გააბრაზებთ თოფიან კაცებს

„ნისლიან ალბიონზე“ ბოლო გამოტოვებული თამაშიც გაიმართა და ყველა გუნდს 23-23 მატჩი გაუხდა. **არსენ ვენგერის** „არსენალს“ ცუდი გაბრაზება ცოდნია, ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემი“ ბეჭებზე გააკრა, მას მერე, რაც **ჯეკ კოლისონმა** ცაციით მათი კარი აილო. პირველ ტაიმში **ლუკას პოდოლსკიმ** გაათანაბრა, მეორეში კი „არსენალმა“ ბლიცი მოაწყო, რომლის დროსაც განსაკუთრებით ფრანგი **ოლივიე ჟირუ** (დუბლი) გამოირჩა და 5:1 „მეთოფეთა“ სასარგებლოდ. „არსენალს“ 37 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა და იქნებ, არც ამჯერად დარჩეს ვენგერის კრებული უჩემპიონთალიგოდ...

### ჯიჯი შენაძენი

ფინალისკენ ნაბიჯი გადადგა „რომამ“, რომელმაც პირველ ნახევარფინალურ მატჩში 2:1 მოუგო „ინტერს“, თუმცა ეს არ არის ის უპირატესობა, რომლის ამოქაჩვაც სტრამაჩონის ბიჭებს არ შეუძლიათ. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. „იუვენტუსმა“ წინა დღით პირველ მატჩში „ლაციოსთან“ ნაიბორძიკა (მე-9 გვერდი), მაგრამ გუშინ 2015 წლამდე გაიფორმა **ჯიჯი ბუფონი,** ეს კი დიდი შენაძენია.

# გორგოძე TOP 15-ში
## ...და ევროსაუკეთესოობის შანსი




↳13

↳12

# ნამიც არ უნდა დაკარგო!

არავინ იცის, მომავალ სეზონში სად და როგორ ითამაშებ




# თორნიკე შენგელიას შეუძლია ცენტრის გარდა ყველა პოზიციაზე თამაში

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# დებიუტანტი დუეტის ფინალი

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მიმდინარე მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატში გუშინ ჩაერთო საქართველოს წარმომადგენელი დებიუტანტი წყვილი **ოთარ ჯაფარიძე/ანგელინა ტელეგინა.**

მათ მოკლე პროგრამაში 44.94 ქულა მოაგროვეს და მე-18 ადგილით ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ჯაფარიძე და ტელეგინა ფინალში, თავისუფალი პროგრამით 25 იანვარს გამოვლენ.

ვაჟა დანელია





↳16

# სერენას ჩოგანთან ერთად გულიც გაუტყდა

### არ წაუთაქოთ ბურთის მომწოდებელ ბიჭს

წუხელ უნდა გარკვეულიყო ინგლისის ლიგის თასის მეორე ფინალისტი (პირველი „ბრედფორდია“ და ამის შესახებ მე-8 გვერდზე წაიკითხავთ), „ჩელსიმ“ ვერც საპასუხო მატჩში მოუხერხა უელსურ „სუონსის“ ვერაფერი. მართალია, აღარ წააგო, მაგრამ 0:0 ითამაშა (**ედენ აზარიც** გაუძევეს, მან ბურთის მომწოდებელ ბავშვს წაუთაქა) და ფინალის საგზური დაუთმო **მიკაელ ლაუდრუპის** გუნდს. აი, რატომ სურს **რომან აბრამოვიჩს** რაც შეიძლება მალე **რაფა ბენიტესის** შემცვლელის პოვნა (ამის შესახებაც მე-8 გვერდზე წაიკითხავთ).

### ნუ გათვალავთ იკერს

წუხელ ესპანეთში „სამეფო თასის“ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა: **უნაი ემერი** კარგად ეწყობა „სევილიას“, მისმა გუნდმა 4:0 მოსრა „სარაგოსა“ (**ალვარო ნეგრედომ** დუბლი შეასრულა) და ნახევარფინალში მეტოქეს ელის. „რეალიც“ ნახევარფინალშია - ცხრა კაცით (**ფაბიო კოენტრაო** და **ანხელ დი მარია** გააძევეს) 1:1 ეთამაშა „მესტალიაზე“ „ვალენსიას“, „ღამურებს“ შურისძიება არ გამოუვიდათ. სათასო შეხვედრებში ხშირად ყოჩაღობს **ქარიმ ბენზემა** და ფრანგს ტრადიცია არც ახლა დაურღვევია.




აი, **იკერ კასილიასის** საქმე ვერაა კარგად - ის ისევ **ანტონიო ადანმა** შეცვალა. ბოლო დროს კაპიტანს სულ თავისიანები ერჩიან: **ჟოზესგან** ესტაფეტა **ალვარო არბელოამ** გადაიბარა, რომელმაც კუთხურისას იკერს ხელი ისე დაუზიანა, რომ მეკარემ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

### აფრიკელი პლატინი

ამასობაში აფრიკის თასი მძიმედ შედის „ფორმაში“. ჩვენ წუხანდელ მატჩს გამოვყოფთ, უფრო ზუსტად მაროკო-კაბო ვერდეს (1:1) შეხვედრის ერთ-ერთ გოლის ავტორს... **ლუიშ პლატინის.** აფრიკას თავისი პლატინი ჰყოლია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17



გიორგი დევდარიანის ნაკრები გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება

# ქართველები დღეს ფინალისთვის იბრძოლებენ

## ჩვენს ნაკრებთან ერთად, ბელარუსსაც უნდა ვუქომაგოთ

22.01. მინსკი, საფეხბურთო მანეჟი

**ბელარუსი – საქართველო 0:2 (0:1)**

გოლები: 0:1 კერძევაძე (20), 0:2 ზარანდია (75)

ბელარუსი: შერბიცკი, კოსტიუშკინი, ლეშკო, პავლოვეცი, შიბუნი, ვალინეცი, ბურალკინი (55. კიიკო), კოსტიუჩიკი (78. ტარაკანოვი), დედოვეცი (13. ბოგუში), სოროკინი, შევჩენკო

მწვრთნელი: ვ. გონჩარენკო

საქართველო: გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე (71. გოროზია), თევზაძე, მალანია, ხარაიშვილი, კერძევაძე, რუხაძე (55. ჩაბრაძე), ზარანდია, კანდელაკი (47. რ. ჭანტურია)

მწვრთნელი: გ. დევდარიანი

გაფრთხილება: რუხაძე, გელაშვილი, მალანია, კოსტიუშკინი

*26-ე წუთზე მალანიამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (ააცილა)*

გუშინ გაცნობეთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურში მასპინძელი ბელარუსი 2:0 დაამარცხა. დროის სიმცირის გამო ამ მატჩის მიმოხილვა ვერ შემოგთავაზეთ, ამიტომაც მოედანზე განვითარებული მოვლენების შესახებ დღეს გიამბობთ. თავიდან კი იმას აღვნიშნავთ, რომ ქართველმა 17-წლამდელებმა ბელარუს თანატოლებს შარშანდელ ტურნირზეც აჯობეს.

ეს შეხვედრა ჩვენმა გუნდმა გაცილებით უკეთ ჩაატარა, ვიდრე პირველ ტურში ბელგიასთან. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, ქართველებმა ბელარუსები უპირველესად ბურთის ფლობით დაჯაბნეს.

გარკვეული ცვლილებები იყო **გიორგი დევდარიანის** გუნდის სასტარტო შემადგენლობაშიც და ტაქტიკაშიც. როგორც მოედანზე განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ამ სიახლეებმა გაამართლა და საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხმაც მოიმატა.

მაღალ დონეზე ჩაატარა მატჩი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამწესებულმა **ილია კერძევაძემ**, ახალ ამპლუაში, მარჯვენა მცველად კარგად წარმოაჩინა თავი **გიორგი თევზაძემ**, მეტოქის მცველებს ტრადიციულად დიდ უსიამოვნებებს უქმნიდა **ლუკა ზარანდია**, უკეთ გამოიყურებოდნენ ცენტრალური მცველები, **ტაბიძე** და **მარგველაშვილი**, კარგი შთაბეჭდილება დატოვა შეცვლაზე შესულმა **რომან ჭანტურიამ**...

მთელი შეხვედრის განმავლობაში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, ასე რომ, წინა მატჩისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრების მეკარე **ოთო გოშაძეს** საქმე არ ჰქონია. სამაგიეროდ, იგი საგოლე გადაცემის ავტორი გახდა. მეორე გოლი ზარანდიამ სწორედ მისი გამოზომილი პასით გაიტანა.

პირველი გოლი კი ბელარუსთა საჯარიმოში შექმნილ არეულობას მოჰყვა, რითაც კერძევაძემ ისარგებლა. ხუთ წუთში კი **მალანიამ** თერთმეტმეტრიანი არაზუსტად დაარტყა. აქვე დავამატებთ, რომ კერძევაძემ და ზარანდიამ ერთი-მეორეზე ეფექტური გოლები გაიტანეს...

როგორც ნამატჩევს გიორგი დევდარიანმა აღნიშნა, მან რამდენიმე პრობლემურ პოზიციაზე ახალი ფეხბურთელი აღმოაჩინა.

გუშინ მინსკის ტურნირზე დასვენების დღე იყო და დევდარიანმა გუნდი მსუბუქად ავარჯიშა. დღეს გაირკვევა, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრები ფინალში გასვლას. თბილისის დროით 16 საათსა და 40 წუთზე საქართველო-ლიტვა იწყება. ფინალში გასასვლელად ბალტიელთა სოლიდური სხვაობით დამარცხება და ბელარუსის ბელგიასთან გამარჯვება გვჭირდება.

ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობასაც შეგახსენებთ:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. ლიტვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |



დინამო

# მარცხი პირველ სპარინგში და პოტენციური ახალწვეულები

**დინამო–შახტიორი 0:1**

"დინამო" პირველ ტაიმში: **ლორია, შაშიაშვილი, გველესიანი, მალანია, მენდი, კოტო, ძარია, ალვარო, მერებაშვილი, დვალი, შინდაგორიძე**

"დინამო" მეორე ტაიმში: **ზარქუა, ტვილდიანი, ხიზანეიშვილი, რადოვანოვიჩი, რეხვიაშვილი, კვეკვესკირი, ხმალაძე, ჯილაური, გლიშიჩი, ხოჭოლავა, ტატანაშვილი.**

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" პირველი საკონტროლო მატჩი ყარაღანდის "შახტიორთან" გამართა და 0:1 დამარცხდა. გამარჯვების გოლი ყაზახებმა 85-ე წუთზე გაიტანეს.

"დინამოს" ვებგვერდის ცნობით, სათამაშო უპირატესობას ქართველები ფლობდნენ, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლეს. პირველი ტაიმის მიწურულს "შახტიორის" მცველმა ბურთს კარისკენ მიმავალი გზა ხელით გადაუღობა, მაგრამ მსაჯს თერთმეტმეტრიანი არ დაუნიშნავს.

მეორე ტაიმში "დინამო" მოედანზე სრულიად განსხვავებული თერთმეტეულით გავიდა, თამაში კი უფრო დინამიკური გახდა. ანგარიშის გახსნის კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან **ჯაბა ჯილაურმა** და **გიორგი რეხვიაშვილმა**, ხოლო თბილისელთა კარი ერთხელ მეკარე **თორნიკე ზარქუამ** იხსნა.

სხვადასხვა მიზეზის გამო, გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ **ჩისკოს, გიორგი სეთურიძეს, გივი კვარაცხელიას, ნიკა დიასამიძეს, ლევან ტყეშელაშვილსა** და **გიორგი პაპავას**.

"დინამოს" შემადგენლობაში სამ ახალ გვარსაც აღმოაჩენდით. სამივე მათგანი სინჯებზეა.

სენეგალელი მცველი **ემანუელ მენდი** 20 წლისაა და 2009-დან 2012 წლამდე ინგლისური "ლივერპულის" სარეზერვო გუნდში ასპარეზობდა, სადაც 35 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

მცველია 18 წლის სერბი **ალექსანდრ რადოვანოვიჩიც**, რომელიც ბოლოს სამშობლოში, "მაჩვა საბაჩში" გამოდიოდა და მისი ღირსება 30-ზე მეტ შეხვედრაში დაიცვა.

ასევე უკანახაზელია 21 წლის **დიეგო მალანია**, რომელმაც ბოლო სამი სეზონი რუსეთის მეორე ლიგის "ზნამია ტრუდაში" გაატარა, რომლის მაისურითაც 75 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.



ზესტაფონი

# იელიჩს კონტრაქტი გაუფორმეს

"ზესტაფონმა" სერბ საყრდენ **იგორ იელიჩს** ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. სეზონის პირველ ნახევარში მან სამწვრთნელო შტაბზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ახალი ხელშეკრულებაც დაიმსახურა. 23 წლის იელიჩმა ფეროელთა მაისურით 11 მატჩი ჩაატარა და გუნდის ზეექვსეულში მოხვედრაში საკმაო წვლილიც შეიტანა. განსაკუთრებით გამოსარჩევია 2012 წლის 15 დეკემბერს გატანილი გამარჯვების გოლი ბოლნისის "სიონის" კარში, რამაც "ზესტაფონის" ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონის ბანაკიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ მარტვილის "მერანს" დაუბრუნდა **საბა ლომია**. 22 წლის თავდამსხმელმა სეზონის პირველი ნახევარი მარტვილელთა რიგებში იჯარით გაატარა და უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირებში გაერია – 22 მატჩში თავი 13-ჯერ გამოიჩინა. ლომია "ზესტაფონის" საკუთრებაა და მისი "მერანში" დაბრუნება ფეროელებში რამდენიმედღიანი ვარჯიშის შემდეგ გადაწყდა.

"ზესტაფონის" შემადგენლობაში წვრთნას განაგრძობენ სინჯებზე მყოფი ლეგიონერები – სერბი მცველი **სლავკო ჩულიბრკი**, ალჟირელი თავდამსხმელი **მოჰამედ რეკრუკი**, კამერუნელი ნახევარმცველი **ოლივიე მუსიმა ებონგე** და ბრაზილიელი შუახაზელი **ვიტორ როსინი და კუნია**. ხვალ "ზესტაფონი" საკონტროლო მატჩში ბათუმის "დინამოს" შეხვდება და შესაძლოა, მათი ნაწილის ბედი სწორედ ამ შეხვედრამ გაარკვიოს. რომელი უცხოელებიც "ზესტაფონის" თავკაც **კახა კაჭარავას** მოეწონება, მათ თურქულ შეკრებაზეც იახლებს.

ფეროელებში ისინჯება ასევე 20 წლის თავდამსხმელი **ბექა მუმლაძე**, რომელიც თბილისის "დინამოს" აღზრდილია.

23 წლის კოტდივუარელი ფორვარდი **ბოტი გოა დემელი**, რომელიც სავიზო პრობლემების გამო საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, "ზესტაფონს" დღე-დღეზე შეუერთდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



იგორ იელიჩი

ფოტო: www.fczestafoni.ge

სამზადისი

# ტორპედო მარბელას რაპიდით იწყებს

## ქუთაისელები ესპანეთამდე ტრანსფერებს აღარ გეგმავენ

ქუთაისის "ტორპედო" საგაზაფხულო ეტაპისთვის საკუთარ ბაზაზე ემზადება. მოთამაშეები "გამოსაფხიზლებელი" ვარჯიშებიდან სრულ დატვირთვებზე გადავიდნენ. "ტორპედო" ქუთაისში 2 კვირა ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებს.

გუშინ ვწერდით, რომ ქუთაისელები მეორე საკონტროლო შეხვედრას (პირველი "სამტრედიასთან" წააგეს - 0:2) 26 იანვარს "გაგრასთან" ასევე საკუთარ მოედანზე გამართავდნენ. მაგრამ ტორპედოელთა გეგმები შეიცვალა: 26 იანვარს გუნდი ამხანაგურად ითამაშებს, მაგრამ ერთდროულად ორ მეტოქესთან: 13 საათზე რეგიონული ლიგის თერჯოლის "საპოვნელას" დაუპირისპირდება, ხოლო 15 საათსა და 30 წუთზე პირველლიგელ ქობულეთის "შუქურას". სავარაუდოდ, ორივე მატჩი ქუთაისელთა სალორიას ბაზაზე ჩატარდება.

### მარბელას თასი პლუს 2 საკონტროლო

1 თებერვალს შეკრების მეორე ნაწილის გასავლელად გუნდი ესპანეთში გაემგზავრება და „მარბელას თასზე" ითამაშებს. გუნდი ქალაქ ესტეპონაში სასტუმრო "ესტეპონა პალასში" დაბინავდება, რომელიც კლუბის წამოყენებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კლუბის აღმასრულებელი დირექტორის, **გიორგი პაპიაშვილის** თქმით, უკვე ცნობილი გახდა, რომ "მარბელას" ტურნირს "ტორპედო" პოლონურ კლუბთან შეხვედრით გახსნის: "ტრადიციულად, "მარბელას" თასზე საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. ამ ტურნირში თამაში ბევრ გუნდს სურს, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილზე არ არის დამოკიდებული. ესპანელები კი საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი არიან და ბოლო წლებში ჩვენს გუნდებს იწვევენ. კენჭისყრა უკვე გაიმართება და "ტორპედოს" პირველი მეტოქის ვინაობა შევიტყვეთ. 4 თებერვალს რუმინულ კლუბს, ბუქარესტის "რაპიდს" შევხვდებით, შემდეგი მეტოქე კი ჯერ უცნობია, რადგან "მარბელას თასი" ოლიმპიური სისტემით ტარდება, თასისთვის ბრძოლას მოგებულები აგრძელებენ, მაგრამ დამარცხებულებიც თამაშობენ და ურთიერთობებს ერთმანეთში არკვევენ. თუმცა, ვიცით, რომ შემდეგი მატჩები 7 და 10 თებერვალს გვექნება. გულშემატკივრებს ჩვენი შეხვედრების პირდაპირ ეთერში ნახვა შეეძლებათ, რადგან ამის შესახებ ტურნირის ორგანიზატორებმა ერთ-ერთ რუმინულ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმეს, "ტორპედოს" ვებ-გვერდი კი ინტერნეტ-რეპორტაჟებს გეგმავს. ამას გარდა, მარბელაში 13 და 16 თებერვალს კიდევ ორი საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას ვგეგმავთ".

"მარბელას თასის" წყვილები და განრიგი ასე გამოიყურება:

**A წყვილი**

"დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) – "ლეხი"(პოლონეთი)



ნიკა საბანაძე ისევ „ტორპედოში" გააგრძელებს კარიერას

**B წყვილი**

"ტორპედო" – "რაპიდი"(რუმინეთი)

**C წყვილი**

"დინამო" (კიევი, უკრაინა) – "ოცელული" (რუმინეთი)

**D წყვილი**

"ლუდოგორეცი" (ბულგარეთი) – "ატლეტიკო პარანენსე" (ბრაზილია)

**1/2 ფინალი:**

A წყვილის გამარჯვებული - B წყვილის გამარჯვებული

C წყვილის გამარჯვებული - D წყვილის გამარჯვებული

**ფინალი**

### საკადრო პლუს-მინუსები

ტრავმის გამო, გუნდს ესპანეთში **ლაშა შერგელაშვილი** დააკლდება – სავარაუდოდ, ამ ნიჭიერ ახალგაზრდა მცველს სამკურნალოდ კიდევ რამდენიმე კვირა დასჭირდება. ინდივიდუალურად ვარჯიშობს **გიორგი დათუნაიშვილი**, რომელიც პირველი წრის ბოლოს სერიოზულად დაშავდა. გიორგი ესპანეთში გაემგზავრება, თუმცა სრულად ვერ დაიტვირთება.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ორმხრივი შეთანხმებით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატმა **გივი იოსელიანმა** "ტორპედოსთან" კონტრაქტი გაწყვიტა. მიზეზად სათამაშო პრაქტიკის უქონლობა დასახელდა – მიმდინარე სეზონში 22 წლის ნიჭიერ ფლანგის მცველს "ტორპედოს" მაისურა ერთხელაც არ მოურგია. როგორც შევიტყვეთ, იოსელიანს, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაუტარებია, საინტერესო მიწვევები აქვს.

თუმცა, პაპიაშვილმა "ლელოს" განსხვავებული ინფორმაცია გაუმხილა: "იოსელიანს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ჩვენ არ გაგვიწყვეტია. გვესმის, რომ წასვლაზე ფიქრობს და მეტი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. ჩვენი მიზანი არც არის, კარიერაში ხელი შევუშალოთ. იმედია, ორივესთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მივიღებთ".

გუნდში რჩება თავდამსხმელი **ნიკა საბანაძე**, რომლის ტრანსფერზეც ბევრი იწერებოდა.

"საბანაძემ ზამთარში "ტორპედოსთან" ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, მის ტრანსფერზე მოლაპარაკებას გამოვრიცხავ და საერთოდაც, დიდი სურვილი გვაქვს, რომ გუნდის განვითარებისა და წინსვლის მონაწილე იყოს" – ამბობს პაპიაშვილი.

"ტორპედომ" ცენტრალური მცველები, **ბიძინა ცინცაძე** და **გიორგი ონიანი** დაიმატა. პაპიაშვილი ამბობს, რომ ესპანეთამდე სიახლეები მოსალოდნელი არ არის: "ამ ეტაპზე მხოლოდ ამ ორი ტრანსფერით შემოვიფარგლებით. აქტიურ ფაზაში მოლაპარაკება არც ერთ მოთამაშესთან არ გვაქვს და ესპანეთში გუნდი დღევანდელი შემადგენლობით გაემგზავრება. მაგრამ არ გამოვრიცხავ, შემდეგ ვინმე დავიმატოთ. მარბელაზე გამოჩნდება, გაძლიერება რომელ პოზიციაზე გვჭირდება ".

ქუთაისელები ევროპის ლიგის წინა შესარჩევ ეტაპზე სტადიონზე დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებას აპირებენ. მარტში ქუთაისში უეფას წარმომადგენლებს ელოდებიან, რომლებიც არენის ინსპექტირებას გეგმავენ. "ტორპედოს" მიზანია, ქუთაისის ცენტრალურმა სტადიონმა რაც შეიძლება მაღალი კატეგორია მიიღოს და ევროპის ლიგაში გასვლის შემთხვევაში, მხოლოდ მშობლიურ არენაზე ითამაშოს.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ლაშა დვალი ლატვიის ვიზას ელის



ლაშა დვალი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შარშან დიდ წარმატებას მიაღწი და ამ გუნდის ბევრი მოთამაშე სხვადასხვა კლუბის სელექციონერთა ინტერესს იწვევს. ბევრი ახალ კლუბში უკვე დაბინავდა, ბევრიც უკეთესის მოლოდინშია.

"ლელოს" მკითხველისთვის ცნობილია, რომ ამ ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, აწ უკვე 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **ლაშა დვალი** კარიერას რიგის "სკონტოში" გააგრძელებს. ტანმაღალი მცველის მიერ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი და ოქტომბერში, უკვე 19-წლამდელთა ნაკრებში თამაში კარგი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა. 17 წლის მცველით სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" და კიევის "დინამო" დაინტერესდნენ, გასინჯვებზე ორივე კლუბში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ საბოლოოდ, ინგლისის პრემიერლიგის „რედინგში" აღმოჩნდა.

თუმცა, „რედინგი" არასრულწლოვანს, 17 წლის არაევროკავშირელ ქართველს ხელშეკრულებას ვერ გაუფორმებდა და როგორც ლაშამ გვითხრა, რიგის "სკონტოში" სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სწორედ ინგლისელებმა გაუშვეს. ჯერ ლატვიელებთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ იმედოვნებდა, რომ "სკონტო" სავიზო საკითხებს მოუგვარებდა და იანვრის დასაწყისში რიგაში ჩავიდოდა. იქ კი გარკვეული პერიოდი ითამაშებდა, იცხოვრებდა და ლატვიის მოქალაქეობას მიიღებდა, ინგლისში თამაშის უფლება რომ მიეღო - ეს ნაბიჯიც ინგლისელებთან შეათანხმა.

"ლელო" დაინტერესდა, შეუერთდა თუ არა ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ახალგაზრდა ქართველი მცველი.

" რიგის "სკონტომ" შეკრება თებერვლის შუა რიცხვებში თურქეთში დაგეგმა და წესით, გუნდს უნდა გავყვე. მაგრამ ჯერ ზუსტად ვერ ვამბობ, რიგელებთან ვარჯიშს როდის დავიწყებ. ახლა ისევ თბილისში ვარ. ლატვიის საელჩოში მითხრეს, რომ ვიზაზე პასუხი 1 თებერვალს მეტყვიან და იმედია, 2 თებერვალს რიგაში გავემგზავრები" – ამბობს დვალი.

ბოლო 3 წელია, ლაშა **გუბაზ დოლიძის** გუნდში ვარჯიშობდა, რომელიც ახლა საჩხერის „ჩიხურას" დუბლების სახელით გამოდის. მაგრამ 17 წლის მცველს კონტრაქტი არც ერთ კლუბთან არ აკავშირებს. ფორმის შესანარჩუნებლად სწორედ დოლიძესთან ემზადება: "როდესაც გავიგე, რომ "სკონტოში" უნდა წავსულიყავი, სერიოზული მომზადება დავიწყე. ახალ წელს ბაკურიანში შევხვდი და იქიდან ჩამოსულმა მხოლოდ ერთი დღე დავისვენე. ვარჯიში 3 იანვარს განვაახლე და მას მერე, ერთი დღეც არ გამიცდენია. ახლა საჩხერეს "ჩიხურას" დუბლებთან ერთად ვემზადები და ამხანაგურ თამაშებსაც ვატარებ" - ამბობს ლაშა დვალი.

22 დეკემბერს, რიგის "სკონტოს" აქციონერთა საბჭომ მთავარ მწვრთნელად **თამაზ პერტია** დანიშნა - 38 წლის ქართველმა სპეციალისტმა კარიერა 2009 წელს დაუგავპილსის "დინაბურგში" დაიწყო, 2011 წელს ჯერ დაუგავპილსის "დაუგავაში" მუშაობდა, მაგრამ გუნდი 2011 წლის ივლისში დატოვა და რიგის „ოლიმპსი" ჩაიბარა. ეს უკანასკნელი "სკონტოს" ფარმ-კლუბია. მალე სწორედ რიგელთა სპორტულ დირექტორად დანიშნეს და ბავშვთა ჯგუფების კურატორობა ჩააბარეს – პერტია ბოლოს "სკონტო 2"-ს წვრთნიდა.

"სკონტო" ქვეყნის ჩემპიონი ბოლოს 2010 წელს გახდა. არადა, კლუბის მიზანი ყოველთვის ოქროს მედლების მოპოვება იყო. სწორედ ამ იმედს უკავშირებენ პერტიას, რომელიც ლატვიელმა გულშემატკივრებმა 2010 წლის სეზონში საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელებად დაასახელეს, ხოლო 2011 წელს - ვირსლიგის (უმაღლესი ლიგის) საუკეთესო დამრიგებლად.

"თამაზ პერტია დეკემბერში დანიშნეს, რაც კლუბში ჩარიცხვის შემდეგ გავიგე. ჩემი ტრანსფერი კი ნოემბერში გადაწყდა. რა თქმა უნდა, ქართველ მწვრთნელთან მუშაობის პერსპექტივამ გამახარა. სხვათა შორის, "სკონტოში" კიდევ 2 ქართველი ითამაშებს, გიორგი გიორგაძე და ლევანი ჭაჭიაშვილი. მათ კარგად ვიცნობ, ორივე თავდამსხმელია. მე და გიორგაძე კი "საბურთალოში" 6 წლიდან ერთად ვთამაშობდით. გიორგი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზეც იყო, მაგრამ ელიტ რაუნდზე აღარ უთამაშია" – გვითხრა დვალმა.

**მერაბ მამულაშვილი**

მერანი

# საბა ლომია მერანში ბრუნდება

"ლელო" უკვე წერდა მარტვილის "მერანში" მიმდინარე ცვლილებებისა და **საბა ლომიასთან** დაკავშირებით შექმნილი გაუგებრობის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი "ზესტაფონის" საკუთრებაა და "მერანში" იჯარის წესით არის განათხოვრებული. მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში მერანელთა მაისურით ლომიამ 13 გოლის გატანა შეძლო, რამაც ერთიორად გაზარდა ინტერესი მის მიმართ. შედეგად: ზამთრის შესვენებაზე ზემოიმერლებმა ფორვარდი თავისთან მიიწვიეს, ლომიამაც სამედიცინო შემოწმება და სამვრთნელი პროცესის გარკვეული პერიოდი ძველ გუნდთან ერთად გაატარა. ითამაშა ცხინვალის "სპარტაკთან" ამხანაგურ შეხვედრაშიც. მოკლედ, ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ საბა ლომიას ზესტაფონელები ვერ შეელეოდნენ. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: მოქმედმა ჩემპიონებმა ამ ეტაპზე მასთან თანამშრომლობაზე უარი თქვეს და ფეხბურთელი ისევ "მერანში" დაბრუნდა.

ჩვენ **საბა ლომიას** დავუკავშირდით, რომელმაც ასეთი კომენტარი გააკეთა: "არც მწვრთნელთან და არც ხელმძღვანელობასთან საუბარი არ მქონია. ტელეფონით დამიკავშირდა დირექტორი და მარტვილში დაბრუნების შესახებ შემატყობინა. "მერანზე" კარგის მეტი, რა მეთქმის? გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, რაც, რასაკვირველია, მწვრთნელისა და ფეხბურთელების დამსახურებაა. მალხაზ ჟვანია მენდობა და მეც ყველანაირად ვეცდები მწვრთნელს იმედი გავუმართლო.

აღნიშნული ინფორმაცია "მერანის" დირექტორთან **ელდარ ბაკურიასთანაც** გადავამოწმეთ: " საბა ლომია წლის ბოლომდე ჩვენთან ითამაშებს. ნამდვილად არ ვიცი, რატომ არ დაიტოვა "ზესტაფონმა", თუმცა მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მხრიდან ფეხბურთელისთვის არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი გუნდი, სამწვრთნელო შტაბი, კმაყოფილია საბა ლომიას თამაშით და გაგვიხარდება თუ სეზონის დასრულების შემდეგაც ჩვენთან დარჩება."

ბაკურიას მარტვილის ცენტრალურ სტადიონთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ჩავეკითხეთ: "სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თითქმის უწყვეტად მიმდინარეობს. ჩვენი ფინანსებიდან გამომდინარე, მოედნის საფარის გამოცვლა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. უახლოეს მომავალში მოწესრიგდება საექიმო და საპრესკონფერენციო ოთახები. სხვა მხრივ კი, გუნდს არანაირი პრობლემა არ აქვს. იმედია, გაზაფხულიდან ყველა მატჩს მარტვილში, საკუთარ არენაზე გავმართავთ."

**ბესიკ გვაზავა**


DINAMO TBILISI 1925

## დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას !

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100ლარს.

**დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი**

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ეროვნული

ინტერვიუ

# ნუკრი კაკილაშვილი რვა ოპერაციის შემდეგ:
# ჩემს წინაშე დანაშაული ჩაიდინეს

## ფეხბურთში არაფერს გამაკარეს

ამ ცოტა ხნის წინათ ნუკრი კაკილაშვილი ისე მძიმედ იყო, რომ სიკვდილს ძლივს გადაურჩა...

კაკილაშვილი 1981 წლის თბილისის "დინამოს" ფეხბურთელია, დიუსელდორფის ფინალის ერთ-ერთი გმირი. ვიტალი დარასელიას გამარჯვების გოლში კაკილაშვილმა არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა, მეტოქე მცველი დაბლოკა და დარასელიას საგოლე დარტყმაში ხელი შეუწყო.

ფეხბურთელობის შემდეგ კაკილაშვილი ისევ ფეხბურთში საქმიანობდა, იყო თბილისის "დინამოს" დირექტორატის წევრი, ეროვნული სტადიონის დირექტორი...

ვისაც კაკილაშვილის ფეხბურთელობა არ ახსოვს, მათთვის ვიტყვი, რომ ის იყო რბილი მანერით მოთამაშე შემტევი შუახაზელი, აზრიანი და ტექნიკური...

ნაავადმყოფარ კაკილაშვილს ჯერ მოძრაობა უჭირს და შინ ვესტუმრეთ ინტერვიუსთვის. მას ბევრი საინტერესო ისტორიის მოყოლა შეუძლია, თუმცა ავადმყოფობის დროს იმდენი გადაიტანა, რომ დიდი ხნით არ შეგვიწუხებია...

**- პირველ რიგში, ჯანმრთელობაზე გკითხავთ. გულშემატკივრისთვის უინტერესო ვერ იქნება ნუკრი კაკილაშვილის ამბავი...**

- ჩემი ახლანდელი მდგომარეობა იმასთან რა მოსატანია, რა დღეშიც ვიყავი ჩავარდნილი. თავს ახლა ჯერაც სუსტად ვგრძნობ, ფეხის კუნთები ტონუსშია მოსაყვანი. ნაღვლის ბუშტში კენჭები მქონდა და შეტევა მომივიდა, სასწრაფო გამოვიძახეთ და საავადმყოფოში გადამიყვანეს. ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ ამის შემდეგ მდგომარეობა დამძიმდა. ინგოროყვას კლინიკაში ვინექი და შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემ წინაშე დანაშაული ჩაიდინეს. ერთი დღეც რომ დამეგვიანებინა, აღარაფერი მეშველებოდა.

**- და რა მოხდა ამ ყველაფრის შემდეგ?**

- შოთა არველაძის დახმარებით თურქეთიდან თვითმფრინავი გამომიგზავნეს და სტამბულში, ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში გადამიყვანეს. ჯერ რეანიმაციაში მიმიყვანეს, მერე კი პალატაში გადამიყვანეს და ოპერაცია გამიკეთეს, ეს ჩემთვის უკვე მე-8 ოპერაცია იყო, პირველი შვიდი ოპერაცია თბილისში გამიკეთეს და ხომ წარმოგიდგენიათ, ამდენი ოპერაციის შემდეგ რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

**- ბოლო დროს ფეხბურთში აღარ ჩანდით. სხვა სფეროში საქმიანობდით?**

- წინა ხელისუფლების დროს ოპოზიციაში ვიყავი და ფეხბურთში არაფერს გამაკარეს, ამიტომაც არ ვჩანდი. როგორც კი გამოვკეთდები, ისევ ფეხბურთში ვაპირებ დაბრუნებას. ზუსტად არ ვიცი, თუ კონკრეტულად რას გავაკეთებ, ქართულ ფეხბურთში ალბათ ჩემთვისაც მოიძებნება საქმე, მანამდე კი უნდა მოვმჯობინდე, რასაც დაახლოებით თვე-ნახევარი დასჭირდება.

**- ეროვნული სტადიონის დირექტორი რომ იყავით, მერე ისევ ფეხბურთში გააგრძელეთ გზა...**

- სტადიონის დირექტორი რომ ვიყავი, ცუდად მომექცნენ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში გამიშვეს. ალბათ გახსოვთ, რაც მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ არჩევნებში, რომელშიც უმცროსი ნოდარ ახალკაცი და გია ნემსაძე მონაწილეობდნენ. არჩევნებზე თბილისის ფეხბურთის ფედერაციისგან დელეგატი მე ვიყავი და მხარი ნემსაძის კანდიდატურას დავუჭირე. ამის გამო თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდანაც გამიშვეს, პრეზიდენტად კი ზაზა ბეგაშვილი მოიყვანეს, რომელიც თბილისის საკრებულოს თავჯდომარე გახლდათ. აი, ასე იყო საქმე...

**- რამდენიმე თვის წინ აქტუალური გახდა თბილისის "დინამოს" თემა - კლუბის ძველი დამფუძნებლები საკუთარი ინტერესების დაცვას აპირებდნენ, "დინამოს" ძველ დირექტორატში თქვენც იყავით...**

- გვსურს, რომ კვლავ დავუბრუნდეთ ამ თემას. ჩხუბი და დაპირისპირება არავისთან არ გვინდა, უბრალოდ ვაპირებთ, რომ "დინამოს" ახლანდელ ხელმძღვანელობას დაველაპარაკოთ.

**- "დინამოს" ამბებზე ბევრია მითქმა-მოთქმა. ზოგი მიიჩნევს, რომ საქმეს კარგად ვერ უძღვებოდით, კლუბს შეღავათები ჰქონდა დაწესებული კომერციული საქმიანობისთვის და ამას "დინამოს" ხელმძღვანელობა არაკეთილსინდისიერად იყენებდაო...**

- ყველანაირი საბუთები წესრიგში გვაქვს, სწორედ ამ შეღავათის წყალობით ვინახავდით გუნდს. ძალიან ბევრი რამ მოგვიგონეს. შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს კახა თარგამაძეს მთავრობის სხდომაზე კახი ასათიანმა მიაყენა შეურაცხყოფა, როგორც ჩანს, თარგამაძემ ეს გულში ჩაიხვია, მერაბ ჟორდანია ხომ კახი ასათიანის სიძე იყო და თარგამაძეც გადაგვეკიდა...

**- მოდით, 1981 წლის 13 მაისი ერთხელაც გავიხსენოთ. შეცვლაზე რომ შედიოდით, რა დავალება მოგცათ ნოდარ ახალკაცმა?**

- ვაგებდით და ახალკაცმაც მაშინ დამიძახა, მითხრა, სვანაძე ფლანგზე პასიურად გამოიყურება, შენ კი აქტიურად უნდა ჩაერთო თამაშშიო. ამას რომ მეუბნებოდა, გუცაევმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის.

**- ის ეპიზოდიც გავიხსენოთ, დარასელიას რომ დაეხმარეთ გოლის გატანაში...**

- ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, მეტოქის დაბლოკვის გადაწყვეტილება მეათედ წამში მივიღე.

**- თამაშის შემდეგ ახალკაცმა რა გითხრათ?**

- განსაკუთრებული არაფერი. მატჩის შემდეგ მე და გუცაევი დოპინგ-კონტროლზე გაგვიყვანეს, ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომ ორი საათი ვერ მოვშარდეთ სადოპინგო ტესტისთვის და ამის გამო დავაგვიანეთ მატჩისშემდგომ ბანკეტზე.

**- დიუსელდორფის ერთ-ერთი გმირი რომ გახდით, ოცი წლის იყავით. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ნოდარ ახალკაცს ახალგაზრდა ფეხბურთელებისადმი? რა მიმართულებით მუშაობდა ის "დინამოს" ახალგაზრდებთან?**

- ახალკაცი მართლაც ძალიან კარგი მწვრთნელი იყო, ახალგაზრდებთან კი, ცოტა არ იყოს, მძიმე ურთიერთობა ჰქონდა, სულ წნეხის ქვეშ ვყავდით. ვარჯიში, მერე ტრენაჟორი და შტანგა, კედელთან მუშაობა ტექნიკაზე... ახალკაცი მუყაითი კაცი იყო, ფაქტობრივად ბაზაზე ცხოვრობდა, ანდრო ჟორდანიას ბაძავდა ყველაფერში. ახალგაზრდებს ფეხბურთის გარდა დროს არაფრისთვის არ გვიტოვებდა. მაშინ ეს ჩვენ არ მოგვწონდა, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან ახალკაცი ალბათ სწორად აკეთებდა ყველაფერს.

**- ნუკრი კაკილაშვილისგან გულშემატკივარი გაცილებით მეტს ელოდა...**

- ახალკაცმა არ გამამწესა იმ პოზიციაზე, სადაც ბავშვობიდან ვთამაშობდი - უკანდახეულ შემტევად, მერე



პლეიმეიკერი რომ დაარქვეს. საქმე იმაშია, რომ სვანაძის შემდეგ მაშინდელ "დინამოში" ტესტი გამძლეობაზე ყველაზე კარგი მე მქონდა და მწვრთნელმაც ალბათ მაგიტომ ჩათვალა საჭიროდ კაკილაშვილის ფლანგზე გამწესება, მაგრამ როცა პოზიციას გიცვლიან, საკუთარ თამაშს კარგავ.

**- ახლა რას ხედავთ საინტერესოს ქართულ ფეხბურთში? ამ კითხვას ჩვენი ეროვნული ნაკრების თამაშებიდან გამომდინარეც გისვამთ.**

- საინტერესოს ჯერ ვერაფერს ვერ ვხედავ. 60-იან წლებში დაბადებულებით კარგი თაობა წამოვიდა ქართულ ფეხბურთში, მერე იყო 70-იან წლებში დაბადებულთა თაობა: ჯამარაული, არველაძე, ქინქლაძე... ახლა კი ასეთ პლეადას ვერ ვხედავ, თუ თაობა არ წამოვიდა, მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

# მალტა გავანადგურეთ




**მალტა-საქართველო 0:9**

**პაოლო. სპორტული ცენტრი "ჰიბერნიანს პავილიონ".**

გოლები: 0:1 მაისია (7), 0:2 კობაიძე (13), 0:3 შელეგია (18), 0:4 ბობოხიძე (19), 0:5 კობაიძე (30), 0:6 სოზაშვილი (32), 0:7 ჯაფარიძე (36), 0:8 ლუკავა (38), 0:9 ლუკავა (39).

მალტა: კასარი - მუსუ, მილიიცი, ბარტოლო, კოუპი - გრეკი, მანიონი, სამუტი, შირიხა, დელრე, შებერასი, ველა, ქსავიერ სალიბა, ბრინკატი.

მწვრთნელი: ევინ მიფსუდი.

საქართველო: ჯამბურია (კაპ) – კაკაბაძე, კობაიძე, ჯაფარიძე, ბობოხიძე – გაბუჩია (მეკარე), ჭანუყვაძე, შელეგია, ალთუნაშვილი, ასათიანი, მაისია, სოზაშვილი, ლუკავა, სებისკვერაძე

მწვრთნელი: ავთანდილ ასათიანი

გაფრთხილება: სოზაშვილი (8), დელრე (37).

არბიტრები: ს. ვასიჩი (სერბეთი), მ. ბირკეტი (ინგლისი)

გუშინ, 23 იანვარს მალტაზე ფუტსალში ევროშესარჩევის პირველი შეხვედრა გაიმართა. პაოლაში "ჰიბერნიანსის" დარბაზში საქართველოს ნაკრები მალტას დაუპირისპირდა და მოწასთან გაასწორა.

მასპინძელთა განადგურებას სათავე **კახა მაისაიამ** დაუდო, რომელმაც მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა - 0:1. ამის შემდეგ თავი გამოიჩინეს **ლევან კობაიძემ, ირაკლი შელეგიამ** და **დავით ბობოხიძემ**, საქართველომ კი პირველი ტაიმი 4:0 მოიგო.

მეორე ტაიმში ქართველებმა სულ აიწყვიტეს. **ავთანდილ ასათიანისა და ბესიკ არველაძის** გაწვრთნილებმა მასპინძლებს გაკვეთილი ჩაუტარეს. კობაიძემ და **ზურაб ლუკავამ** დუბლი შეასრულეს, თავი გამოიჩინეს **გიორგი სოზაშვილმა** და **თემურ ჯაფარიძემ** (დუბლით) და მასპინძლები გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს - 0:9.

■ ■ ■

დღეს, 24 იანვარს საქართველო მოლდოვას შეხვდება და თუ გაიმარჯვებს, ჯგუფის გამარჯვებული გახდება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის "დ" ჯგუფში ბულგარეთმა შინ სომხეთს ვერაფერი მოუხერხა - 0:0. სომხეთის ნაკრების კაპიტანი "იბერია სტარის" მეკარე **ერიკ აკოფოვი** იყო, რომელმაც მასპინძლებთან 9 სეივი გააკეთა და თავისიანებს მოულოდნელი ქულა მოუპოვა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 9-0 | 3 |
| 2. მოლდოვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 3. მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-9 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი



ირაკლი ქობალია

# შეკრება ანთალიაში და ნასულების გრძელი სია

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება "ზუგდიდმა" გუშინ დაიწყო. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ჯერჯერობით, ადგილზე ვარჯიშობს, თუმცა დასკვნით შეკრებას "ზუგდიდი", სავარაუდოდ, ანთალიაში გამართავს. თურქეთის ზღვისპირეთში გუნდმა გეგმის მიხედვით, 10-დან 22 თებერვლამდე უნდა დაჰყოს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ზუგდიდელები ჩემპიონატის ზედა ექვსეულში სტატისტის როლში ყოფნას არ აპირებენ. "ზუგდიდი" საქართველოს თასის მერვედფინალშიც არის გასული, სადაც ბოლნისის "სიონს" დაუპირისპირდება.

რაც შეეხება საკადრო საკითხებს, ამ მხრივ გარკვეული სიახლეები უკვე არის. მართალია, უმთავრესად, მხოლოდ "ზუგდიდიდან" წასული ფეხბურთელების ვინაობაა ცნობილი, მაგრამ კლუბის მესვეურები ამბობენ, რომ მალე ახალწვეულებსაც წარადგენენ. ორი ახალი ფეხბურთელის ვინაობა კი უკვე ცნობილია – ესენი არიან **ნიკა ხუხია** და **ილია გამრეკლიძე**, რომლებიც ახლო წარსულში ზუგდიდის "ბაიას" ღირსებას იცავდნენ.

კარიერას "ზესტაფონში" გააგრძელებს "ზუგდიდის" ერთ-ერთი ლიდერი, 22 წლის **ლევან კუტალია**, ბათუმის "დინამოს" მიაშურა 31 წლის გამოცდილმა **ალექსანდრე კოშკაძემ**, მეორე გამოცდილმა ნახევარმცველმა, 32 წლის **დავით ბოლქვაძემ** საჩხერის "ჩიხურას" სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, ხოლო 28 წლის **დაჩი ფოფხაძე** ბოლნისის "სიონში" გადავიდა.

ჯერჯერობით, გაურკვეველია 20 წლის **ირაკლი ქობალიას** საკითხი – უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ თავდამსხმელს კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელების იმედი ჯერ არ დაუკარგავს, გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, 20 წლის **ზვიად სიხარულია** კი, სეზონს, სავარაუდოდ, "ზუგდიდში" ჩაამთავრებს.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "ზუგდიდის" ახალ დირექტორად **მალხაზ ჭეჟია** დაინიშნა, რომელთან ინტერვიუც "ლელომ" უკვე შემოგთავაზათ. კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებსა და პერსონალს ძველი დავალიანებები უკვე სრულად გაუსტუმრა.

*"გუნდის ძირითადი ბირთვი ადგილობრივი რესურსებით არის დაკომპლექტებული. კლუბი ისევ რჩება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ახლად დანიშნული გამგებლის, ედიშერ თოლორაიასგან უდიდესი მხარდაჭერა გვაქვს და ვფიქრობთ, რომ კარგად მომზადების შემთხვევაში დღეს არსებული რესურსითაც "ზუგდიდი" ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. სეზონის მეორე ნახევარს ოპტიმისტურად ვხვდებით"*, - ამბობს ელგუჯა ქომეთიანი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# ბუფონმა კონტრაქტი გაახანგრძლივა



მიუხედავად იმისა, რომ 34 წლის **ჯანლუიჯი ბუფონის** "იუვენტუსიდან" წასვლა პრაქტიკულად წარმოუდგენელია, ტურინელ გულშემატკივრებს მაინც ანერვიულებდათ ის ფაქტი, რომ ჯიჯი კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ჩქარობდა. ამ საკითხსაც მოება თავი და როგორც "გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, ბუფონმა უკვე მოაწერა ხელი ახალ ხელშეკრულებას, რომელიც 2015 წლამდეა გათვლილი. ამას თვით კიპერი ადასტურებს:

"ბედნიერი ვარ, რომ კონტრაქტი გავახანგრძლივე. კლუბის მესვეურებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, თანაგუნდელებთან კიდევ უკეთესი და ვერ ვხვდები, რატომ უნდა ვიფიქრო წასვლაზე... კარიერას "ვეკია სენიორაში" დავამთავრებ, ალ ბათ ასე იქნება. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ეს ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში, შემოთავაზება არ მიმიღია, მაგრამ რომც მიმეღო, აუცილებლად უარს ვიტყოდი".

ჯანლუიჯი ბუფონი "იუვენტუსში" 2001 წლიდან ასპარეზობს და მთელი ამ დროის განმავლობაში, ის გუნდის ნომერ პირველი კიპერია. ამ დროისთვის, ტურინული გრანდის მაისურით 342 მატჩი აქვს ჩატარებული და როგორც ვხედავთ, კიდევ ბევრის ჩატარებას აპირებს. "ვეკია სენიორასთან" ერთად, ჯიჯიმ სამჯერ მოიგო სერია A და ამდენჯერვე იტალიის სუპერთასი. 2002/03 წლების სეზონში, ბუფონი და მისი "იუვე" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ, თუმცა იქ კიდევ ერთ იტალიურ გუნდთან, "მილანთან" დამარცხდნენ.

**ლაშა წიკლაური**

მანჩესტერ იუნაიტედი

# კიდევ ერთხელ დე ხეაზე

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი კაპიტანი, 39 წლის **გარი ნევილი** აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მშობლიური სამყაროსგან შორს არ გამდგარა. მან Daily Mail-ში საკუთარი სვეტის წერა დაიწყო საფეხბურთო თემატიკაზე. 2012 წლიდან ის ინგლისის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შევიდა, თუმცა კალამი ხელიდან მაინც არ გაუგდია. გარი ყოველთვის ითვლებოდა ინტელექტუალ პიროვნებად. შესაბამისად, მისმა ნაწერებმა პოპულარობა მალევე მოიხვეჭა. უკანასკნელი აქტუალური თემა, რომელიც გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის, "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **დავიდ დე ხეა** და მისი არადამაჯერებელი თამაშია. 22 წლის გოლკიპერი კვირას "ტოტენჰემთან" შეხვედრის უკანასკნელ წუთზე კიდევ ერთხელ შეცდა უხეშად, რაც მის გუნდს 2 ქულის დაკარგვად დაუჯდა. ამ ამბავს ნევილი ასე გამოეხმაურა: "მას უბრალოდ არ ჰქონდა უფლება, მსგავსი შეცდომა დაეშვა. ამ ეპიზოდის გამო "იუნაიტედმა" ქულები დაკარგა. დავიდს ბურთი ან საჯარიმოს გარეთ უნდა გაეტანა, ან კიდევ ხელში აეღო. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ გუნდის კარის დარაჯზე, ვისაც პრემიერლიგის ჩემპიონობის პრეტენზია აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მან უკვე გააანალიზა თავისი შეცდომა. დე ხეას ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებს იმისთვის, რომ პიტერ შმაიხელისა და ედვინ ვან დერ სარის დონეს მიუახლოვდეს. მინდა ვუპასუხო მათ, ვინც ფიქრობს, რომ ესპანელს უბრალოდ არ გაუმართლა. მეკარის საქმეში იოლი საერთოდ არაფერია. რატომ ვლაპარაკობთ გამართლებაზე? „ოლდ ტრეფორდზე" 20 წელი გავატარე და ერთხელაც არავისგან მომისმენია ამით თავის მართლება. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე "ვასკო და გამასთან" ჩემს თამაშს კარგს დავარქმევდი, რომ არა ის 20 წამი როცა "არ გამიმართლა" (ნევილის ორ შეცდომას "იუნაიტედის" კარში ამდენივე გოლი მოჰყვა. რედ). მიაქციეთ ყურადღება, დემპსის გოლის შემდეგ როგორ უყურებდნენ თანაგუნდელს დენი უელბეკი და ნემანია ვიდიჩი? მიუხედავად ამისა, დე ხეას მაინც კარგ მეკარედ მივიჩნევ. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და პროგრესისთვის წინ დიდი დრო აქვს".

კრიტიკოსების გარდა დე ხეას დამცველებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის "იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელები. მაგალითად **მაიკლ ოუენი** და **როი კეროლი**. უკანასკნელმა ყველაზე უკეთ იცის, თუ რას ნიშნავს "ოლდ ტრეფორდის" რისხვის დამსახურება. ის 2001/05 წლებში თამაშობდა "ეშმაკების" რიგებში. მართალია, ძირითად მეკარედ არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ როცა თამაშობდა, მაშინაც ახერხებდა ისეთი შეცდომების დაშვებას, რომელსაც მერე ფანები დიდხანს ვერ პატიობდნენ. აი, რას ამბობს ის: "ხანდახან დე ხეა გულწრფელად მეცოდება, რადგან ის "იუნაიტედში" ვილაცების მხრიდან სათანადო მხარდაჭერას მოკლებულია. ნამდვილად არ ვგულისხმობ ფერგიუსონს. დავიდი კარგი მეკარეა. მას დამატებით სირთულეს ის უქმნის, რომ სეზონის განმავლობაში მცველები ხშირად ტრავმიანობენ". დე ხეას გამხნევება სცადა ოუენმაც: "ტოტენჰემთან" "იუნაიტედის" ყველა ფეხბურთელი ცდებოდა, მათ შორის დავიდიც, მაგრამ მასზე მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ ამდენს, რომ მეკარის ჩავარდნა ყველაზე მეტად ჩანს".

**ლევან ბიბილაშვილი**



გარი ნევილი დავიდ დე ხეას აკრიტიკებს

ჰამბურგი

# ჰამბურგი ბრუმას ტრანსფერზე მუშაობს

გერმანული "ჰამბურგის" 21 წლის ცენტრალური მცველი **ჯეფრი ბრუმა** აცხადებს, რომ HSV "ჩელსისგან" მის შეძენას ცდილობს. ჰოლანდიელი ჩრდილოგერმანულ კლუბში იჯარით 2011 წლის ზაფხულიდან თამაშობს. მართალია, ის ძირითადი შემადგენლობის უცვლელ ფეხბურთელად არ ითვლება, მაგრამ **ტორსტენ ფინკის** გუნდს ის მაინც სჭირდება. სხვა თუ არაფერი, "ჰამბურგს" "ნიურნბერგთან" შეხვედრაში **მაიკლ მანსიენი** გამოაკლდა. 25 წლის ინგლისელმა სტოპერმა კოჭი იტკინა და გუნდს 1,5 თვეზე მეტი ვერ დაეხმარება. "ძალიან დიდი მოთმინება მმართებს, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა დირექტორმა არაორაზროვნად განმიცხადეს, რომ მათ ვჭირდები. კლუბი ხანგრძლივ კონტრაქტსაც მთავაზობს. იმისთვის, რომ პროფესიული თვალსაზრისით გავიზარდო, რაც შეიძლება ბევრი თამაშია საჭირო. ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ, რომ ისეთი დიდი კლუბი, როგორიც "ჰამბურგია" ამხელა ნდობას მიცხადებს," – განუცხადა ფეხბურთელმა Hamburger Morgenpost-ს.



„ჰამბურგს" ჩელსისგან ჯეფრი ბრუმას კონტრაქტის გამოსყიდვა სურს

აქვე გეტყვით, რომ "ჰამბურგი" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე არაბეთის გაერთიანებული საამიროების კლუბ "ალ აინიდან" **აბდულრაჰმან ისა დანლადის** შეძენას გეგმავს. 21 წლის პლეიმეიკერს არაბული წყაროები უნიჭიერეს ფეხბურთელს უწოდებენ. HSV-ს გარდა მისი გადაბირებას "მანჩესტერ სიტიც" ფიქრობს. "ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ აბდულრაჰმანის თამაში. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ის ახლო აღმოსავლეთის უნიჭიერესი წარმომადგენელია. აბდულრაჰმანი კარგი დრიბლიორია, მშვენივრად ხედავს მოედანს და ფლობს დახვეწილ პასს. თუკი ის ამავე ტემპით განაგრძობს პროგრესს, წინ უდიდესი მომავალი ექნება," – აცხადებს "ჰამბურგის" სპორტული დიერქტორი ფრანკ არნესენი.

**ლევან ბიბილაშვილი**

აფრიკის თასი. სამხ.აფრიკა 2013. II ტური



მასპინძლები სიაბონგა სანგვენიმ დააწინაურა

# პირველი გოლები

**სამხრეთ აფრიკა-ანგოლა 2:0**

გოლები: 1:0 სანგვენი (30), 2:0 მაჯორო (62).

**მაროკო-კაბო ვერდე 1:1**

გოლები: 0:1 პლატინი (36), 1:1 ელ არაბი (78).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამ. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. მაროკო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 3. კაბო ვერდე | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ანგოლა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

პირველი გოლები გავიდა A ჯგუფში, სადაც ტურნირის მასპინძლელი თამაშობს. სამხრეთ აფრიკელებმა, რომლებმაც პირველ ტურში კაბო ვერდეს ვერ მოუგეს, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ანგოლის ნაკრებთან მოიპოვეს. "ბაფანა ბაფანა" დიდ უპირატესობას ფლობდა და გაცილებით დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო.

ანგარიში 30-ე წუთზე გაიხსნა: მასპინძელთა მცველი **სიაბონგა სანგვენი**, სტანდარტულის დროს შეტევაში წავიდა და მეტოქის საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ყველაზე უკეთ გაერკვა – 1:0. მეორე გოლი ცვლილებაზე შემოსულმა "კაიზერ ჩიფსის" ორმა ფეხბურთელმა შექმნა – **რენეილვე ლეტშოლონიანემ** ბურთი **ლეჰლოჰონოლო მაჯოროს** გადააწოდა, რომელმაც ანგოლელ მცველებს თავბრუ დაახვია და საბოლოოდ, მეკარე **ლამას** ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა. მატჩის ბოლო წუთებზე მაჯოროს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ფორვარდს ოდნავ არ გაუმართლა.

სტუმართა მხრიდან ყველაზე აქტიური **მანუჩო** იყო, მაგრამ "ვალიადოლიდის" ფორვარდს პარტნიორები სათანადოდ ვერ ეხმარებოდნენ. საბოლოოდ, 2:0 და სამხრეთ აფრიკამ პირველი გამარჯვება მოიპოვა. იმის გათვალისწინებით, რომ ტურნირის მასპინძელი ბოლო ტურში ძლიერ მაროკოს ნაკრებს ხვდება, ეს სამი ქულა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**ტატო ბაციკაძე**

ბაიერნი

# პეპს ეს ბიჭები მოსწონს

## წაიყვანს გვარდიოლა მიუნხენში ინიგო მარტინესს, იკერ მუნიანს და ისკოს?

„დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელები ზაფხულში ხოსეპ გვარდიოლას 2-3 კარგ ფეხბურთელს უყიდიან," - თქვა ამას წინათ მიუნხენური გრანდის ყოფილმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** და იქვე დასძინა, „ბაიერნს" გაძლიერება პირველ რიგში დაცვაში სჭირდებაო.

ცნობილია, რომ გვარდიოლას დიდი ხანია მოსწონს სამი ახალგაზრდა ესპანელი ფეხბურთელი, რომელთაგან არც ერთი არ თამაშობს „ბარსელონაში". პეპს თავის დროზე ძალიან უნდოდა სან სებასტიანის „რეალ სოსიედადის" მცველის, 21 წლის **ინიგო მარტინესის** კატალონიურ გრანდში გადაყვანა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა წინა ზაფხულში **ხავი მარტინესი** გადაიბირეს და თუ ინიგო მარტინესის ტრანსფერზეც სერიოზულად იმუშავებენ, დიდი შანსია, რომ პეპს მისთვის სასურველი მცველი მიუნხენში მიჰგვარონ.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გვარდიოლას „ბაიერნისთვის" „მალაგას" 20 წლის შემტევი ნახევარმცველი **ისკოც** ძალიან მოსწონს და ასევე, ბილბაოელი **იკერ მუნიანის** (20) გადაბირებაც უნდა.

**გოტფრიდ ლენცი**



ინიგო მარტინესი, იკერ მუნიაინი და ისკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები.

COPA BRIDGESTONE LIBERTADORES

# ლიბერტადორესი დაიწყო

**ტიგრე–დეპორტივო ანსოტეგი 2:1**

**გოლები:** 0:1 კაჯიანო (38), 1:1 პენიალბა (66), 2:1 ლეგისამონი (76).

**ლეონი–დეპორტეს იკიკე 1:1**

**გოლები:** 0:1 რ. დიასი (4), 1:1 მასი (88).

სამხრეთ ამერიკაში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ლიბერტადორესის თასის 54-ე გათამაშება დაიწყო. საკვალიფიკაციო ეტაპზე სულ 6 წყვილია, აქედან ორმა გუშინ ითამაშა. არგენტინაში „ტიგრე" ვენესუელურ „დეპორტივო ანსოტეგის" შეხვდა, ხოლო მექსიკურმა „ლეონმა" ჩილეს „დეპორტეს იკიკეს" უმასპინძლა.

2012 წლის კოპა სუდამერიკანას ფინალისტმა, რომელიც წყვილში ფავორიტად ითვლება, პირველი ტაიმი ცუდად ითამაშა და 0:1 წააგო. სტუმართა მხრიდან გოლი არგენტინელმა **ჯერემიას კაჯიანომ** გაიტანა. მასპინძლებმა მეორე ტაიმში გამოიღვიძეს. ანგარიში 66-ე წუთზე „ტიგრეს" ახალწვეულმა, „არხენტინოს ხუნიორსიდან" გადმოსულმა **გაბრიელ პენიალბამ** გაათანაბრა, გამარჯვების მომტანი გოლი კი ცვლილებაზე გამოსულმა **ლეანდრო ლეგისამონმა** გაიტანა. საპასუხო მატჩი, ვენესუელაში, 30 იანვარს გაიმართება.

„ლეონმა", რომელსაც (3 ტურის შემდეგ) მექსიკის ჩემპიონატში არც ერთი მოგება არ აქვს, ვერც ამჯერად იმარჯვა – მექსიკელებმა „დეპორტეს იკიკესთან" ანგარიში 88-ე წუთზე გაათანაბრეს. რა თქმა უნდა, წყვილში ფავორიტი უკვე ჩილეს წარმომადგენელია.

კოპა ლიბერტადორესის საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ ოთხი წყვილია: „ლდუ კიტო"-"გრემიო", „სან პაულო"-"ბოლივარი", „დეფენსორ სპორტინგი"-"ოლიმპია" და „დეპორტეს ტოლიმა"-"უნივერსიდად სესარ ვალიეხო". ამ მატჩების შესახებ, ხვალ და ზეგ ვისაუბრებთ.

● საფრანგეთის თასი. 1/16 ფინალი.

# სენსაციების გარეშე

**სედანი–ლორიანი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟიული (74).

**ეპინალი–ნანტი 1:1 პენ. 4:3**

**გოლები:** 1:0 კრილიონი (59), 1:1 ფ. ჯორჯევიჩი (90).

**ავენირი–ლე ავრი 0:3**

**გოლები:** 0:1 ბონეტი (80), 0:2 ბა (88), 0:3 მესლუბი (90-პენ).

**ფონტენაი–ტრუა 0:5**

**გოლები:** 0:1 მარკოსი (29), 0:2 ბეტიოლი (41), 0:3 ბაებეკი (83), 0:4 კამიუ (89), 0:5 კამიუ (90).

**ვერტუ–ევიანი 0:2**

**გოლები:** 0:1 ბერიგოდი (24), 0:2 ადნანი (90).

**რუენი-მარსელი გადაიდო**

საფრანგეთის თასის 1/16-ფინალი ხუთი მატჩით გაიხსნა, მეექვსე შეხვედრა, რომელშიც „რუენს" „მარსელისთვის" უნდა ემასპინძლა, 30 იანვრისთვის გადაიდო. ხუთი წყვილიდან ოთხში ფავორიტმა იმარჯვა – ერთადერთი მატჩი, სადაც მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა „ეპინალის" და „ნანტის" შეხვედრა იყო, თუმცა გავიხსენოთ, რომ „ეპინალმა" წინა ეტაპზე, გათამაშებას „ლიონი" გამოთიშა და მივხვდებით, რომ ამ გუნდის მიერ „ნანტის" დამარცხება სენსაციათა კატეგორიას არ განეკუთვნება. ლიგა 2-ის ერთ-ერთმა ლიდერმა ანგარიში ბოლო, 90-ე წუთზე გაათანაბრა, პენალტების სერიაში კი 3:4 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

იოლი გამარჯვებები მოიპოვეს „ტრუამ", „ლე ავრმა" და „ევიანმა" – ამ სამმა გუნდმა ჯამში 10:0 მოიგო. შედარებით გაუჭირდა „ლორიანს", მაგრამ **კრისტიან გურკუფის** შეგირდებს, „სედანის" სახით შედარებით სერიოზული მეტოქე ჰყავდათ. სტუმართა მწვრთნელმა რამდენიმე ლიდერი დაასვენა, გამარჯვების მომტანი გოლი კი ცვლილებაზე გამოსულმა ვეტერანმა, **ლუდოვიკ ჟიულიმ** გაიტანა. „ლორიანს" საკუთარ ისტორიაში ერთადერთი ტიტული, საფრანგეთის თასი აქვს მოგებული (2002 წელს). თუ ამ გუნდის კარგ ფორმას გავითვალისწინებთ (ყველა ტურნირზე, ბოლო 9 თამაშიდან: 7 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება), გამართლების შემთხვევაში, 11 წლის წინანდელი წარმატების გამეორების შანსი ნამდვილად არის.



ეპინალის ფეხბურთელები 1/8 ფინალში გასვლას ზეიმობენ

● კვირა ციფრებში

# ფორვარდების რეკორდები და ბევრი არაზუსტი დარტყმა

**ალესანდრო დელ პიეროს, ედინსონ კავანის და მაიკლ ოუენს გამორჩეული უქმეები ჰქონდათ. იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით აფრიკულ ნაკრებებზე, რომლებსაც კარში დარტყმაზე დამატებითი ვარჯიში სჭირდებათ...**

**150** – გოლი პრემიერლიგაში – **მაიკლ ოუენი** გახდა მეშვიდე ფეხბურთელი, ვინც ასეთ ნიშნულს მიაღწია. 33 წლის ფორვარდმა საიუბილეო გოლი „სუონსის" კარში ბოლო წუთზე გაიტანა, მისმა გუნდმა კი 1:3 წააგო. ამ გოლით, ოუენმა 18-თვიანი უგოლო სერია და ამავე დროს, „სტოკის" 282-წუთიანი მშრალი სერია დაასრულა.

სხვა ფეხბურთელები, ვინც პრემიერლიგაში 150 ან მეტი გოლი გაიტანეს, არიან: **ალან შირერი** (260 გოლი), **ენდი კოული** (187 გოლი), **ტიერი ანრი** (175 გოლი), **რობი ფაულერი** (162 გოლი), **ფრენკ ლამპარდი** (158 გოლი) და **უეინ რუნი** (151 გოლი).

**100** – გოლი სერია A-ში. **ედინსონ კავანიმ** მეასე გოლი იმ გუნდს გაუტანა, ვისთანაც, თავის დროზე, იტალიის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა. მაშინ, „პალერმოში" მოთამაშე ურუგვაელს, სერია A-ში დებიუტი 2007 წლის მარტში, „ფიორენტინას" წინააღმდეგ ჰქონდა და მოედანზე გამოსვლიდან 16 წუთში კავანიმ სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა.

ამ სეზონში, 25 წლის ურუგვაელის ანგარიშზე უკვე 17 გოლია და ის სამი ბურთით უსწრებს **ანტონიო დი ნატალეს** და **სტეფან ელ შაარავის.**

ბოლო სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი, ვინც სერია A-ს ბომბარდირი გახდა, **ერნან კრესპო** იყო, რომელმაც „კაპოკანონიერის" წოდება 2000/01 წლების სეზონში მოიპოვა. ბოლო ნეაპოლელი კი **დიეგო მარადონა** იყო, ვინც იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი 1987/88 წლების სეზონში გახდა.

**55** – დარტყმა გახდა საჭირო იმისთვის, რომ აფრიკელ ფეხბურთელებს, აფრიკის ერთა თასზე პირველი გოლი გაეტანათ. სამხრეთ აფრიკა-კაბო ვერდეს და ანგოლა-მაროკოს მატჩები უგოლოდ დასრულდა - ამ ორ შეხვედრაში ფეხბურთელებმა ჯამში 34 დარტყმა განახორციელეს. პირველი გოლი მეორე დღეს, განა-კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეხვედრაში **ემანუელ აგიემანგ-ბადუმ** გაიტანა – სანამ „უდინეზეს" ფეხბურთელი თავს გამოიჩენდა, ორივე გუნდის მოთამაშეებმა კარისკენ 21 დარტყმა შეასრულეს. ბადუს გოლის დროს, ტურნირის დაწყებიდან 220 წუთი იყო გასული.



უბერებელი ალესანდრო დელ პიერო

**20** – უპასუხო გოლი მეტოქის კარში – ირანის პლაჟის ფეხბურთის ნაკრებმა, აზიის ჩემპიონატზე ახალი რეკორდი დაამყარა და ფილიპინებს 20:0 მოუგო. ტურნირის წინა რეკორდი, 2006 წელს, იაპონიის და იმავე ფილიპინების შეხვედრაში დაფიქსირა - მაშინ იაპონელებმა 16:0 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ფილიპინების ნაკრებმა, პირველი სამი წუთის განმავლობაში კარი მშრალად შეინახა (სულ მატჩი 36 წუთი გრძელდება) და პირველი პერიოდი (სულ სამია) მხოლოდ 0:3 წააგო.

**4** – გოლი ერთ შეხვედრაში – **ალესანდრო დელ პიეროს** აქამდე პოკერი შესრულებული არ ჰქონდა. შაბათს, მისმა „სიდნეიმ" „ველინგტონ ფინიქსს" 7:1 მოუგო, ლეგენდარულმა იტალიელმა კი მეტოქის კარში 4 ბურთი გაიტანა. 38 წლის დელ პიერო გახდა მეოთხე ფეხბურთელი, ვინც ავსტრალიის ჩემპიონატში პოკერი შეასრულა. აქამდე, ერთ მატჩში ოთხი გოლი გატანილი **არჩი ტომპსონს, შეიმ შმელტცს** (ორჯერ) და **ბესარტ ბერიშას** ჰქონდათ.

ამ მოგების წყალობით, „სიდნეი", რომელიც გუნდში **ფრენკ ფარინას** მისვლამდე ჩემპიონატში ბოლო, მე-10 პოზიციას იკავებდა, მეშვიდე ადგილზე გადავიდა.

● არგენტინის ნაკრები

# საბელიას შემადგენლობა

არგენტინისნაკრები 6 თებერვალს, ამხანაგურ შეხვედრაში შვედეთს შეხვდება. **ალეხანდრო საბელიამ** ის ფეხბურთელები დაასახელა, ვინც ამ მატჩისთვის მოემზადება. კვლავ გამოძახებულია **ესეკილ ლავეცი**, რომელიც ბოლო ორ შეკრებაზე არ იყო. სამაგიეროდ, კვლავ არ არიან **ფაკუნდო რონკალია** და **გონსალო როდრიგესი** – „ფიორენტინას" დაცვის ხაზის ეს ორი ლიდერი შესანიშნავ სეზონს ატარებს და მათი იგნორირების მიზეზი გაუგებარია. ამ ყველაფრის შემდეგ, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ რონკალია იტალიის ნაკრებში თამაშზე ფიქრობს და **ჩეზარე პრანდელიც** მისი მიწვევით დაინტერესებულია.

კვლავ გამოძახებულნი არიან **ფაბიან რინაუდო** და **ფრანკო დი სანტო.** ასევე სიაშია „კრუზეიროდან" „სანტოსში" გადასული **ვალტერ მონტილიო,** რომელმაც საბელიას თავი ნოემბერში, ბრაზილიასთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მოაწონა.



**სრული სია ასეთია:**

**მეკარეები:** სერხიო რომერო (სამპდორია), მარიანო ანდუხარი (კატანია), კრისტიან ალვარესი (ესპანიოლი).

**მცველები:** უგო კამპანიარო (ნაპოლი), ფედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი), ფაბრისიო კოლოჩინი (ნიუკასლი), პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი), ესეკილ გარაი (ბენფიკა), კრისტიან ანსალდი (რუბინი).

**ნახევარმცველები:** ხავიერ მასკერანო (ბარსელონა), ფერნანდო გაგო (ვალენსია), ევერ ბანეგა (ვალენსია), ენცო პერესი (ბენფიკა), ანხელ დი მარია (რეალი), აუგუსტო ფერნანდესი (სელტა), ფაბიან რინაუდო (სპორტინგი), ვალტერ მონტილიო (სანტოსი).

**თავდამსხმელები:** სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ლიონელ მესი (ბარსელონა), გონსალო იგუაინი (რეალი), ფრანკო დი სანტო (უიგანი), ნიკოლას გაიტანი (ბენფიკა), ესეკილ ლავეცი (პარი სენ ჟერმენი).

● ტრანსფერი

# მოდუ სუგო მარსელში

**ლოიკ რემის** წასვლის შემდეგ, „მარსელს" შეტევის გაძლიერება სჭირდება და როგორც ფრანგი ჟურნალისტები იუწყებიან, პროვანსელები რუმინულ „კლუჟს" შეუთანხმდნენ და ამ გუნდის სენეგალელი ფორვარდი **მოდუ სუგო** 3 მილიონ ევროდ შეიძინეს.

28 წლის სუგუ „კლუჟის" ერთ-ერთი ლიდერი იყო და ამ გუნდის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა, როდესაც „ბაზელთან" საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და საკუთარ გუნდს გასვლაზე 2:1 მოაგებინა.

გარდა შევსებისა, „ოლიმპიკს" შესაძლოა დანაკლისიც ჰქონდეს. კერძოდ, გუნდიდან წასვლას **მორგან ამალფიტანო** აპირებს, რომელიც **ელი ბოპმა** ბოლო ორ შეხვედრაში ძირითადში არ დააყენა და მინდორზე რამდენიმე წუთით შეუშვა. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა ამალფიტანო გაანაწყენა და „ლორიანის" ყოფილ ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა მოუნდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● ლა ლიგა. ტრანსფერები



დანიელ პრანიჩი ვიგოში პრეზენტაციაზე

# დანიელ პრანიჩი: გალისიელთა მხსნელი?

## იანვარში ესპანურ გუნდს ფეხბურთელში მილიონზე მეტი ჯერ არ გადაუხდია

ესპანეთში ზამთრის სატრანსფერო სეზონი ძალიან მშვიდად მიმდინარეობს. ნორმალური, ყურადღების მისაქცევი ტრანსფერი სანთლით საძებნელია. გრანდები, „რეალი“ და „ბარსელონა“ ბაზარზე საერთოდ არ აქტიურობენ და არც აპირებენ, სხვები კი უმთავრესად ელიან. ყველაზე მეტად „მალაგა“ აქტიურობს, ანდალუსიური კლუბი ცდილობს ისტორიაში პირველ პლეი ოფს ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად შეხვდეს, „ჩელსიდან“ ბრაზილიელი **ლუკას პიაზონის**, ხოლო „პარი სენ-ჟერმენიდან“ **დიეგო ლუგანოს** დამატებაც ამის დასტურია. სამაგიეროდ, გუნდმა გაუშვა ზედმეტი ხალხი: **ხუანმი** და **რესიო**.

22 იანვარს მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა ვიგოს „სელტამ“, რომელიც ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, თან ისე, რომ გალისიურ კლუბს ევროც არ დაუხარჯია - ლისაბონის „სპორტინგიდან“ გამოცდილი ხორვატი მარცხენაფლანგელი **დანიელ პრანიჩი** იჯარით აიყვანა. ხელშეკრულება სეზონის ბოლომდეა გათვალისწინებული. ზაფხულში „სელტას“ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება აქვს.

*„ერთი წუთითაც არ მიფიქრია, როცა ეს წინადადება მივიღე - „სელტა“ ჩემი კარიერის გაგრძელების მისაღები ვარიანტია - ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში საუკეთესოა და იმედია, გუნდს ჩემი გამოცდილებით გამოვადგები ლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში“*, - განაცხადა პრეზენტაციაზე დანიელ პრანიჩმა.

პრანიჩი 31 წლისაა, ის 2005 წელს ზაგრების „დინამოდან“ ჰოლანდიურ „ჰეერენვეენში“ გადავიდა, საიდანაც 4 წლის შემდეგ გერმანიის რეკორდმაისტერში, მიუნხენის „ბაიერნში“ მოხვდა. ბუნდესლიგაში მან სულ 55 მატჩში მიიღო მონაწილეობა და შარშან ზაფხულში ლისაბონის „სპორტინგში“ გადაბარგდა. ხორვატიის ნაკრებში პრანიჩმა 45 მატჩი ითამაშა, სექტემბერში მან საერთაშორისო კარიერის დასრულება გამოაცხადა.

### რეკორდი ისევ როსისია

ბოლო დღეების სხვა ტრანსფერებიდან გამოვყოფთ „ხეტაფეს“ ილბლიან ვაჭრობას, მადრიდულმა კლუბმა 26 წლის არგენტინელი ცენტრალური მცველი **დავიდ აბრაამი** 4 მილიონ ევროდ გაყიდა ბუნდესლიგის „ჰოფენჰაიმში“. სულ რაღაც ნახევარი მილიონი ევრო დაუჯდა „გრანადას“ 32 წლის ფორვარდი **კარლოს არანდა**, რომელიც „სარაგოსაში“ თამაშობდა. არანდა „რეალის“ აღზრდილია, „გრანადაში“ კი ის 2007/08 წლების სეზონშიც თამაშობდა.

ესპანეთის ზამთრის სატრანსფერო სეზონის რეკორდად კი ჯერჯერობით ისევ **ჯუზეპე როსის** ტრანსფერი რჩება, რომელიც ლა ლიგის გუნდში არც კი ირიცხებოდა - სეგუნდა დივიზიონის „ვილიარეალმა“ იტალიის ნაკრების ფორვარდი „ფიორენტინას“ 9 მილიონ დოლარად მიჰყიდა. ესპანურ კლუბებს კი იანვარში მილიონზე მეტი არავისში გადაუხდიათ - ზუსტად მილიონად შეიძინა „სევილიამ“ ბოსნიელი **მიროსლავ სტევანოვიჩი** სერბული „ვოივოდინადან“.

**ლა ლიგა. უკანასკნელი ტრანსფერები**

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 15 იან. | როლან ლამა (ბელ) | ოსასუნა | სუონსი | იჯარა |
| 15 იან. | ხუანმი | მალაგა | რასინგი | იჯარა |
| 16 იან. | ლუკას პიაზონი (ბრ) | ჩელსი | მალაგა | იჯარა |
| 17 იან. | ხუან ალბინი (ურუ) | ესპანიოლი | ნასიონალი | იჯარა |
| 17 იან. | ხოელ რობლესი | ატლეტიკო | უიგანი | იჯარა |
| 18 იან. | კარლოს არანდა | სარაგოსა | გრანადა | 0,5 მლნ. ევრო |
| 18 იან. | მასიმო ვოლტა (იტა) | ლევანტე | სამპდორია | იჯ. დაიბრუნა |
| 18 იან. | გილერმო მოლინსი (შვ) | ანდერლეხტი | ბეტისი | იჯარა |
| 19 იან. | ხოსე ფერნანდესი | კორდობა | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 19 იან. | სალვადორ აგრა (პორ) | ბეტისი | სიენა | იჯარა |
| 21 იან. | ფრანსისკო სილვა (ჩილ) | უნივერსიდადი | ოსასუნა | |
| 21 იან. | დიეგო ლუგანო (ურუ) | პსჟ | მალაგა | იჯარა |
| 22 იან. | მანუელ არანა | ვალეკანო | უელვა | თავ. აგენტი |
| 22 იან. | დანიელ პრანიჩი (ხორ) | სპორტინგი | სელტა | იჯარა |
| 22 იან. | ჩეჩუ დორადო | ბეტისი | ვილიარეალი | თავ. აგენტი |
| 22 იან. | დავიდ აბრაამი (არგ) | ხეტაფე | ჰოფენჰაიმი | 4 მლნ. ევრო |

● ჰოლანდიის ნაკრები

# ვან გაალმა სნეიდერი და რობენი არ გამოიძახა



**ლუის ვან გაალმა** ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა იტალიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის. შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ **ვესლი სნეიდერი**, რომელიც ახლახან „ინტერიდან“ „გალათასარაიში“ გადავიდა და **არიენ რობენი**. ამით ვან გაალის უცნაურობები არ ამოიწურება, სიაში არ არიან **მაარტენ სტეკელენბურგი** (რომა) და **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ჰამბურგი).

ჰოლანდია-იტალია 6 თებერვალს გაიმართება ამსტერდამში

**ჰოლანდიის ნაკრები**

**მეკარეები:** *კენეტ ვერმეერი (აიაქსი), მიხელ ვორმი (სუონსი), ტიმ კრული (ნიუკასლი).*

**მცველები:** *დელეი ბლინდი (აიაქსი), ხალიდ ბულარუზი (სპორტინგი), დარილ იანმაატი (ფეიენოორდი), ბრუნო მარტინსი (ფეიენოორდი), იორის მატეისენი (ფეიენოორდი), რიკარდო ვან რინი (აიაქსი), სტეფან დე ვრი (ფეიენოორდი).*

**ნახევარმცველები:** *იორდი კლასი (ფეიენოორდი), ლეროი ფერი (ტვენტე), მარკო ვან ხინკელი (ვიტესი), იონათან დე გუზმანი (სუონსი), ადამ მაჰერი (ალკმაარი), კევინ სტროოტმანი (პსვ).*

**თავდამსხმელები:** *კლაას-იან ჰუნტელაარი (შალკე), დირკ კუიტი (ფენერბაჰჩე), ოლა იონი (ბენფიკა), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), იერმეინ ლენსი (პსვ), რუბენ სხალკენი (ფეიენოორდი), რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი).*

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუვე შეტევაში ესპანური სუპერდუეტის შექმნას აპირებს

ესპანური პრესა წერს, რომ „იუვენტუსის“ სამწვრთნელო შტაბი შეტევაში ესპანური დუეტის შექმნას აპირებს - უკვე დაბევებულ **ფერნანდო ლორენტეს** ტურინში, შეიძლება, **დავიდ ვილიაც** მიყვეს.

„ბებერი ქალბატონი“ უკვე გაურიგდა ბასკ ფორვარდს, 1 ივლისიდან 27 წლის ლორენტე „იუვეს“ ფორმას მოირგებს. იტალიელებს მისი ახლავე გადაბირებაც სურდათ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა მათ თვალი 31 წლის „ელ გუახეს“ დაადგეს. დღეისათვის, „იუვენტუსის“ ერთადერთი სუსტი რგოლი თავდასხმაა - ვილიას და ლორენტეს დუეტის შემთხვევაში კი სუსტი რგოლი შეიძლება საუკეთესოდაც იქცეს.

ალსანიშნავია, რომ ვილიას ყიდვა „იუვენტუსს“ ზაფხულშიც სურდა, თავად „ბარსას“ ფორვარდი გაურკვევლობაშია. კატალონიიდან წასვლა არ სურს, მაგრამ არც დღევანდელი სიტუაცია აკმაყოფილებს, როცა სათანადო სათამაშო პრაქტიკა არა აქვს. ესპანური პრესის ცნობით, ვილიამ უკვე უთხრა **ტიტო ვილანოვას**, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში „ბარსადან“ წასვლა გადაწყვიტა.

## სერ ალექსი ბარსას: გავცვალოთ მეკარეები!

მას მერე, რაც **ვიქტორ ვალდესმა** გამოაცხადა, რომ 2014 წლის მერე „ბარსელონადან“ წასვლა სურს, არ წყდება ხმები 31 წლის გოლკიპერის შესაძლო ტრანსფერების შესახებ. ახალი ცნობა ინგლისიდან მოვიდა - სერ **ალექს ფერგიუსონი** უკმაყოფილოა ესპანელი **დავიდ დე ხეას** თამაშით და მისი ჩანაცვლება თანამემამულე **ვიქტორ ვალდესით** გადაწყვიტა.

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, რომელიც „იუნაიტედთან“ დაახლოებული პირია, ზაფხულში „მანჩესტერი“ „ბარსელონას“ მეკარეების გაცვლას შესთავაზებს. შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს“ ყოფილი გოლკიპერი დე ხეა 22 წლისაა.



პიკე და შაკირა

## პიკემ და შაკირამ პაწს მილანი დაარქვეს

22 იანვარს, გვიან სალამოს ქვეყნიერებას „ბარსელონას“ ფეხბურთელის **ჟერარდ პიკეს** და კოლუმბიელი მომღერალის, **შაკირა მებარაკის** შვილი მოევლინა. მშობლებმა გადაწყვიტეს, ბავშვს მილანი დაარქვან და მას ორმაგი გვარი შეუნარჩუნონ - **მილან პიკე მებარაკი**. პატარა მილანი და მისი დედა თავს კარგად გრძნობენ. მილანის პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში (ბუნებრივია, არა დამოუკიდებელი) „ბარსელონას“ სოსიოსში გაწევრიანებაა. შეგახსენებთ, რომ პიკე 25 წლისაა, შაკირა კი - 35-ის.

## მონპელიე ადასტურებს, ინტერი უარყოფს

„მონპელიეს“ ოდიოზურმა პრეზიდენტმა **ლუი ნიკოლინმა** განაცხადა, რომ მიაღწია შეთანხმებას მილანის „ინტერთან“ მაროკოელი **იუნეს ბელჰანდას** ტრანსფერის შესახებ. იტალიელები ფრანგულ კლუბს აფრიკელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს გადაიხდიან. 22 წლის შემტევი, კრეატიული შუახაზელი თითქოს თურქეთში გადადიოდა, „ფენერბაჰჩეში“, მაგრამ ბოლოს ვითარება კარდინალურად მას მერე შეიცვალა, რაც „ინტერესმა“ დაინტერესება გამოთქვა.

ნიკოლინის თქმით, თურქები საჭირო ფინანსურ გარანტიებს ვერ იძლეოდნენ, რაც „ინტერის“ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს.

*„ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას 14 მილიონ ევროზე, „ფენერბაჰჩე“ 8 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებდა. ყოველ ფეხბურთელს თავისი ფასი აქვს და 8 მილიონი არ არის ბელჰანდას ნაღდი ფასი, ამიტომაც ჩვენ „ინტერი“ ვამჯობინეთ“.*

ამასობაში „ინტერის“ წარმომადგენელმა უარყო, რომ ეს ტრანსფერი უკვე განხორციელებულია. იუნეს ბელჰანდა „მონპელიეს“ საჩემპიონო კამპანიაში მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო. „ინტერს“ კი შუა ხაზში **ვესლი სნეიდერის** შემცვლელი ესაჭიროება.

## მანიუს ბაზიდან ბურთები მოიპარეს

„მანჩესტერ იუნაიტედი“ უცნაურ გამოძიებას აწარმოებს - კლუბის ბაზიდან დაიკარგა ბურთები... სულ 3,5 ათასი ევროს ღირებულების.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მორიგი ვარჯიშისთვის ემზადებოდა, მაგრამ მინდორზე გამოსულებს ბურთები მოპრული დახვდათ, „ნაიკ მაქსიმის“ რამდენიმე ბურთი. „ტრეფორდ ტრეინინგ სენტერი“ უზარმაზარი ბაზაა - 108 აკრი ტერიტორიით, 1,5 მილი სიგრძეში და გარშემო ხეებით შემოსაზღვრული. ბუნებრივია, ქურდების პოვნა ასეთ ვითარებაში რთულია, თუმცა „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ მაინც მოინდომა საქმის აღძვრა და ახლა გამოძიება მიმდინარეობს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგის თასი. 1/2-ფინალი



ბრედფორდის ფეხბურთელები ფინალში გასვლას ზეიმობენ

# დაცემული შოტლანდიელის არჩევანი

**ასტონ ვილა-ბრედფორდი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბენტეკე (24), 1:1 ჰენსონი (55), 2:1 ვაიმანი (89)

**ასტონ ვილა** (4-3-2-1): გივენი – ჯ. ბენეტი (70. ვაიმანი), კლარკი, ვლაარი, ლოუტონი – ბენანი (62. ბენტი), დელფი, აირლანდი – ნზოგბია – ბენტეკე, აგბონლაჰორი

**ბრედფორდი** (4-4-2): დიუკი – დარბი, მაკარდლი, მაკჰიუ, გუდი – დოილი, ჯონსი, ჰაინსი (71. ტომპსონი), ატკინსონი – ველსი (89. ტერგოტი), ჰენსონი

**გაფრთხილება:** კლარკი, ნზოგბია, დელფი

**კარში დარტყმა:** 8-7 (5-5) **კუთხური:** 10-6 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 15-11 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 40 193

პირველი მატჩი 1:3

მიმდინარე სეზონში „ვილა პარკზე" პრემიერლიგის შეხვედრებში დასწრება საშუალოდ 34 338-ს აღწევს, ლიგის თასის 1/2-ფინალური დაპირისპირების სანახავად კი 6 ათასი ადამიანით მეტი შეიკრიბა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, თუ რაოდენ პრესტიჟულია ამ ქვეყანაში სათასო შეჯიბრებები. ბირმინგემელებს შეეძლოთ ამ შეხვედრის დიდი ანგარიშით მოგება. მეტიც, ვალდებულნი იყვნენ, ფინალის საგზური მოეპოვებინათ, მაგრამ რანგით მე-4 ლიგის წარმომადგენელთან საჭირო ანგარიშით ვერ იმარჯვეს. **პოლ ლამბერტის** გუნდში საუკეთესო იყო **კრისტიან ბენტეკე**, ვინც ყველაფერი გაილო მიზნის მისაღწევად. 22 წლის ბელგიელმა ფორვარდმა ჯერ გოლი გაიტანა, მატჩის ბოლოს **ანდრეას ვაიმანს** საგოლე პასიც მიაწოდა, მაგრამ მისი მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა. მასპინძელთა დაცვა სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებისას **ჯეიმს ჰენსონს** ვერ გაუმკლავდა, რაც „ბრედფორდისთვის" სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ის 24 თებერვალს „უემბლიზე" ითამაშებს. მისი მეტოქე წუხელ „სუონსი"-"ჩელსის" შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო.

**მატჩის შემდეგ**

**ფილ პარკინსონი** (ბრედფორდი): *„ეს ბიჭები უკვე სამუდამოდ შევიდნენ კლუბის ისტორიაში. მათ წლების მერეც გაიხსენებენ იმის მიუხედავად, რომ ამის აღქმას ჯერ კიდევ ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებს. ეს გამარჯვება შესაძლოა, მთელი ქალაქის განვითარების წინაპირობა გახდეს. ადამიანები ხვალ სამსახურებში თავაწეულები წავლენ და იამაყებენ თავიანთი კლუბით. ჯერ კიდევ თამაშამდე ვცადე ფეხბურთელებისთვის იმის ახსნა, რომ ისტორიულ მომენტთან ახლოს ვიყავით, მაგრამ გარკვეული სათამაშო ელემენტებისთვის მეტი ყურადღება უნდა მიგვექცია. მეჩვენება, რომ მეორე ტაიმში მათ ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც დავავალე. „ბრეფორდის" ისტორიაში ეს უდიდესი დღეა".*

**პოლ ლამბერტი** (ასტონ ვილა): *„საერთოდ დაცლილი ვარ ემოციებისგან, იმედგაცრუებული და გულნატკენი გახლავართ. არ გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც ფეხბურთელებს გასახდელში ვუთხარი, რადგან ახლა ყველა ცუდად გრძნობს თავს. სამწუხაროა, მაგრამ კიდევ ერთი შანსი თასის ფინალში სათამაშოდ ჩემს ფეხბურთელებს შეიძლება მხოლოდ 10-12 წლის შემდეგლა მიეცეთ. ეს ეხებათ ახალგაზრდა მოთამაშეებსაც. ვაღიარებ ჩემს პასუხისმგებლობას იმის გამო, რაც დღეს მოხდა და გარწმუნებთ, რომ არანაკლებ ცუდად ვგრძნობ თავს, ვიდრე გულშემატკივარი. მე ჯერ კიდევ „ასტონ ვილას" მთავარი მწვრთნელი ვარ. ასეთ სიტუაციაში არსებობს ორი გ ზა: მივდივარ პოსტიდან ან ვაგრძელებ ბრძოლას. მე კი დანებებას რა საკვირველია, არ ვაპირებ".*

## პრემიერლიგა

**XIX ტურის გადატანილი მატჩი**

**არსენალი–ვესტ ჰემი 5:1**

**გოლები:** 0:1 კოლისონი (18), 1:1 პოდოლსკი (27), 2:1 ჟირუ (47), 3:1 კასორლა (53), 4:1 უოლკოტი (54), 5:1 ჟირუ (57)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – გიბსი, ვერმალენი (58. კოშელნი), მერტეზაკერი, სანია – უილშირი, რემსი – კასორლა, პოდოლსკი (70. ა. სანტოსი), უოლკოტი - ჟირუ (73. ოქსლეიდ-ჩემბერლენი)

**ვესტ ჰემი** (4-3-3): იასკელაინენი – დემელი, ტომკინსი, რიდი (62. ა. დიარა), ობრაიენი – ნოუბლი -ნოლანი, კოლისონი (62. პოტსი), მ. ტეილორი, ვას ტე (70. დიამე) - კ. კოული

**გაფრთხილება:** ვას ტე

**კარში დარტყმა:** 16-5 (10-3) **კუთხური:** 13-5 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 9-10 **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 60 081

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 23 | 18 | 2 | 3 | 57-30 | 56 |
| 2. სიტი | 23 | 15 | 6 | 2 | 45-19 | 51 |
| 3. ჩელსი | 23 | 13 | 6 | 4 | 47-22 | 45 |
| 4. ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 40-28 | 41 |
| 5. ევერტონი | 23 | 9 | 11 | 3 | 35-26 | 38 |
| 6. არსენალი | 23 | 10 | 7 | 6 | 46-27 | 37 |
| 7. ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 40-28 | 34 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 10 | 4 | 9 | 33-32 | 34 |
| 9. სუონსი | 23 | 8 | 9 | 6 | 34-27 | 33 |
| 10. სტოკ სიტი | 23 | 6 | 11 | 6 | 22-27 | 29 |
| 11. სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 27-31 | 28 |
| 12. ვესტ ჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 26-33 | 27 |
| 13. ნორვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-39 | 26 |
| 14. ფულჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 33-40 | 25 |
| 15. საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 30-40 | 23 |
| 16. ნიუკასლი | 23 | 5 | 6 | 12 | 28-41 | 21 |
| 17. ასტონ ვილა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-44 | 20 |
| 18. რედინგი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-43 | 19 |
| 19. უიგანი | 23 | 5 | 4 | 14 | 25-43 | 19 |
| 20. ქუინზ პარკი | 23 | 2 | 9 | 12 | 18-37 | 15 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 16 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი), 13 - მიგელ მიჩუ (სუონსი)

ამბები

## მიჩუს ახალი ხელშეკრულება

პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთმა ბომბარდირმა, 26 წლის ესპანელმა **მიგელ მიჩუმ** (მიგელ პერეს კუესტა) კუნძულზე წელს დიდი ხმაური გამოიწვია. „რაიო ვალეკანოდან" 2 მილიონ ფუნტად ნაყიდმა ფეხბურთელმა ყველა ტურნირში ერთად 28 თამაში ჩაატარა, 16 გოლი გაიტანა და 3 საგოლე გადაცემა შეასრულა. მისმა შედეგიანობამ ფინანსურად წელში გამართული კლუბები დააინტერესა. „გედების" თავკაცი **მიკაელ ლაუდრუპი** შიშობდა, რომ თავდამსხმელი უკეთესი პირობების საძებნელად არჩევანს რომელიმე მათგანზე გააკეთებდა, მაგრამ შეცდა. „სუონსის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელმა გუშინ უელსურ კლუბთან ახალი კონტრაქტი 2016 წლის ივლისამდე გააფორმა.

## იანგა-მბივას 5,5 წლიანდი

საფრანგეთის ნაკრებისა და ქვეყნის ჩემპიონ „მონპელიეს" ცენტრალური მცველის, 23 წლის **მაპუ იანგა-მბივას** „ნიუკასლში" გადასვლაზე პრესა პირველად გასულ უქმეებზე წერდა. ეს ამბავი გუშინ საბოლოოდ დადასტურდა. ფეხბურთელმა „კაჭკაჭებთან" 5,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მის რიგებში მე-13 ნომრით იასპარეზებს. გარიგების ფინანსური დეტალები ჩვენთვის უცნობია. *„ნიუკასლი" პრე-*



*მიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლუბია და ჩემთვის დიდი პატივია აქ თამაში. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მას მაქსიმალურად დავეხმარო კრიზისის დაძლევაში,"* – აცხადებს ფეხბურთელი. კვალიფიციური სტოპერის შეძენის შემდეგ შესაძლოა კიდევ უფრო აქტუალური გახდეს „კაჭკაჭების" კაპიტნის, არგენტინელი **ფაბრისიო კოლოჩინის** სამშობლოში დაბრუნების საკითხი. 31 წლის მცველს „სან ლორენსო" იწვევს.

როგორც ჩანს, ჩრდილოელები ახლოს არიან კიდევ ერთი ფრანგი ფეხბურთელის ტრანსფერთან. ლაპარაკია „ბორდოს" 26 წლის შემტევ **იოან გუფრანზე**. ყოველ შემთხვევაში სრული საფუძველი გვაქვს ეს ვამტკიცოთ, რადგან თავდამსხმელმა სოციალური ქსელებით ინფორმაცია თავად გაავრცელა.

## უიგანი სპარტაკს დაუკავშირდა

პრემიერლიგის აუტსაიდერ „უიგანის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო მარტინესი** მოსკოვის „სპარტაკიდან" ირლანდიელი განაპირა ნახევარმცველის, 26 წლის **ეიდენ მაკგიდის** იჯარით გადაყვანას გეგმავს. ფეხბურთელი „სპარტაკის" ძირითადში რეგულარულად ხვდება, თუკი ჯანმრთელობის პრობლემები არ აწუხებს. რამდენად მოინდომებს ის ინგლისის ჩემპიონატში დასარჩენად მებრძოლ გუნდში გადასვლას და დათანხმდება თუ არა „სპარტაკი" ამ წინადადებას, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

ჩელსი



რომან აბრამოვიჩი ლუჩანო სპალეტით კიდევ ერთხელ ინტერესდება

# რაფა ბენიტესის მემკვიდრის ძიებაში

**რაფა ბენიტესის** თქმით, „ჩელსის" მესაკუთრე **რომან აბრამოვიჩი** კმაყოფილია გუნდის ამჟამინდელი ფორმით. როგორც ჩანს, ესპანელს თავადაც მოსწონს ფეხბურთელების ბოლოდროინდელი მონდომება, რაც მას ოპტიმისტურად განაწყობს. *„უკანასკნელ თამაშებში ბევრი გოლი გაგვაქვს და შედარებით ცოტას ვუშვებთ. ფაქტია, რომ მაშინაც კი, როცა თამაშს ვაგებთ, ცუდად არ გამოვიყურებით. „ჩელსი" ახლა ცოტა განსხვავებულ ეტაპზეა. ფეხბურთელების ნაწილს ხელშეკრულება უმთავრდება, ზოგი კი გუნდის განუყოფელ ნაწილად თავს ჯერ კიდევ ვერ გრძნობს. ჩემი მიზანია, მაქსიმალური გამოვადნო იმ საშუალებებით, რაც ხელთ მაქვს,"* – აცხადებს 52 წლის სპეციალისტი. ბენიტესისთვის ფორმულირება „ამ ეტაპზე" მაქსიმუმ სეზონის ბოლომდე შეიძლება გაგრძელდეს. კლუბი მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს. ლონდონელთა მომავალი მთავარი მწვრთნელის თემაზე ბრიტანულის გარდა იტალიური, ესპანური და რუსული პრესაც წერს. მაგალითად, Corriere dello Sport-ისა და Yarpi-Jkyapeyy-ის ცნობით, აბრამოვიჩი ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატურად სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" იტალიელ თავკაც **ლუჩანო სპალეტის** მიიჩნევს. 53 წლის აპენინელს რუსულ კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლის ბოლოს უმთავრდება და „ჩელსის" ბოსს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება ამ საქმის მოსაგვარებლად. შეგახსენებთ, რომ ზაფხულზე, იქამდე, ვიდრე ლონდონელები **რობერტო დი მატეოს** 2-წლიან ხელშეკრულებას დაუდებდნენ, სპალეტის კანდიდატურა „ჩელსიში" მაშინაც განიხილებოდა, მაგრამ სენიორ ლუჩანომ შეთავაზებაზე მაშინ უარი თავად თქვა.

ჩვენი ესპანელი კოლეგები კი „სტემფორდ ბრიჯზე" **ჟოზე მოურინიოს** დაბრუნებას წინასწარმეტყველებენ. „ლელოს" მკითხველმა კარგად უწყის, თუ რა პრობლემების წინაშე დგას „განსაკუთრებული კაცი" მადრიდში. პორტუგალიელს სამეფო კლუბის ხელმძღვანელებსა და ვარსკვლავებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. ყოველივეს გამო უკვე დიდი ხანია იწერება, რომ მოურინიო „რეალს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს.

ტოტენჰემი

# ტოტენჰემის ამბიციური მიზნები

„ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ 2012 წლის 30 ივნისის შედეგებით კლუბმა 4,3 მილიონი ფუნტი იზარალა. ეს მაშინ, როცა 2010/11 წლების მონაცემებით ჩრდილოლონდონურ კლუბს მოგება მართალია მცირე, 700 ათასი ფუნტი, მაგრამ მაინც ჰქონდა. რისი მიზეზიც იყო ის, რომ „დეზები" ჩემპიონთა ლიგაში გამოდიოდნენ. მოგებასთან ერთად იკლო საერთო შემოსავალმაც, რამაც 144 მილიონი ფუნტი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი 12%-ით ნაკლებია წინა საფეხბურთო სეზონის შედეგებზე. დადებითი ტენდენცია შენარჩუნებულია კლუბის კომერციული საქმიანობის მხრივ. „ტოტენჰემის" მენეჯმენტის მტკიცებით, ისინი ახლოს არიან უეფას ფეარ პლეის მოთხოვნათა შესრულებასთან. ბავშვთა თანამედროვე საწვრთნელი ცენტრის გახსნის შემდეგ კლუბმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ახალი სტადიონის ასაშენებლად, რაც ლონდონელებს საშუალებას მისცემს, რომ მომავალში შემოსავალი კიდევ უფრო გაზარდონ. *„ტოტენჰემი ამბიციური კლუბია. მიმდინარე ეტაპზე ჩვენი უმთავრესი მიზანი უფრო ტევადი სტადიონის აშენებაა. ამ მიზნით დამატებით მოგვიწევს გარკვეული სამუშაოების შესრულება, რათა პროექტმა საბოლოო სახე მიიღოს. ახალი არენა უმაღლეს სტანდარტებს დააკმაყოფილებს და ის ნამდვილი საჩუქარი იქნება ჩვენი უერთგულესი გულშემატკივრებისთვის,"* - განაცხადა „ტოტენჰემის" პრეზიდენტმა **დენიელ ლევიმ**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ტოტენჰემის პრეზიდენტი დენიელ ლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჩეზარე პრანდელი

# ჩემი მთავარი მისია

## აძურას თავკაცი ბარსაზე, ნაკრებზე, გვარდიოლაზე, ოქროს ბურთზე, ლენს არმსტრონგზე...

**იტალიურ სპორტულ პრესაში ჩეზარე პრანდელის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომლის შემოკლებულ ვერსიას ქვემოთ გაეცნობით. იტალიის ნაკრების 55 წლის მთავარი მწვრთნელი ბევრ საინტერესო თემას შეეხო და უმჯობესია პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ...**



**- ხოსეპ გვარდიოლამ სერია A-ს ბუნდესლიგა ამჯობინა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენი ჩემპიონატი მეორეხარისხოვანი გახდა?**

- არა მგონია ასეთი ფორმულირება სწორი იყოს. ვფიქრობ, გვარდიოლას სრულიად ახალ გარემოში სურს მუშაობა და გერმანია ამ მხრივ, საინტერესო ვარიანტი აღმოჩნდა. იტალია ესპანეთს ჰგავს, ჩვენთან მას ნათამაშებიც აქვს და ალბათ მისი არჩევანიც რაღაც ახალთან ზიარების სურვილით უნდა აიხსნას.

**- გვარდიოლამ ერთი წელი დაისვენა, ვალტერ მაცარი აცხადებს რომ დასვენება სჭირდება, ნუთუ ასეთი დამღლელია სამწვრთნელო საქმე?**

- მწვრთნელს მუდმივ წნეხში უწევს ყოფნა და ეს მართლაც დამღლელია. არის მომენტები, როდესაც გინდა, რომ მთელი ეს ტვირთი მხრებიდან მოიხსნა. ასეთ შემთხვევაში, დასვენება მართლაც საუკეთესო საშუალებაა.

**- ნაკრების მწვრთნელებს ეს პრობლემა ნაკლებად გაწუხებთ...**

- არც ეგრეა საქმე, რადგან ყველაზე ძლიერი წნეხის ქვეშ სწორედ ჩვენ გვიწევს ყოფნა. როდესაც იტალიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს ატარებს, გაცილებით უფრო დიდი დაწოლაა პირადად ჩემზე, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც „ფიორენტინა“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ასპარეზობდა.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ბრაზილიის მუნდიალი?**

- ბრაზილია ჩემთვის ფეხბურთის, ფანტაზიის და ოცნების სინონიმია. მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელსაც ვირტუოზმა ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ჩამოუყალიბეს გემოვნება. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, როდესაც ვინმე ფეხბურთს კარგად თამაშობდა, მას ბრაზილიელს ვეძახდით. ამ ქვეყანაში, პირველად კონფედერაციათა თასის კენჭისყრაზე ჩავედი და აღფრთოვანებული დავრჩი. იქ ისე ელოდებიან მუნდიალს, სიტყვებით რთული გადმოსაცემია. სხვათა შორის, კონფედერაციათა თასსაც და პირადად მეც, ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**- ბრაზილიის ნაკრებს ოთხ თვეში ორჯერ შეხვდებით, ჯერ მარტში ამხანაგურად და შემდეგ, ივნისში კონფედერაციათა თასზე...**

- დიახ, ეს ჩვენი შანსია, რომ მუნდიალზე ერთ-ერთი მთავარი კონკურენტის შესაძლებლობები კარგად ავწონოთ. ამხანაგუირი მატჩი თვითონ ბრაზილიელებმა შემოგვთავაზეს და ჩვენ დავთანხმდით მიუხედავად იმისა, რომ ოთხ დღეში მალტასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა უნდა გავმართოთ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ კუნძულზე მოგება გარანტირებული გვაქვს, ცდება, რადგან ევროპაში უიმედო აუტსაიდერები აღარ არსებობენ.

**- შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის ფინალში დაფიქსირებული ანგარიში არ ასახავს რეალურ ძალთა ბალანსს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ესპანეთის ნაკრები დღეს აშკარა ფავორიტია. როგორ უნდა გადაილახოს ეს ბარიერი?**

- სწორი მუშაობის შემთხვევაში, ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, ვეტერანების და ახალგაზრდების იდეალური სინთეზი მოხდეს. ხშირად მაკრიტიკებენ, რომ 4-5 ამხანაგური მატჩი წავაგეთ, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ სწორედ ამ შეხვედრებში მივეცით ახალგაზრდებს გასაქანი და მას შემდეგ დაიწყო მათი რეალური პროგრესი. სტეფან ელ შაარავი, მატია დე შილიო, მარკო ვერატი, ლორენცო ინსინიე - ეს ჩვენი მომავალია და ის ძალა, რომელიც ნებისმიერი სირთულის ამოცანას გადაჭრის.

**- ერთხელ თქვით, რომ გსურთ ცალცალკე შეკრებები მოუწყოთ მეკარეებს, მცველებს, ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს, ეს უტოპიაა?**

- ჯერ კიდევ მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, ამას მოვახერხებ. თუ რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი, სხვა დროს გეტყვით.

**- რამდენად დიდ ყურადღებას აქცევთ იტალიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს?**

- ეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო თემაა, რადგან საოცარი თაობა მოდის. ასაკობრივ ნაკრებებს არიგო საკი კურირებს და თავის საქმეს იდეალურად ასრულებს. ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და გვჯერა, რომ იტალიურ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს. ამას წინათ, „კოვერჩიანოზე“ ვაკვირდებოდი 19-წლამდელთა ნაკრების ვარჯიშებს და აღფრთოვანებული დავრჩი. ჩვენ არ ვკოპირებთ ესპანურ მოდელს, ყველა ასაკობრივ ნაკრებს არ ვათამაშებთ ერთი ტაქტიკით და ვფიქრობ, ეს უფრო გამართლებულია. ყველა ფეხბურთელი ინდივიდუალურია და სქემაც მათ პოტენციალზე, შესაძლებლობებზე უნდა აიგოს. არც მწვრთნელს გვინდა ამ მხრივ შეზღუდვები დავუწესოთ. ჩვენ სულ სხვა სტრატეგია გვაქვს, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

**- გაიხსენეთ ყველაზე მტკივნეული პერიოდი სამწვრთნელო კარიერაში?**

- ევროპის ჩემპიონატის ფინალს რა დამავიწყებს, მაგრამ მე უფრო წარსულში წავიდოდი. სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში, „ვენეციის“ მთავარ მწვრთნელად დავინიშნე და მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით შევუდექი საქმეს. მაშინ ჩავიფიქრე, რომ მთელი კარიერის განმავლობაში, პოსტი მხოლოდ ჩემი ნებით უნდა დამეტოვებინა. იცით რა მოხდა? - ხუთი ტურის შემდეგ გამათავისუფლეს, რაც დიდი დარტყმა იყო. „ვენეციის“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი იყო, თუმცა მაშინ ჯერ არ ვიცოდით მისი მისწრაფების შესახებ. ერთ თვეში მწვრთნელი არ უნდა გაუშვა, ეს დიდი შეცდომაა.

**- დავუბრუნდეთ იტალიის ნაკრებს. მუნდიალის შემადგენლობის შერჩევისას, თავდასხმის ხაზში შედეგიანობას უფრო მიაქცევთ ყურადღებას, თუ ასაკს?**

- შედეგიანობა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინ როგორ თამაშობს უბურთოდ... ვინ რამდენს მოძრაობს და რა ოდენობით სამუშაოს ასრულებს. თანამედროვე ფეხბურთში ესეც უმთავრესია.

**- ევროპის ჩემპიონატზე დანიელე დე როსი და მარიო ბალოტელი „აძურას“ ლიდერები იყვნენ, დღეს კი თავიანთ გუნდებში თადარიგში სხედან...**

- დე როსიზე არ ვნერვიულობ, რადგან ვიცი, რომ ამ სიტუაციიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვა. მასში დარწმუნებული ვარ, რადგან ძლიერი ხასიათი აქვს. რაც შეეხება ბალოტელის, მან რობერტო მანჩინის უნდა დაუჯეროს, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არაა. მარიო ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ამ ეტაპზე შესაძლოა სათამაშო პრაქტიკის გარეშეც გამოვიძახო, მაგრამ სულ ასე ვერ იქნება.

> მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელსაც ვირტუოზმა ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ჩამოუყალიბეს გემოვნება

**- ანტონიო კასანოს ადგილს ველარ ხედავთ ნაკრებში?**

- კასანო „ინტერში“ კარგად ჩაეწერა და ეს მახარებს. ანტონიო არაა იმ კონდიციაშია რომ შესარჩევი ეტაპის ყველა თამაშში მიიღოს მონაწილეობა. მით უმეტეს, მსურს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ვნახო საქმეში, თუნდაც ელ შაარავი. კასანოს თამაშს ყურადღებით ვადევნებ თვალს და თუ სეზონის მეორე ნახევარში კარგად წარმოაჩენს თავს, შესაძლოა პირდაპირ კონფედერაციათა თასზე წავიყვანო. იგივე პრინციპი იმოქმედებს მუნდიალის შემთხვევაშიც. ხომ გახსოვთ, ანტონიო დი ნატალეს საერთოდ არ ვიძახებდი და პირდაპირ ევროფორუმზე წავიყვანე. არიან მოთამაშეები, რომლებიც კონკრეტულ ტურნირზე შეიძლება გამოგადგნენ და კასანო სწორედ ამ ფაზაშია გადასული.

**- ოქროს ბურთზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. თქვენ პირლო, ბუფონი და მესი აირჩიეთ, საუკეთესო მწვრთნელად კი დელ ბოსკე დაასახელეთ...**

- კი, ასეა, მაგრამ მოდით შევეშვათ ამ ამბავს. ჩემი აზრით, წლის ფეხბურთელი ერიკ აბიდალი, წლის მწვრთნელი კი ტიტო ვილანოვაა. ორი შეუპოვარი მებრძოლი, რომლებმაც გმირობის მაგალითი გვიჩვენეს.

**- ლენს არმსტრონგი დოპინგზე ჩაიჭრა, გაგაკვირვათ ამ ამბავმა?**

- კი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ველოსპორტში დოპინგი ძველი პრობლემაა. ეს უფრო სისტემის ბრალია და არა თვითონ სპორტსმენების. იქ ისეთი მოთხოვნები აქვთ, რომ ხშირად ადამიანი იძულებულია სტიმულატორი მიიღოს.

**- ფეხბურთშიც ხომ დგას ანალოგიური პრობლემა?**

- არა, ვერ დაგეთანხმებით. ფეხბურთი ის სპორტია, სადაც ძალა გონებით შეგიძლია დაზოგო. ვინც აზროვნებს და პოზიციურად სწორად თამაშობს, ის მოედანზე დასვენებასაც ახერხებს. თანაც ისე, რომ ამით საქმე არ ფუჭდება.

**- „ბარსელონა“ იდეალური გუნდია?**

- „ბარსელონა“ ეპოქალურია, დაახლოებით ისეთი, როგორიც არიგო საკის „მილანი“ იყო და კიდევ რამდენიმე გუნდი. მე ჩემი შეფასების კრიტერიუმი მაქვს: თუ გუნდს თამაშის სტილით ვცნობ, ე.ი. რაღაც განსაკუთრებულთან გვაქვს საქმე. ჩააცვით „ბარსას“ ფეხბურთელებს უბრალო მაისურები, გაუკეთეთ მოთამაშეებს ნიღბები და თუ თქვენ თამაშის სტილით ვერ მიხვდებით, რომ მოედანზე „ბარსელონაა“, ფეხბურთის არაფერი გაგეგებათ.

**- თქვენი ფორმაციის „აძურა“ თუ იქნება ასეთი ეპოქალური?**

- ამისთვის ვშრომობ, ეს ჩემი მთავარი მისიაა.

იტალიის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ლაციოს სასარგებლო ფრე

| იუვენტუსი–ლაციო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პელუზო (63), 1:1 მაური (86).

**იუვენტუსი (3-6-1):** სტორარი - ბარცალი, ბონუჩი (43. კასერესი), პელუზო (71. დე ჩელიე) - ისლა, მარონე, პოგბა, მარკიზიო (77. ვუჩინიჩი), ჯაკერინი, ვიდალი - მატრი.

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - ბიავა (83. რადუ), ცანა, სიანი, კავანდა - გონსალესი, ლედესმა (70. კანდრევა), ერნანესი (83. ბროკი), ლულიჩი, მაური - ფლოკარი.



სტეფანო მაურიმ ფავორიტად ლაციო აქცია

იტალიის თასის ფინალისტები ორმატჩიან დუელებში გამოვლინდებიან, პირველი შეხვედრის პირველი რაუნდი კი ტურინში გაიმართა. „იუვენტუსი“ „ლაციოსთან“ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ **ვლადიმირ პეტკოვიჩს** სერიოზული გუნდი ჰყავს, რომელიც არსად არაფრის დათმობას არ აპირებს. მართალია, მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ფრეს რომაელებს ნამდვილად ვერ დავამადლით. „ლაციომ“ ბოლო წუთებამდე იბრძოლა და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა და ორივე კუთხურს მოჰყვა. 63-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ტურინელებმა საჯარიმოში ჩაჰკიდეს და **ფედერიკო პელუზომ** თავური დარტყმით სეხნია **მარკეტი** უშანსოდ დატოვა, 1:0. აღსანიშნავია, რომ გოლის ეპიზოდში პელუზო აშკარად ხელებით დაეყრდნო მცველს და ისე ახტა, რაზეც მსაჯს რეაგირება არ მოუხდენია. ბუნებრივია, რომაელებმა პროტესტი გამოთქვეს, მაგრამ ამაოდ. სტუმრებმა ანგარიში მატჩის დასრულებამდე ოთხი-ხუთი წუთით ადრე გაქვითეს, თავი კი **სტეფანო მაურიმ** გამოიჩინა. რომაელთა კაპიტანმა მცველს ფიზიკური ბრძოლა მოუგო და ბურთი ბადეში ფეხით გაახვია, 1:1. ეს ანგარიში დედაქალაქელებს აძლევთ ხელს, რადგან განმეორებითი მატჩი რომში გაიმართება.

ვთქვათ ისიც, რომ ტრავმირებული **მიროსლავ კლოზეს** გარდა, ვლადიმირ პეტკოვიჩმა ყველა წამყვანი ფეხბურთელი ათამაშა, **ანტონიო კონტემ** კი გარკვეულ ექსპერიმენტებს მიმართა. ტურინელთა თავკაცმა ნაცად ტაქტიკაზეც უარი თქვა, თუმცა ეს უფრო იძულებითი ნაბიჯი იყო. კონტეს განკარგულებაში ერთადერთი ბოლომდე ჯანმრთელი თავდამსხმელი **ალესანდრო მატრი** იყო და ანტონიოს მიერ არჩეული 3-6-1 სქემაც აქედან გამომდინარეობდა. 3-6-1 მართლაც უცნაური ტაქტიკაა, რომელსაც თანამედროვე ფეხბურთში პრაქტიკულად არავინ იყენებს. ტურინელებმა ცენტრი აშკარად გადატვირთეს, თუმცა ასეთი „იუვე“ მ,აინც საინტერესო სანახავი გახლდათ...

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„ვფიქრობ, უფრო მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ რაც იყო, იყო - უკვე ველარაფერს შევცვლით. არაფერი დაგვიკლია, მაგრამ ბურთმა მხოლოდ ერთხელ გადაკვეთა მეტოქის კარის ხაზი. წინ განმეორებითი მატჩია და შესაბამისად, ყველაფერი წინ გვაქვს. რომში მოგება რთული იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი“.*

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *„ბოლო წუთებამდე არ დაგვიკარგავს რწმენა, რომ ანგარიშს გავათანაბრებდით და საბედნიეროდ, ასეც მოხდა. ფინალზე ფიქრი ჯერ ადრეა, რადგან წინ მეორე რაუნდი გველის. „იუვეს“ დამარცხება ყველგან რთულია და ეს უნდა გვახსოვდეს. ბევრს გაუკვირდა, რომ ძირითადი შემადგენლობა დავაყენე, ჩვენ ხომ ჩემპიონატშიც უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძვით - კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პირადად ჩემთვის, ყველა ტურნირი თანაბრად პრესტიჟულია“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ჭადრაკი

# 16-წლამდელთა ოლიმპიადას თბილისი უმასპინძლებს



გია გიორგაძე (მარცხნივ) და ზურაბ აზმაიფარაშვილი

**ორიოდე დღის წინათ სომხურ წახკაძორში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელმაც მსოფლიო ჭადრაკის გასავითარებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, მათ შორის - 16-წლამდელთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის თბილისში გამართვის შესაძლებლობა.**

სპორტის ქომაგებმა იციან, რომ 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს ვუმასპინძლებთ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გამოთქვა სურვილი - ფესტივალის მსვლელობის პარალელურად თბილისში 16-წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადაც გაიმართოს. ამ წამოწყებას სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აქტიურად გამოეხმაურა, ამიტომაც წახკაძორში საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ფიდეს წინაშე ოფიციალური წერილითა და სატენდერო პირობებით წარდგა.

*„იმის მიუხედავად, რომ სატენდერო ვადა ჯერ არ ამოწურულა, მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭომ 16-წლამდელთა ოლიმპიადის მასპინძლობაზე მხარი დაგვიჭირა და ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს დაავალა, სატენდერო ვადის გასვლის შემდეგ წახკაძორში მიღებული გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოაცხადოს,* - თქვა სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ**. - *ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი კირსან ილუმჟინოვის ინიციატივით მსოფლიოს ჩემპიონატებისა და საჭადრაკო ოლიმპიადების ჩატარების ფიდეს კომისიის წევრად აირჩიეს.*

*საპრეზიდენტო საბჭოზე სომხეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჭადრაკის სწავლების მიზნით გაწეულ საქმიანობაზეც ილაპარაკეს. აღინიშნა, რომ ამ პროექტის განსახორციელებლად სომხეთის განათლების სამინისტრომ 6 მილიონი დოლარი გაიღო, საიდანაც 4,5 მილიონი უკვე ათვისებულია. სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა, რომელიც იმავდროულად ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციასაც თავკაცობს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჭადრაკი ნებისმიერი ქვეყნისთვის მთელ მსოფლიოში თავის წარმოჩენისა და ერის ინტელექტუალური განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებააო“.*

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:** - 2015 წელს 16-წლამდელთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის თბილისში გამართვის იდეას სპორტის სამინისტრომ მაშინვე დაუჭირა მხარი. ფიდეს გენერალურ მდივანს, ჩემს მეგობარ იგნატიუს ლეონგს, რომელთანაც დიდხანს ვთანამშრომლობდი სინგაპურის ჭადრაკის აკადემიაში, ამ საკითხის განსახილველად თბილისში ჩამოსვლა შევთავაზე. ისიც სიამოვნებით გვეწვია. მოიწონა ჩვენი იდეა და წახკაძორში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზეც იაქტიურა. საბჭოს სხვა წევრებსაც არ დაუწყიათ ორჭოფობა. მთავარი მოტივი ის არის, რომ 2015 წელს ამ ოლიმპიადის თბილისში გამართვა ფიდეს ინტერესებშიც შედის. მოგეხსენებათ, 1999 წლიდან მსოფლიო საჭადრაკო ორგანიზაციას და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შორის დიდი ჭიდილია, ბრძენთა თამაში ოლიმპიურ სახეობად ცნონ თუ არა. მართალი გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია ამგვარი დამოკიდებულება: სპორტის სახეობა, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი თამაშობს, სოკ-ისთვის მიმზიდველიც უნდა იყოს. ამჯერად ფიდეს ინტერესი ის არის, რომ 2015 წელს თბილისში 16-წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადის გამართვა ევროპის ახალგაზრდობის იმ ოლიმპიური ფესტივალის პარალელურად, რომელიც სოკ-ისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პატრონაჟით ეწყობა, სოკ-თან დასაახლოებლად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. ამიტომაც იყო წახკაძორში გადაწყვეტილების მიღებისას საპრეზიდენტო საბჭო ერთსულოვანი. თან საქართველოს მნიშვნელოვანი საჭადრაკო შეჯიბრებების გამართვის მდიდარი ტრადიცია გააჩნია. უახლოეს ხანში კირსან ილუმჟინოვი საქართველოში გვეწვევა და საბჭოს გადაწყვეტილებასაც ოფიციალურად გვამცნობს.

**- კარგა ხანს ფიდეს პრეზიდენტთან ცუდი ურთიერთობა გქონდათ, წახკაძორში კი მისი ინიციატივით ერთ-ერთი პასუხსაგები კომისიის წევრად აგირჩიეს...**

- თქვენ, ალბათ, 2010 წლის მოვლენები გაქვთ მხედველობაში, დიახ, ჩვენს შორის მაშინ მართლაც იჩინა თავი უნდობლობამ. ილუმჟინოვმა საარჩევნო კამპანიის ზოგიერთი დეტალი დამიმალა. მესმის, რომ ურთულეს სიტუაციაში იყო, სერიოზული კონკურენტი ჰყავდა - ანატოლი კარპოვი, რუსულ წნეხსაც გრძნობდა. ჩვენ შორის ურთიერთობის გაუარესებამ ის გამოიწვია, რომ სავიცეპრეზიდენტო არჩევნები ოთხი ხმით წავაგე. მას შემდეგ დრო გავიდა, მეც პოლიტიკაში გადავწყვიტე საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა და ბატონ ბიძინა ივანიშვილის გვერდით დავდექი. ოქტომბრის არჩევნების წინა დღეებში ფიდეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი მაკროპულოსი ჩამოვიდა საქართველოში ჩვენს მხარდასაჭერად. ცხადია, ამის დაუნახაობა არ შეიძლება. თანდათან წყენაც დავიწყებას მიეცა. მომავალი წინ არის და ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ. მართალია, პოლიტიკაში ჩავები, მაგრამ სპორტიდან არ წამოვსულვარ - ჭადრაკი ისევ ჩემი სულის ნაწილად რჩება.

ვაჟა **დანელია**

*ავტორის ფოტო*

# მესამეზე გავიდა



გიორგი მარგველაშვილი

მარტინ ლუთერ კინგს მიეძღვნა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი კონკორდში (კალიფორნია), რომელშიც 11 ქვეყნის 52 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის იყო ქართველი დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი.** სამი მოგება და ექვსი ყაიმი - ასეთი მონაგრით დაასრულა ჩვენებურმა ასპარეზობა. ცხრა შესაძლებლიდან 6 ქულით მან მე-3 ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეოთხე-მეექვსე ადგილებზე კაიდენ ტროფი (აშშ), ვლადიმირ მეზენცევი (რუსეთი) და ჯეფრი სიონგი (აშშ) გავიდნენ. 7,5 ქულით ჩინელმა ჩაო ლიმ გაიმარჯვა. ქულით ნაკლები მოაგროვა გრეგორი კაიდანოვმა (აშშ), რომელსაც მე-2 ადგილი ერგო.

ვაჟა **დანელია**

# ყაიმელია

პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის პრეზიდენტი ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2684) მსოფლიო რეიტინგში 281 პუნქტით უსწრებს **სალომე მელიას,** ამიტომ გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირის მე-2 ტურში ამ ორი მოჭადრაკის დაპირისპირებაში სუტოვსკი უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ პაექრობამ დაგვანახვა, რომ ბათუმელი დიდოსტატის ძლევა არც ისე იოლი ყოფილა - მეტოქეები 32-ე სვლაზე დაზავდნენ.

მორიგი გამარჯვება იზეიმა **ნანა ძაგნიძემ** - საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერმა შავი ფიგურებით ერიკ ჰაან დეს (ჰოლანდია) მოუგო. ფავორიტთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: სვენ ტელჯოჰანი (გერმანია)-მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0:1, რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი)-შტეფან დოქსი (ბელგია) 1:0, გუდმუნდარ კარტანსონი (ისლანდია)-მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) 0:1, დავიდ ნავარა (ჩეხეთი)-იოვანკა ჰოუსკა (ინგლისი) 1:0, მანუელ ხუან ბელონ ლოპესი (ესპანეთი)-ალექსეი შიროვი (ლატვია) 0,5:0,5, ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-მიგელ ხოსე რუის ორტეგა (ესპანეთი) 1:0, როლფ ბერგსტრომი (შვედეთი)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1, ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)-ადრიან ვალერო ვილუენდასი (ესპანეთი) 0,5:0,5, ანდრეა ამატო (იტალია)-ვალენტინა გუნინა (რუსეთი) 0:1, ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი)-ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია) 1:0...

დღეს მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ვაჟა **დანელია**



ნანა ძაგნიძე

ძიუდო. მეტოქე

# ფედერაცია, ფრთხილად!

## რამაზანოვმა თვალი დაგვადგა

ბელარუსის ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი **მაგომედ რამაზანოვი** საკუთარი გუნდის გაძლიერებას უცხოელებით აპირებს, სასურველ ფალავნებს შორის კი ქართველებსაც მოიაზრებს. უფრო მეტიც - რამდენიმე ჩვენებური თურმე უკვე ვარჯიშობს კიდეც იქ. უცხოელთა დამატების სურვილი რამაზანოვმა „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე მიმდინარე ქვეყნის ღია პირველობისას თავად განუცხადა ბელარუსულ მედიას. *„მე არ ვამბობ, რომ ჩვენი ფალავნები არ გვყოფნის და ყველა წონა დახურულია, მაგრამ გვინდა, კონკურენცია კიდევ უფრო გავზარდოთ. ამისათვის გვჭირდება ახალგაზრდები, რომლებიც უკვე დარწმუნებულნი არიან თავიანთ შესაძლებლობებში. ასეთების მოძიება შეიძლება მოსკოვის ოლქში და ისეთ გუნდებში, როგორიცაა საქართველო, უკრაინა და ტაჯიკეთი“.*

სამბოში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი რამაზანოვი დაღესტნელია, რომელიც კონტრაქტით მუშაობს ბელარუსში. ის აქამდე სამბოში იქაურთა ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა და პირველხარისხოვან ტურნირებში 17 მედალიც მოაპოვებინა. შარშან ნოემბერში მინსკში გამართულ მსოფლიოს ბოლო პირველობაზე ბელარუსი გუნდურში მეორეზე გავიდა, რაც დიდი წარმატებად ჩაუთვალეს. ეს ფაქტი მის კარიერაში დაწინაურების საბაბად იქცა - ორი თვის წინ ვაჟ ძიუდოისტთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს. იქ მან მსოფლიოს პრიზიორი ძიუდოში **რუსლან შარაფოვი** შეცვალა, რომელსაც ლონდონის ოლიმპიადაზე წარუმატებლად გამოსვლა არ აპატიეს. აღსანიშნავია, რომ რამაზანოვი მესამედ დაბრუნდა ამ პოსტზე - ის ბელარუს ძიუდოისტებს 1999 და 2004 წლებშიც წვრთნიდა. სწორედ მის სახელს უკავშირდება იქაური ძიუდოს ყველაზე დიდი წარმატება - 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე **იჰარ მაკარაუ** (100) ჩემპიონი გახდა, თუმცა იმ მიღწევის შემდეგ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა. ძიუდოისტთა ნაკრებში მას სამბოდან ცნობილი მოსწავლეებიც დახვდებიან - იგივე მაკარაუ (რომელიც ახლა მძიმე წონაში ჭიდაობს), მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **იური რიბაკი** (+120) და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ანდრეი კაზუსიონაკი** (90). ამათგან მაკარაუს და კაზუსიონაკს კვლავაც ნაკრების ძირითად წევრებად მოიაზრებს.

რამაზანოვს უკვე შეგულებული სასურველი ფალავნები არ დაუსახელებია, თუმცა როგორც ზემომოყვანილი ფრაზიდან ჩანს, ახალგაზრდებს ეძებს. ამ კონტექსტში საქართველოს, რუსეთის და უკრაინის ხსენება სავსებით გასაგებია, მაგრამ ტაჯიკეთის აღნიშვნა ფრიად მოულოდნელი იყო. მის ნაცვლად ყაზახეთი ან უზბეკეთი რომ ეხსენებინა, კიდევ ჰო, მაგრამ ტაჯიკებს მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **რასულ ბოკიევის** (73) გარდა ხეირიანი სხვა არც არავინ ჰყავთ. მათ ლონდონშიც სულ ორი მონაწილით იასპარეზეს - ბოკიევთან ერთად **ფარვიზ სობიროვმაც** (90) იჭიდავა... თან ძიუდოს იმდენად არ აქცევენ ყურადღებას, რომ 3-4 წლის წინ ბოკიევიც რუსეთში გაექცათ და მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტის აქტიური ჩარევის შემდეგ დააბრუნეს. მაშინ სპონსორიც უპოვეს და კონტრაქტიც გაუფორმეს, რაც, როგორც გაირკვა, ტაჯიკური სპორტის ისტორიაში პირველი პრეცედენტი ყოფილა... იქაური ძიუდოისტები არც ახალგაზრდულ შეჯიბრებებში ბრწყინავენ და ვერ გეტყვით, რამაზანოვს მათ დასასახელებლად რა რეალური მიზეზი ჰქონდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ადრე ის ტაჯიკეთში ცხოვრობდა და შესაძლოა, ამიტომაც აქცევს ყურადღებას.



სამაგიეროდ, მწვრთნელმა განმარტა, რომ ნატურალიზაცია ბიძგს მისცემს ადგილობრივ ძიუდოისტებს და ამის მაგალითად სიდნეის 2000 წლის წლის ოლიმპიადის წინ რუსეთიდან **ანატოლი ლარიუკოვის** (73) გადაბირება დაასახელა - ავსტრალიაში მოპოვებული ბრინჯაოთი ძალიან დაეხმარა გუნდსო. ვერ გეტყვით, დახმარებაში რას გულისხმობს - მართალია, ლარიუკოვის შემდეგ იქაურებს ათენში მაკარაუ ჩემპიონი გაუხდათ, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც აქვთ მედლები მოპოვებული, თუმცა ფაქტია, რომ ის დღეს ისევ ლეგიონერებს ეძებს და არც ბელარუსის ნაკრებია თუნდაც ჩვენსავით (ბოლო წლების არეულობების მიუხედავად) სტაბილური, ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდი, ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტთა შორის რომ იყოს. თავის დროზე ჩვენი ნაკრების თავკაც **ირაკლი უზნაძის**, აზერბაიჯანელ, ჩეჩენ თუ სხვა ძიუდოისტთა გადაბირებით თურქებმაც ძლიერი გუნდი შექმნეს, ჰქონდათ, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ოქროს

» მე-11 გვერდზე

« მე-10 გვერდიდან

მედლებიც, მაგრამ წავიდა ის თაობა და დღეს თურქებს საშუალო დონის ნაკრებიც ენატრებათ, ოლიმპიადაზე ყველა ლიცენზიაც ვერ მოიპოვეს. არადა, პირობები ჩვენზე ბევრად მეტი აქვთ, მაგრამ იმ ნატურალიზებულების ბაზაზე ვერ შექმნეს საკუთარი სკოლა, რაც ახალგაზრდებს გამოზრდიდა.

ეტყობა, დაღესტნელებს და ზოგადად, ჩვენს მეზობლებს გადაბირება სისხლში გაუჯდათ - აზერბაიჯანმა ჭიდაობებში ხომ ლამის ნახევარ მსოფლიოს მოხვია ხელი და აქეთ რუსეთ-ირანს ართმევს ფალავნებს, იქით კი ბულგარელებს დაუპირა უმთავრესი ვარსკვლავის წართმევა; სომხებმაც ბლომად მოჭიდავე გადაიბირეს რუსეთიდან თუ ჩრდილო კავკასიიდან, დაღესტნელებზე კი ლაპარაკიც არაა - სადაც კი წავიდნენ იქაური მწვრთნელები, ყველგან წაიყვანეს თანამემამულეები. სხვათა შორის, აზერბაიჯანშიც გადაბირების ინიციატორები ისინი იყვნენ. ორიოდ დღის წინ პოლონეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად **იუსუპ აბდუსალამოვის** დანიშვნის შესახებ გაცნობეთ და ისიც კი, რომელსაც ჯერ პრაქტიკული მუშაობა არ დაუწყია, თანამემამულეების წაყვანაზე საუბრობს! უბრალოდ, ხელს პოლონური კანონმდებლობა უშლის, რომელიც მოქალაქეობას მხოლოდ ქვეყანაში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ ანიჭებს, დაჩქარებული ტემპით - ნახევარ წელიწადში მიღება კი სახელმწიფოს მეთაურზეა დამოკიდებული. ბელარუსისა და უკრაინის გუნდებიც ჭიდაობებსა თუ ძიუდოში უკვე გაივსო ჩრდილოკავკასიელებით.

თუმცა დაღესტნელებს, ოსებს და სხვა ჩრდილოკავკასიელებს სპორტსმენთა მიგრაცია დიდად არც ანაღვლებთ - ადამიანური რესურსი ჩვენზე ბევრად მეტი ჰყავთ, ჩვენთან კი ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ათლეტი დარჩა და ყოველი მათგანის წასვლა დიდი დანაკარგია. მით უფრო, თუ ის პერსპექტიული ახალგაზრდაცაა. ამიტომ ძიუდოს საქართველოს ფედერაციას განსაკუთრებული პრინციპულობა მართებს და არაფრის დიდებით არ უნდა დათმოს საკუთარი სპორტსმენები. არადა, მოარული ხმებით, ბელარუსებმა უკვე ჩაიყვანეს რამდენიმე ქართველი. ჩვენი მწვრთნელებისთვის იქაურებს ჯერ კიდევ 2-3 თვის წინ უთქვამთ, თქვენები ჩამოვიდნენ მინსკში სავარჯიშოდო. თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ რამაზანოვს დანიშვნისთანავე დაუწყია ზრუნვა ჩვენებურთა გადასაბირებლად.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **მამუკა ყიზილაშვილმა** მხოლოდ ერთი ფაქტი გაიხსენეს - ბელარუსის ზემოხსენებულ ღია პირველობაში საჭიდაოდ გაშვება მხოლოდ **მიხეილ ნარიმანიძეს** (100) უთხოვია, რომელიც ბოლო წლებში ახალგაზრდულ ნაკრებში ჭიდაობდა. ქევხიშვილს მისთვის უკითხავს კიდეც, მხოლოდ ტურნირში გამოსვლა სურდა თუ სხვა გეგმებიც ჰქონდა, მაგრამ სპორტსმენს იქ გადასვლა უარუყვია. უთქვამს, ვიჭიდავებ, მერე ცოტა ხნით იქაურ მეგობართან დავრჩები, თან ბელარუსებთან ვივარჯიშებ და დავბრუნდებიო... ქევხიშვილს მაინც გაუფრთხილებია, რომ გადასვლაზე არც ეფიქრა. ის ახლაც აცხადებს, რომ ფედერაცია არც ნარიმანიძეს და არც სხვას წასვლის ნებას არ მისცემს და იმ ორწლიანი ვადის გასვლამდე, რაც მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაშია განსაზღვრული, მსურველებს ყველანაირად დააბრკოლებს.

ნარიმანიძის გარდა, კულუარებში და დაუზუსტებელი ინფორმაციით კიდევ ერთი ძალზე პერსპექტიული ფალავანი დაასახელეს მინსკში გადასულთა შორის - ახალგაზრდებში 2009 წლ;ის მსოფლიოს ჩემპიონი **არჩილ შინჯიკაშვილი** (90). საინტერესოა, რომ მან ოქტომბერში მოგილიოვში უკვე იჭიდავა ბელარუსის პირველობაზე, რომელიც, ახლანდელისგან განსხვავებით, არ იყო ღია სტატუსისა. იქ ჩვენებური ჩემპიონიც გახდა, თუმცა შეჯიბრების ოქმში საქართველო უწერია.

ასეა თუ ისე, ეს პროცესი უკვე დაძრულია და ამას სასწრაფოდ სჭირდება სიმკაცრის გამოჩენა ფედერაციისგან, რათა დროულად შეჩერდეს ეს მავნე პროცესი. გვეყო, ქართულმა სპორტმა რაც დაკარგა ათლეტთა ასე უთავბოლო გაშვებით.

**ირაკლი თავაძე**

● ხელბურთი

# ნორვეგიელები ხელბურთის აღორძინებაში დაგვეხმარებიან

**გუშინ სპორტკომპლექს „არენაში“ 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის თბილისის ქვეჯგუფში მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა: „მართვემ“ 24:16 სძლია „შევარდენს“, ხოლო „მერანმა“ „კორიდას“ აჯობა - 27:22; კვლავ არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე „აისი“, რომელსაც „პეგასთან“ ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა.**

შეჯიბრებას ესწრებოდა ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ.

- 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, სწორედ 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელი გოგო-ბიჭები იასპარეზებენ. წინა წლების ახალგაზრდული შეჯიბრებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ევროპის ფედერაცია საქართველოს დედაქალაქში ძლიერი სახელბურთო ქვეყნების წარმომადგენლებს გამოგზავნის, ამიტომ არა მარტო მათს სამასპინძლოდ უნდა ვიყოთ მზად, არამედ კონკურენტუნარიანი გუნდებითაც უნდა დავხვდეთ. საამისოდ სასელექციო მუშაობა კარგა ხანია დავიწყეთ. მეოთხე სეზონია, ამ ასაკის მოზარდებისთვის საქართველოს პირველობებს ვატარებთ. რვა გუნდით დავიწყეთ, წლევანდელ შეჯიბრებაში კი გოგონათა 12 და ბიჭების 18 გუნდი მონაწილეობს. მათ შორის 6-6 თბილისიდან, დანარჩენი პერიფერიებიდანაა. სამომავლოდ სახელბურთო გეოგრაფიის გაზრდას ვვარაუდობთ.

წლევანდელი საქართველოს პირველობის თბილისის ჯგუფის ტურნირი ხვალ დასრულდება, 28-31 იანვარს აღმოსავლეთი ზონის წარმომადგენლები თელავში იასპარეზებენ, დასავლეთი ზონისა კი 2-5 თებერვალს ქუთაისში ითამაშებენ. ამ პაექრობების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან გამოვლინდება 4-4 საუკეთესო და 12 გუნდი ორ წრედ სამივე სინჯის მედლებს გაითამაშებს. გოგონათა დასკვნით ეტაპზე კი 8 გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს.

პირველობის დამთავრების შემდეგ ამ ასაკის 2-2 ნაკრებს ჩამოვაყალიბებთ, რომლებიც უფროს ასაკობრივ ჯგუფში მოსინჯავენ ძალებს. მათთვის შეკრებებიც მოეწყობა. საერთაშორისო საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად დაგეგმილია უცხოურ ტურნირებში მონაწილეობაც. ჯერ ის არის ცნობილი, რომ ბიჭები მინსკში, გოგონები კი ბაქოში გამოვლენ. დანარჩენს ფინანსური შესაძლებლობები გვიჩვენებს. ორ საერთაშორისო შეჯიბრებას ჩვენც ვუმასპინძლებთ ამ ასაკში - ქუთაისსა და თბილისში. საამისოდ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ხელბურთის საერთაშორისო და ევროპის ფედერაციებთან. მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს ნორვეგიელ კოლეგებთან, რომლებიც არაერთხელ შემშველებიან ფორმებითა და ბურთებით. ახლა მემორანდუმს ვამზადებთ, რომლის თანახმადაც სკანდინავიელები ხელბურთის აღორძინებაში დაგვეხმარებიან, იქნება ეს მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამ თემაზე უფრო დაწვრილებით შეგვეძლება საუბარი.

**- ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვით?**

- მედლებისთვის 6 გუნდი იბრძვის: ოთხი თბილისისა და თითო ბათუმიდან და ქუთაისიდან. ცხადია, ეს ცოტაა. ამას წინათ საკლუბო ხელბურთის განვითარების პროგრამა წარვადგინეთ სამინისტროში. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფოსგან სათანადო მხარდაჭერა გვექნება, რაც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს უფრო საინტერესოს გახდის. მით უმეტეს, რომ ნელ-ნელა ახალგაზრდული გუნდებიდანაც მივიღებთ შევსებას.

**- დიდი ხანია, ჩვენს ხელბურთელებს მსოფლიოს, ევროპისა და საკლუბო ჩემპიონატებში არ უასპარეზიათ.**

- გეთანხმებით, რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ამგვარი ჩავარდნის მიუხედავად, შარშან მაინც გაგვახარეს ქართველმა ხელბურთელებმა - ესპანეთში ევროპის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებში, სადაც საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი, ჩვენმა ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა. ბათუმში ახალგაზრდებს შორის პლაჟის ხელბურთში ფინალურ ეტაპს სანაქებოდ ვუმასპინძლეთ. ეს მხოლოდ ლოკალური წარმატებებია, რაც ხელბურთის განვითარებას დიდად არ წაადგება. აუცილებელია, ეროვნულმა ნაკრებმა მნიშვნელოვან ტურნირებში იასპარეზოს. გადავწყვიტეთ, ორწლიანი „შესვენების“ შემდეგ მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩავებათ წლეულს შემოდგომაზე. ცხადია, ამ ეტაპზე ეროვნული გუნდის ძირითად ბირთვს ლეგიონერები წარმოადგენენ. ისინი კი არც ისე ცოტანი არიან: შოთა თევზაძე, ვლადიმერ რუსია და ირაკლი ჩიქოვანი რუმინეთში თამაშობენ, რევაზ ჭანტურია მაკედონიაშია, რატი მსხვილიძე და აკაკი ტალახაძე - ირანში, ილია ბოგალაძე - თურქეთში, ნაკრების ლიდერი სერგო დათუკაშვილი - არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ამ ბიჭებს მაისის ბოლოს შევკრებთ, რომელიმე საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდაც გავგზავნით. ნოემბერში კი შესარჩევი შეჯიბრება დაიწყება.



**ვაჟა დანელია**

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ქართული კაჩი კოში და მაკე კოში ერთ დღეს

ახალი წლის ბაშოს მე-11 დღე გადამწყვეტი გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის: **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** კაჩი კოში (ანუ დადებითი ბალანსი) და რეიტინგში დაწინაურება დაიბევა, ხოლო **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) მაკე კოში (უარყოფითი ბალანსი) და რეიტინგში უკუსვლა.

ტოჩინოშინის მორიგი მეტოქე **ტაკარაფუჯი** იყო, რომელმაც წინა დღით შეძლო გადამწყვეტი, მე-8 მოგების ჩაწერა. მომქანცველი ორთაბრძოლა ბოლოს ქართველმა მოიგო, მეტოქის მავაში მოიგდო ხელთ და ტაკარაფუჯი დოჰიოს რკალიდან „გადადგა“. ტოჩინოშინის მორიგი მეტოქე უკვე პირველი მაეგაშირაა - **მიოგირიუ**. ურთიერთშეხვედრებში ჩვენებური 2:3-ს აგებს. ლევანს 8-3 ბალანსი აქვს და ყველაც რომ წააგოს, მაინც დადებითით დაასრულებს ბაშოს.

გაგამარუმ **იკიოისთან** წააგო, ეს იყო მართლაც ბრწყინვალე ორთაბრძოლა, ჩვენებური ინიციატივას ფლობდა, მაგრამ ბოლოს ხელიდან გაუშვა. გაგამარუს 3-8 ბალანსი აქვს და ახლა **მასუნოიამას** ხვდება.

ბაშოზე კვლავ ორი დიდი ჩემპიონია დაწინაურებული: **ჰარუმაფუჯიმ** 11-ივე ორთაბრძოლა მოიგო, **ჰაკუჰომ** - 10.

**X დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (იორიტაოში), კისენოსატო-კაისეი (ოშიდაში), კაკურიიუ-არანი (შიტატენაგე), გოეიდო-შოჰოზანი (შიტატენაგე), ბარუტო-მიოგირიუ (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტოიონოშიმა (იორიკირი), ამინიშიკი-კიოკუტენჰო (იორიკირი), იკიოი-**გაგამარუ** (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ტაკარაფუჯი (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**11-0:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა).

**10-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**9-2:** კისენოსატო (ოძეკი), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7)... **8-3: ტოჩინოშინი** (მ 6)... **3-8: გაგამარუ** (მ 4).

**XI დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, ჰაკუჰო-კოტოოშუ, კისენოსატო-კაკურიიუ, ბარუტო-ტოიონოშიმა, გოეიდო-ამინიშიკი, შოჰოზანი-ტოიოჰიბიკი, ტოჩიოძანი-კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-მიოგირიუ, კაისეი-აოიამა, **გაგამარუ**-მასუნოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნოე ლობჯანიძე

82 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის ამაგდარი, მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ყოფილი სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ასოცირებული პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი ნოე ლობჯანიძე.

თურქმენეთში დაიბადა, სკოლაც იქვე დაამთავრა, რის შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მძლეოსნობის კათედრაზე დატოვეს მასწავლებლად, ამასთან აქტიურად აგრძელებდა დაოსტატებას შუბის ტყორცნაში. მერე მწვრთნელობაც დაიწყო და მის ხელში აღიზარდა სახელოვან სპორტსმენთა თაობები. ნაკრებ გუნდში სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს შუბის ტყორცნაში კარლო გორძემაშვილმა, ლევან ნანიევმა, ჰუსეინ დაიოვმა და სხვებმა.

დიდია ნოე ლობჯანიძის, როგორც ორგანიზატორის დამსახურება. მუშაობდა თბილისის უმაღლესი სპორტული დაოსტატების ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორად, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სკოლის დირექტორად. „ნოეს სკოლა“, როგორც სპორტსმენთა აღზრდის ამ კერას უწოდებდნენ, ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენებით ამარაგებდა სპორტის სხვადასხვა სახეობას. ექსპერიმენტმა გაამართლა. 1998-1999 წლებში იყო საქართველოს მძლეოსანთა ახალგაზრდული ნაკრების კოორდინატორი.

2007 წლამდე მუშაობდა სპორტის აკადემიაში. 2011 წლიდან კი ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალისთვის საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მზადების კოორდინატორის მოვალეობას ასრულებდა. არჩეული იყო ვეტერან მძლეოსანთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

წავიდა ამქვეყნიდან საუკეთესო ადამიანური ღირსებებით გამორჩეული შესანიშნავი პიროვნება და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომლის სახელი და საქმე დავიწყებას არასდროს მიეცემა.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის მძლეოსნობის დიდი ოჯახის ღირსეული წევრის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

პანაშვიდი: 24, 25 იანვარს 17 საათიდან

დაკრძალვა: 26 იანვარს 14:00 საათზე

მისამართი: თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი №2, ბინა 22 („ქართუ ბანკის“ ჩასახვევი).

## ქართული სპორტი

კალათბურთი. ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან



თორნიკე შენგელია (N23) და ზაზა ფაჩულია

# ნამი არ უნდა დაკარგო...

## შენგელიას ოთხ პოზიციაზე შეუძლია თამაში

*-„ატლანტას“ ცენტრი ზაზა ფაჩულია NBA-ში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი არ არის. ამერიკაში ასევე თამაშობს ახალგაზრდა თორნიკე შენგელია, რომელიც „ბრუკლინ ნეთსის“ ღირსებას იცავს. მოვუსმინოთ ატლანტელს და შევიტყობთ, რას ფიქრობს იგი ზოგადად NBA-ზე და კონკრეტულად თორნიკე შენგელიაზე, - ასეთი შესავალი გაუკეთა თავის ვიდეოინტერვიუს REALGM-ის ჟურნალისტმა მაიკლ სკოტმა.*

**- ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში საქართველოდან ორი კალათბურთელი თამაშობს - წლეულს „ბრულკლინში“ გადავიდა თორნიკე შენგელია. რას ნიშნავს თქვენთვის NBA-ში კიდევ ერთი ქართველის გამოჩენა?**

- სასიხარულოა, რომ მსოფლიოს უპირველეს ლიგაში კვლავ ორი ქართველი ვართ. მსგავს სიტუაციაში აქამდეც ვყოფილვარ. ჩემამდე ამერიკაში სათამაშოდ გადმოვიდა ვლადიმერ სტეფანია, რომელსაც საინტერესო საკალათბურთო კარიერა ჰქონდა. ასევე NBA-ში ასპარეზობდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, რომელიც 2002 წლის დრაფტზე მე-5 ნომრად აირჩიეს. ასე რომ, ევროპაში თამაშისას დიდი მოტივაცია მქონდა და ვიცოდი, რომ NBA-ში მოხვედრა რეალობას არ სცილდებოდა. მას მერე დიდი ხანი გავიდა და ბოლო წლებში ამ ლიგაში ერთი ქართველი ვიყავი. საბედნიეროდ, მიმდინარე სეზონის დასაწყისში „ბრუკლინში“ თორნიკე შენგელია ჩაირიცხა. შესანიშნავად მესმის მისი, ვიცი რას გრძნობს, რადგან მეც მასსავით ახალგაზრდა მოვხვდი NBA-ში.

**- შენგელიასთან დიდი ხნის ნაცნობობა გაკავშირებს?**

- თორნიკე იმ პერიოდიდან მახსოვს, ძალიან პატარა რომ იყო. მას ჩემი ოჯახის წევრად მივიჩნევ, ჩემი უმცროსი ძმაა და მისი წარმატება ძალიან მიხარია. წარმატებული კი ნამდვილად არის - 21 წლისაა და უკვე NBA-შია. დარწმუნებული ვარ, ბევრს მიაღწევს. მასზე თამამად ლაპარაკის უფლებას თოკოს ხასიათი მაძლევს - ძალიან შრომისმოყვარეა.

**- რა სახის დახმარება შეუძლია გაუწიოს შენგელიამ „ბრუკლინ ნეთსს“?**

- მას შეუძლია მოედანზე ენერგიის, სანახაობრიობის შეტანა. თორნიკე ბუნებრივადაც ძლიერია. მამას ჰგავს, რომელსაც ასევე დიდი ხანია ვიცნობ. ისიც საქართველოს ნაკრების კალათბურთელი იყო, 211 სმ სიმაღლის ცენტრი... რაც შეეხება თოკოს, მას შეუძლია ოთხ პოზიციაზე თამაში - გამთამაშებლიდან დაწყებული, მძიმე ფორვარდით დამთავრებული. ეს ყურმოკვრით, ან ტელევიზიიდან კი არ ვიცი, საკუთარი თვალით არაერთხელ მაქვს ნანახი. შენგელიასთან ერთად ყოველ ზაფხულს საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ. ისიც ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ იგი ახალგაზრდაა და საკუთარი თამაშის გაუმჯობესება კიდევ სჭირდება. NBA-ში თამაშის მეტი გამოცდილება უნდა შეიძინოს და ბევრი იმუშაოს ტყორცნაზე. მალე თავადაც დარწმუნდებით, რომ ნიჭიერი, ძლიერი კალათბურთელია.

**- მიმდინარე სეზონის წინ „ატლანტადან“ „ბრუკლინში“ ჯო ჯონსონი გადავიდა. იგი ჯორჯიელთა ლიდერი იყო. რა შეცვალეთ ჯონსონის წასვლის შემდეგ და რამდენად იოლია მის გარეშე თამაში?**

- მე და ჯომ ერთდროულად გავაფორმეთ კონტრაქტი „ატლანტასთან“. 2005 წლიდან 2012-მდე ერთმანეთის გვერდით ვთამაშობდით. დროის ამ მონაკვეთში ჩვენი კარიერა საინტერესოდ წარიმართა: ჯერ იყო პლეი ოფში მოხვედრის სიხარული, შემდეგ - პლეი ოფის მეორე ეტაპზე გასვლა... დიდებული წლები გვქონდა. ჯომ „ჰოქსს“ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, ზუსტად არ ვიცი რამდენი, მაგრამ ძალიან, ძალიან ბევრი გადამწყვეტი ტყორცნა შეასრულა. ჯონსონის გარეშე თამაში მართლაც ძნელია, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და ჩვენც ფეხი უნდა ავუწყოთ. მიმდინარე სეზონის წინ არაერთი ახალი კალათბურთელი დაგვემატა, შესანიშნავი მოთამაშეები არიან... „ატლანტა“ ერთი დიდი ოჯახივითაა, გვყავს კარგი მსროლელები, სწრაფი, ათლეტური კალათბურთელები. ასე რომ, „ჰოქსი“ ძველებურად კარგი გუნდია. ბოლო მატჩებში წაგება წაგებას მიება, რთული პერიოდი გვიდგას, მაგრამ ვფიქრობ, ნელ-ნელა ყველაფერი სწორდება და იმედია, ისევე შედეგიანად ვითამაშებთ, როგორც სეზონის დასაწყისში.

**- 2005 წლიდან ატლანტაში ცხოვრობ და თამაშობ. ყველაზე მეტად რა მოგწონს ქალაქში და კერძოდ გუნდში?**

- პირველ რიგში უნდა აღვნიშნო სახელების საინტერესო დამთხვევა: ევროპული „ჯორჯიიდან“ ამერიკულ ჯორჯიაში (შტატის სახელწოდება) გადმოვედი. ძალიან მომწონს ატლანტა, როგორც ქალაქი. ჩვენს გუნდს შესანიშნავი ფანები ჰყავს, მათ სიყვარულს თამაშებისას ვგრძნობთ. ატლანტაში ბინა მაქვს, დიდი ხანია ვცხოვრობ და არაერთხელ მითქვამს - ეს ქალაქი ჩემი სახლია. აქაურობას ძალიან მივეჩვიე. ცხადია, გუნდზე ასე დადებითად იმიტომაც ვლაპარაკობ, რომ ორგანიზაცია შესანიშნავია, ხელმძღვანელობაც კარგი გვყავს და „ატლანტაში“ ყოფნა ყველას სიამოვნებს. არც მე ვარ გამონაკლისი, თუმცა ამ ზაფხულს გუნდთან კონტრაქტის ვადა ამომეწურება და თავისუფალი აგენტი გავხდები. ვნახოთ, რა როგორ შეიცვლება.

**- მეცხრე წელია „ატლანტას“ ღირსებას იცავ და, ალბათ, დიდია ალბათობა, რომ გუნდთან ახალი ხელშეკრულება გააფორმო.**

- არ ვიცი. ამ საკითხზე არ ვფიქრობ. არც ვნერვიულობ. მხოლოდ მატჩებზე ვზრუნავ, ვცდილობ თამაშით ვისიამოვნო. განსაკუთრებული გრძნობაა, როცა „ჰოქსი“ შეხვედრებს იგებს და წვლილი შენც შეგაქვს. კიდევ უფრო სასიამოვნოა პლეი ოფის ატმოსფეროს შეგრძნება. რაც უნდა ძლიერი გუნდი გყავდეს, პლეი ოფში არავინ იცის, როდის დაემშვიდობები ასპარეზობას და უქმად ერთი წამიც არ უნდა დაკარგო. თავისუფალი აგენტის სტატუსს პირველად რომ ვღებულობდე, შესაძლოა უკვე ვღელავდე, მაგრამ ამ ზაფხულს ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ მესამედ გავხდები თავისუფალი და მშვიდად ვარ. NBA-ში 2003 წლიდან ვთამაშობ, გუნდებიც მიცნობენ და ყველამ იცის რაც შემიძლია.

**- კიდევ რა მიზნები გაქვს?**

- მინდა კარიერის საუკეთესო სეზონი წინ იყოს. დრო სწრაფად გარბის და თითოეული კალათბურთელი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველი წელი წინაზე უკეთესი გამოუვიდეს, რადგან არ იცი მომავალ სეზონში როგორ გუნდში მოხვდები, ითამაშებ თუ არა პლეი ოფში... ასე რომ, კარიერაში თითოეული შანსი ბოლომდე უნდა გამოიყენო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველები ევროთასზე

## ნაიბორძიკეს

ევროთასის ტოპ-16-ში ორი სასახელო გამარჯვების შემდეგ **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკმა“ შინ წაიბორძიკა. კიეველებმა ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტს“ უმასპინძლეს და მეოთხე პერიოდის წინ 65:55-ს იგებდნენ, მაგრამ ექსიუგებმა ბოლო ათ წუთში თამაში სათავისოდ შეატრიალეს და 79:75 გაიმარჯვეს. საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე უკრაინელები ორი ქულის სხვაობით (74:76) აგებდნენ, თუმცა **მალკოლმ დილეინიმ** შეტევა ზუსტი ტყორცნით ვერ დაასრულა და ამას მოჰყვა მასპინძელთა მიერ აღებული განზრახ ჯარიმები...

გიორგი ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო, 23 წუთში 7 ქულა, 3 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა.

გუშინვე საშინაო მატჩი გამართა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა“. სევილიელებმა რუსულ „ლოკომოტივს“ უმასპინძლეს და 80:87 დამარცხდა.

ბექამ ევროთასის გათამაშებაში ყველაზე მეტი, 8 წუთი ითამაშა, 2 ქულა და 4 მოხსნა გაიფორმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი ცინცაძე

საქართველოს თასი

## სტუდენტური აფეთქება

**23 იანვარი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**სტუ-სოხუმი 84:66**

**17:10, 20:16, 19:19, 28:21**

**სტუ:** ჩაჩიბაია (31ქ, 14მ, 3პ), თევზაძე (2ქ, 2დ), კვეტენაძე (15ქ, 6მ), კორკოტაძე (3ქ, 5მ), მინაშვილი (10ქ), მაჩალაძე (3ქ, 3პ, 9მ), პირველაშვილი (15ქ, 8მ), კუჭავა (2ქ, 6მ), ჯანაშია (3ქ).

**სოხუმი:** მეგენეიშვილი (4ქ), ჩლაიძე (29ქ), კოპალიანი (2ქ), შვანგირაძე (10ქ), დეკანოიძე (15ქ, 14მ), ბააკაშვილი (3პ), ქადარია (6ქ, 6დ, 10მ), მუჟნიეკსი.

გუშინ დავწერეთ: სტუ-ს ისეთი შემადგენლობა ჰყავს, ადრე თუ გვიან თავისი სიტყვა უნდა ეთქვაო. თქვა და თან როგორ ომახიანად: საქართველოს თასზე „ბათუმს“ „სოხუმი“ მიაყოლა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

**ზურაბ ტომარაძის** გაწვრთნილი ტექნიკოსები დღეს „არმიას“ დაუპირისპირდებიან. „შსს აკადემია“ მეორე სტუდენტურ კლუბ თსუ-ს გაეჯიბრება, „ოლიმპი“ - „დინამოს“, „რუსთავი“ - „ქუთაისს“.

ტაეკვონდო

## ფედერაციის ყრილობა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის წესდებით გათვალისწინებული განმეორებითი ყრილობა შემდეგი დღის წესრიგით: საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის ახალი რედაქციის წესდების პროექტის განხილვა და მიღება; ფედერაციის პრეზიდენტის გადაყენება და ახალი პრეზიდენტის არჩევა; გამგეობის წევრების გამოწვევა და ახალ წევრთა არჩევა; ფედერაციის გენერალური მდივნის და ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნა; სხვა საკითხები.

29 დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 22. ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა ფედერაციის ახალი რედაქციის წესდება. პრეზიდენტად აირჩიეს **ზურაბ კოპაძე**, ვიცე-პრეზიდენტად **დიმიტრი გელაშვილი**, გენერალურ მდივნად **გიორგი ივანიშვილი**. გადახალისდა გამგეობის შემადგენლობაც.

**“ლელოს” კორ.**

თარიღები და მოვლენები

## 24 - 25 იანვარი

**24. 2005 წ.** გერმანიის ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ ფრაიბურგში შედგა საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის **ოთარ ხიზანიშვილის** დებიუტი.

**24. 2008 წ.** კალათბურთში საქართველოს თასი „თბილიავიამშენმა“ მოიპოვა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში 110:90 სძლია თსუ-ს.

**24. 2010 წ.** სუმოში ძურიოს დივიზიონი **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) მოიგო.

**25. 1948 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ისელიძე** - წყალბურთი. დაბადების 65 წელი.

**25. 1992 წ.** თანამეგობრობის საფეხბურთო ნაკრებში შედგა **კახა ცხადაძის** დებიუტი.

**25. 1998 წ.** გარდაიცვალა **ნოდარ ახალკაცი.** გარდაცვალებიდან 15 წელი.

**25. 2004 წ.** თბილისის „დინამომ“ ფეხბურთში დსთ-ის ჩემპიონთა თასი მოიგო - ფინალში რიგის „სკონტო“ დაამარცხა 3:1.

**25. 2010 წ.** ჭადრაკში ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა **მერაბ გაგუნაშვილი.**

საქართველოს თასის გათამაშება
22-27 იანვარი
საკალათბურთო აკადემია
ფინალი
27 იანვარი. სპორტის სასახლე
საქართველოს თასი

● აღიარება

# გორგოძე ევროპის საუკეთესოთა ნომინაციაში



**ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის „ჰაინეკენის თასის" გათამაშების პირველი, ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა იმ 15 მორაგბის სია გაახცხადეს, რომელთაგან წლევანდელი სეზონის ევროპის საუკეთესო მორაგბეს დაასახელებენ.**

ნომინანტთა შორისაა საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს" ლიდერი **მამუკა გორგოძე**, რომელმაც გუნდს ბოლო ორ ტურში უკაპიტნა და პლეი ოფში გაიყვანა. ცხადია, საერთაშორისო რაგბის თემის ასეთი აღიარება უკვე დიდი წარმატებაა, თუმცა გორგოძეს რეალურად შესწევს ძალა ევროპის ნომერ პირველი მორაგბე გახდეს.

საუკეთესო თხუთმეტეულში ყველაზე მეტი, სამი წარმომადგენელი ჰყავს ფრანგულ „კლერმონს" **(მორგან პარა, ჟულიენ ბონერი, ვესლი ფოფანა)**. ორ-ორი მორაგბე მოხვდა მოწინავეთა შორის ირლანდიური „ალსტერიდან" და სამი ინგლისური გუნდიდან: „ჰარლიქვინზი", „ლესტერ ტაიგერზი" და „სარასენზი".

შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის საუკეთესო მორაგბედ ირლანდიური „ლენსტერის" ფულბეკი **რობ კირნი** აღიარეს. წლეულს კი, საუკეთესოს ვინაობას დუბლინში, „ჰაინეკენის თასის" ფინალის შემდეგ დაასახელებენ.

კანდიდატთა სია: მამუკა გორგოძე (მონპელიე), სტეფონ არმითიჯი (ტულონი), მორგან პარა, ჟულიენ ბონერი, ვესლი ფოფანა (სამივე-კლერმონი), საიმონ ზებო (მანსტერი), რორი ბესტი, რუან პინარი (ალსტერ), ჯო ლანჩბერი (ეოსფსი), მაიკ ბარაუნი, ჟეიმზ ჯონსტონი (ჰარლიქვინზი), დენ კოლი, ჯეფ პერლინგი (ლესტერ ტაიგერზი), ოუენ ფარელი, ჩარლი ჰოჯსონი (ორივე-სარასენზი).

● ერთა თასი

# ჰეიგმა ჟვანიას და ჩილაჩავას უხმო

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, პირველ შეხვედრას 2 თებერვალს ბრიუსელში, „ეიზელის" სტადიონზე ბელგიის ნაკრებთან გამართავს.**

„ბორჯღალოსნები" ამ მატჩისთვის მოსამზადებლად ორშაბათიდან საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში შეიკრიბებიან. ეროვნული გუნდის თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** ერთი კვირის წინათ გაფართოებული, 29-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. თუმცა ტრავმების გამო გუნდს პირველხაზელები **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი) და **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი) დააკლდნენ. ისინი, სავარაუდოდ, ვერც ერთი კვირის თავზე, მომდევნო მატჩში ითამაშებენ პორტუგალიის ნაკრებთან.

ამიტომ მილტონ ჰეიგმა, ასისტენტებთან **ილია მაისურაძესთან** და **ილია ზედგინიძესთან** კონსულტაციის შემდეგ, ტრავმირებული მორაგბეების ნაცვლად **ზურაბ ჟვანია** (სტად ფრანსე) და **ლევან ჩილაჩავა** (ტულონი) გამოიძახა. ჟვანია ეროვნული ნაკრების საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობას პირველად მიიღებს, ჩილაჩავას კი შარშან გამართულ ერთა თასის გათამაშებაში თამაშმაც მოუწია და სტუმრად ესპანეთის ნაკრებს ლელოც გაუტანა.

შეგახსენებთ, რომ ბრიუსელში ბელგიისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირება თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

მეორე ხაზი: **გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია).**

№9: **გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).**

№10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).**

№12-13: **მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).**

№15: **ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).**

● მეტოქეები

# ლობუშები ფრანგმა სტუდენტებმა დააფრთხეს

**ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა ახლახან საწვრთნელი შეხვედრა გამართა საფრანგეთის სტუდენტურ ნაკრებთან და 7:24 დამარცხდა.**

„ლობუშებმა" თამაში კარგად დაიწყეს და ერთი ხანობა ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, შედეგად ანგარიშში 7:0 დაწინაურდნენ. მაგრამ ფრანგმა სტუდენტებმა პორტუგალიელი „მგლების" შეტევების მოგერიება შეძლეს და მალე მატჩის ბედი სათავისოდ შემოაბრუნეს.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში პორტუგალიის ნაკრებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა **ეროლ ბრაიანმა** გაფართოებული რაზმი თამაშის მეორე დღეს დაასახელა, რომელშიც ავსტრალიური წარმოშობის მგეზავის **ჯო გარდნერის** გარდა, ყველა უძლიერესი პორტუგალიელი მორაგბე მოხვდა. 30 მოთამაშიდან, რომელიც ამჟამად ბრაიანმა გამოიძახა, 16 ლეგიონერია. უცხოეთში მოთამაშე ამდენი მორაგბე პორტუგალიის ნაკრებში აქამდე არასდროს ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ „ლობუშები" 2 თებერვალს ლისაბონში რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლებენ, ერთი კვრის თავზე კი თბილისში გვესტუმრებიან.

**პორტუგ.-საფრანგეთი (სტუდ) 7:24**

პორტუგალია: 15. ნუნო კოსტა, 14. ადერიტო ესტევეში, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. კარლ მურეი, 11. გონსალო ფორო, 10. მანუელ კოსტა, 9. ფრანსისკო მაგალიაეში. 1. ჟორჟე სეგურადო, 2. ჟოაო კორეია, 3. ტონი მარტინსი, 4. რუი დორეი, 5. ფერნანდო ალმეიდა, 6. ფრანსიშკუ სოუსა, 7. ვაშკუ უვა, 8. ტიაგო ჟირაო.

16. მიგელ ვილაცკა, 17. უგო ვალენტე, 18. ბრუნო როჩა, 19. ლორენცო მატალონგა, 20. ვაშკუ მენდესი, 21. მანუელ რაპოსო, 22. პედრო სილვა, 23. ფრანსიშკუ აპელტონი.

**პორტუგალიის ნაკრები**

პირველი ხაზი: ფრანსიშკუ ფენანდესი (ბეზიე), ენტონი ალვეში (შალონი), ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეია (ორივე-დირეიტო), კრისტიან სპაშუკი (ბურგუენი), ჟუან მურე (დიჟონი), მაიკ ტაჯერი (მასი).

მეორე ხაზი: გონსალო უვა (ნარბონი), დავიდ დოს რიოსი (შატორენარი), დავიდ პენალავა (მონტობანი).

მესამე ხაზი: ვაშკუ უვა (დირეიტო), ჟულიენ ბარდი (კლერმონი), ტიაგო გირაო (კდული), ორელიან ბეკო (კოლომიე), ჟუან სევერინო (შამბერი), ჟაკ ლე რუ (ქოვენთრი), ლორან ბალანჟე (სენ ჟან დე ლუზი).

№9: სამუელ მარკეა (ალბი), ფრანსიშკუ მაგალიაეში (კდული), პედრო ლეალი (დირეიტო).

№10: კარლ მურეი, ფედერიკო ოლივეირა (ორივე-კდული)

№12-13: ალექსანდრე ბაროში (როდეზი), ჟოზე ლიმა (ნარბონი), პედრო სილვა (ბელენენსეში).

№11-14: გონსალო ფორო (კდული), ანტონიო აგილარი, ადერიტო ესტევეში (ორივე-დირეიტო), ვილფრედ როდრიგესი (მასი).

№15: ნუნო კოსტა (კდული).



● ინტერვიუ ლევან დათუნაშვილთან



ფოტოზე ლევან დათუნაშვილი და კარლენ ასეიშვილი

# კარიერაში საუკეთესო ფორმაში ვარ

**საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი მორაგბეთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ჩუმად აკეთებენ საკეთებელს და ფუტკარივით მშრომელია. „ჩაქუჩა", როგორც მას მეგობრები ეძახიან, საფრანგეთში შვიდი წლის წინათ გადაბარგდა და თამაში ფედერალ 1 დივიზიონის „მონლუსონში" დაიწყო. ბოლო ორი სეზონია დათუნაშვილი ელიტარული, მეორე დივიზიონის „ორიაკში" ირჯება და პირველ დივიზიონში გადაბარგებისთვის იბრძვის.**

30 წლის ასაკში მან მსოფლიოს თასის ორ გათამაშებაში მოასწრო ასპარეზობა. უკანასკნელი ხუთი წელიწადია, მის გარეშე „ბორჯღალოსნებს" თითქმის არ უთამაშიათ. ახლა ერთა თასის ახალი გათამაშება იწყება და დათუნაშვილი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდა. საკლუბო და სანაკრებო კარიერის შესახებ სასაუბროდ **ლევან დათუნაშვილს** ორიაკში დავუკავშირდით.

**- მოდით, საკლუბო კარიერით დავიწყოთ, სადაც სალაპარაკო თემა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე სანაკრებო...**

- კლუბში ყველაფერი წესრიგშია. რეგულარულად ვთამაშობ. ის კი არა, კონტრაქტი სამი წლით გავახანგრძლივე. „ორიაკმა" ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო და ახლა მეორე ადგილზე ვართ. გვინდა წლეულს პლეი ოფში ვითამაშოთ და ელიტურ, პირველ დივიზიონში გადავიდეთ. საამისოდ კლუბში ყველაფერი კეთდება. დაფინანსება 40 პროცენტით გაიზარდა.

მართალია, წინ კიდევ 12 თამაში გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, პლეი ოფში თამაშის უფლების მოპოვებას აუცილებლად შევძლებთ. გადამწყვეტი იქნება მომდევნო ორი ტურის მატჩები. ჩვენი გუნდი სტუმრად ეთამაშება „ტარბს" და „ბრივს".

**- სეზონის დაწყებისას „ორიაკის" გეგმებზე ასეთი ოპტიმიზმით არ საუბრობდით. რა შეიცვალა?**

- დასაწყისში არავინ ფიქრობდა, რომ ასეთ შედეგს ვაჩვენებდით. 18 თამაშიდან 14 მოვიგეთ და მხოლოდ ოთხი წავაგეთ. ასე იმიტომ ხდება, რომ ძალიან კარგი გუნდი შეიკრა. სეზონის წინ ექვსი კარგი მოთამაშე დავიმატეთ და ყველა თამაშში მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს - მოვიგოთ.

**- „ორიაკში" თქვენს გარდა კიდევ ორი ქართველია. კარლენ ასეიშვილი და გიორგი ნაცარაშვილი. ისინიც რეგულარულად თამაშობენ?**

- დიახ, ნაცარაშვილის კონკურენტი კანადელია, რომელმაც ტრავმა მიიღო და ისიც ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა. ფრანგული კანონმდებლობით, გუნდში უცხოელთა რაოდენობა 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. მომავალი სეზონიდან ეს რიცხვი ორმოცამდე შემცირდება. ამიტომ გუნდები ცდილობენ იმდენი უცხოელი იყოლიონ ერთდროულად მოედანზე რამდენის გაყვანასაც შეძლებენ.

**- დანარჩენმა ქართველებმაც თქვენსავით გაახანგრძლივეს „ორიაკთან" კონტრაქტი?**

- არა, ასეიშვილმა ახალხან „ბრივთან" მოაწერა ხელშეკრულებას ხელი, გამორიცხული არ არის ამ გუნდში ნაცარაშვილიც გადავიდეს. თუმცა მან კიდევ ერთი წელიწადი უნდა ითამაშოს „ორიაკში".

**- თქვენ არ გინდათ სხვა, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა?**

- როგორ არ მინდა. ძალიან მინდა და უკვე დროა ელიტურ, პირველ დივიზიონში ვითამაშო. თუმცა შეიძლება სხვაგან გადასვლა არ დამჭირდეს. გამორიცხული არ არის ელიტაში „ორიკთან" ერთად გადავბარგდე. აქაურები უკვე ემზადებიან. ახალ სტადიონს აშენებენ. თუ პირველ დივიზიონში გადავალთ, ხელფასის 60 პროცეენტით გაზრდას გვპირდებიან.

**- ერთი სიტყვით, ორიკში სარაგბო ბუმია. არდა, პატარა ქალაქია, საიდან ამდენი ფინანსები?**

- ორიაკში 30 ათასი კაცი ცხოვრობს და ქედან 15 ათასი ყველა მატჩზე მოდის ჩვენს საქომაგოდ. რაგბის გარდა აქ სხვა სპორტი არ არის. ამიტომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და თითქმის ყველა მსხვილი თუ წვრილი კომპანია კლუბის სპონსორია. მაგალითად, ახალ სტადიონს ქალაქის მუნიციპალიტეტი გვიშენებს. მსხვილი სპონსორები კი მალაზიათა ქსელები და გადამზიდი კომპანიები არიან.

**- „ორიაკს" წარმატება ვუსურვოთ და ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბროთ. მალე ერთა თასის გათამაშება დაიწყება. თქვენი სახელი და გვარი გუნდის გაფართოებულ სიაში არ არის...**

- იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ პირველ ორ მატჩზეა ასე. ჩემთან არავის ულაპარაკია და არ უთქვამთ ნაკრებში აღარ გამოგიძახებთო. არადა, ახლა რომ ფორმაში ვარ, ასე არასდროს ვყოფილვარ. თუ ახლა არ გამოვადექი საქართველოს ნაკრებს, აბა როდის? „ორიაკის" მწვრთნელებს კი გაუხარდათ ნაკრების სიაში რომ არ ვარ, მაგრამ თუ ნაკრებში გამომიძახებენ, პრობლემა არ შემექმნება, აუცილებლად ჩამოვალ და, ჩვეულებისამებრ, მაქსიმალურად დავიხარჯები.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაგბი. ახალი ტურნირი



# წყნარი ოკეანე მაისში აღელდება

რაგბის საერთაშორისო საბჭომ ახალი და საკმაოდ საინტერესო ტურნირის დაარსების თაობაზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა. წლეულს წყნარი ოკეანის ერთა თასის გათამაშებაში იაპონიის, ტონგასა და ფიჯის ნაკრებებს კანადისა და აშშ-ს ეროვნული გუნდები დაემატებათ.

შეჯიბრება 25 მაისს დაიწყება და 23 ივნისამდე გასტანს. თამაშები მიმოსვლით ჩატარდება. ბოლო ორი ტურის შეხვედრები კი იაპონიაში გაიმართება, რომელიც 2019 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელია. წყნარი ოკეანის ერთა თასის შარშანდელი გამარჯვებული (აშშ და კანადა არ მონაწილეობდნენ) სამოა 2013 წელს განთავისუფლებულია ტურნირიდან. როგორც ჩემპიონებს, ივნისის ტესტებზე მათ ჯილდოდ სამხრეთ აფრიკის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან მატჩები ელით.

*„წლეულს თავბრუდამხვევი ტურნირი გამოვა. კანადის, აშშ-სა და იაპონიის ნაკრებების დაპირისპირება წყნარი ოკეანის კუნძულების გუნდებთან შესანიშნავ სანახაობას გვპირდება. დარწმუნებული ვარ, ეს შეჯიბრება ხელს შეუწყობს რაგბის განვითარებას ამ ქვეყნებში“* - თქვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

შეგახსენებთ, რომ კანადისა და აშშ-ის ნაკრებები წლეულს ნოემბერში თბილისში გვეწვევიან. ამასთან ერთად, გამორიცხული არ არის, 2015 წლის მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი მათგანი ჯგუფში ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეც გახდეს.

| წყნარი ოკეანის ერთა თასი |
|---|
| 25 მაისი |
| იაპონია-ტონგა<br>კანადა-აშშ |
| 1 ივნისი |
| ფიჯი-იაპონია |
| 5 ივნისი |
| ფიჯი-კანადა |
| 8 ივნისი |
| კანადა-ტონგა |
| 15 ივნისი |
| აშშ-ტონგა |
| 19 ივნისი |
| იაპონია-კანადა<br>ფიჯი-აშშ |
| 23 ივნისი |
| იაპონია-აშშ<br>ტონგა-ფიჯი |

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დურანტი არავის ინდობს

ზედიზედ ექვსი მოგების შემდეგ, "ბოსტონმა" მიჯრით მეოთხე შეხვედრა დათმო. "კელტებს" ამჯერად ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ მოხსნების მხრივ (48:39), მაგრამ მეტოქის ფარზე 16 მოხსნისგან დიდი სარგებელი ვერ ნახეს. **პოლ პირსმა** და **კევინ გარნეტმა** თამაშიდან ჯამში 28-ჯერ ესროლეს და მხოლოდ რვა ჩააგდეს, რამაც, ბუნებრივია, იმოქმედა **დოკ რივერსის** გუნდის პოტენციალზე. არანაკლები პრობლემა ჰქონდა "კლივლენდსაც", რომლის მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა ასევე ჩააგდო მატჩი. მხოლოდ **კაირი ირვინგი** იყო იმ სალამოს შეუდარებელი. ის პირველი მოთამაშე გახდა 2007 წლის შემდეგ, ვინც "ბოსტონს" 40 ქულა ჩაუგდო (ბოლოს ასეთი გმირობა **კობი ბრაიანტმა** ჩაიდინა). გარდა ამისა, ირვინგმა პირადი რეკორდი დაამყარა თამაშიდან ჩაგდებული ტყორცნების რაოდენობით (16).

ფაქტობრივად მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. ლიდერი მატჩში 17-ჯერ შეიცვალა და ტაბლოზე 12-ჯერ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში. არც ერთ გუნდს არ ჰქონია ორნიშნა უპირატესობა, ამიტომაც ყველაფერი ბოლოში გადაწყდა, როცა გადამწყვეტი როლი ითამაშა შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედამ. "ბოსტონში" არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც გადამწყვეტ მომენტში წინ წაუძღვებოდა გუნდს, ირვინგმა კი ბოლო მეოთხედში 14 ქულა დააგროვა და აქედან 11 უკანასკნელ 2.5 წუთზე მოდის. "ბოსტონმა" ოთხიდან სამი მატჩი წააგო იმ გუნდებთან, რომლებსაც გათამაშების ცხრილში უარყოფითი ბალანსი აქვთ. "კელტებს" წინ აქვთ შეხვედრები "ნიქსთან", "ატლანტასთან" და "მაიამისთან".

■ ■ ■

თუმცა პლეი ოფში მოხვედრის მხრივ, "ბოსტონს" პრობლემა არ უნდა შეექმნას, რადგან "მილუოკიმ" შინ მოუგო "ფილადელფიას" და კიდევ უფრო დააშორა ეს გუნდი აღმოსავლეთის TOP8-ს. "ბაქსმა" ბოლო რვა მატჩიდან ექვსში გაიმარჯვა. როგორც იქნა, მძლავრი თამაში აჩვენა **ერსან ილიასოვამ**, რომელმაც **ბრენდონ ჯენინგსთან** ერთად ორგანიზება გაუწია გაქცევას და შემდეგ უნარიანად ინარჩუნებდა უპირატესობას. მეორე მხრივ, **ჯრიუ ჰოლიდეიმ** ამ ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თამაში აჩვენა. მას რომ უკეთ ესროლა თამაშიდან (3/12) და რვა შეცდომა არ დაეშვა, შეიძლება ბრძოლა დაძაბული ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ "მილუოკიმ" NBA-ში 3600-ე შეხვედრა ჩაატარა.

■ ■ ■

საშინაო არენაზე "დეტროიტის" გამარჯვებები აღარავის უკვირს. ამჯერად, "პისტონზის" მსხვერპლი გახდა "ორლანდო". "მაღლების" ტრიო **მონროს, დრამონდისა** და **მაქსიელის** შემადგენლობით მთელი შეხვედრა დომინირებდა. ფლორიდელებს ჩავარდნა მესამე მეოთხედში მოუვიდათ, როცა მონრომ და **პრინსმა** კომფორტული უპირატესობა მოუტანეს თავიანთ გუნდს და მასპინძლებს ისღა დარჩენოდათ, შეენარჩუნებინათ ეს ჰანდიკაპი, რაც რთული საქმე არ იყო, რადგან **რედიკის** გარდა, მეტოქის რიგებში თამაში არავის მისდიოდა: **ვუჩევიჩი** მონრომ დაკეტა, **დევისი** – მაქსიკელმა, ხოლო **აფლალომ** საერთოდ ქულა ვერ აიღო, რადგან თამაშიდან ყველა ტყორცნა ააცილა.



კევინ დურანტი

■ ■ ■

ორი დღის წინ, "კლიპერსი" და "ოკლაჰომა" ერთნაირი მაჩვენებლებით ლიდერობდნენ რეგულარულ ჩემპიონატს, მაგრამ კალიფორნიელებმა ჯერ "გოლდენ სტეიტთან" წააგეს, გუშინ კი უშუალო კონკურენტთან დამარცხდნენ, როცა ვერაფერი მოახერხეს **კევინ დურანტსა** და "თანდერის" მთელ შორეულ არტილერიას. "ოკლაჰომამ" ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა – 15 სამქულიანი ჩააგდო, რომელთაგანაც ექვსი მესამე მეოთხედზე მოდის. სწორედ ეს მონაკვეთი აღმოჩნდა მატჩში გადამწყვეტი.

პირველ ტაიმში "ოკლაჰომამ" შეძლო წინ წასული მეტოქის დაწევა (ძირითადად, შეცვლაზე შესული **მარტინის** სიზუსტით), შემდეგ კი სუსტი წერტილები იპოვა "კლიპერსის" დაცვაში. მოგვიანებით, დურანტი მიხვდა, რომ თავისი სნაიპერული თვისებების გამოვლენის საშუალება ეძლეოდა და სტაბილურად დაიწყო მეტოქის ფარის დატერორება. შესვენების შემდეგ, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა **ტაბო სეფოლოშას** სამი სამქულიანი, თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში **უესტბრუკმაც.**

**კრის პოლის** არყოფნაში, "კლიპერსის" თამაში მოშლილი ჩანდა, ვერ ბრწყინავდა სასტარტო ხუთეული. მხოლოდ **ბლეიკ გრიფინი** მარტო ცდილობდა შანსის დატოვებას და არ აძლევდა მეტოქეს მოდუნების საშუალებას. პრაქტიკულად მთელი მეორე ნახევარი სტუმრების კონტროლით წარიმართა. თუმცა "ოკლაჰომამ" მაინც ვერ აიცილა თავიდან ჩავარდნა, მაგრამ სხვაობა იმდენად დიდი იყო (14 ქულა სირენამდე სამი წუთით ადრე), რომ "კლიპერსი" ვერ მოასწრებდა მეტოქის დაწევას.

**კლივლენდი–ბოსტონი 95:90**

31:27, 23:26, 16:20, 25:17

კ: ირვინგი (40+5 პასი), ტომპსონი (21+9 მოხსნა+5 პასი), გი (10+6 მოხსნა), ზელერი (6+10 მოხსნა+3 დაფარება).

ბ: რონდო (17+13 მოხსნა+8 პასი), გარნეტი (16+5 მოხსნა+5 დაფარება), სალინჯერი (12+10 მოხსნა), პირსი (12+7 მოხსნა+7 პასი).

**დეტროიტი–ორლანდო 105:90**

26:25, 28:27, 28:14, 23:24

დ: ნაითი (18+5 პასი), მონრო (16+6 მოხსნა), ბაინუმი (15+6 პასი), სტაკი (14), მაქსიელი (11+11 მოხსნა), დრამონდი (11+11 მოხსნა).

ო: რედიკი (26), ნელსონი (14+9 პასი), დევისი (11), ვუჩევიჩი (10+9 მოხსნა).

**მილუოკი–ფილადელფია 110:102**

28:18, 27:29, 28:24, 27:31

მ: ილიასოვა (27+16 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯენინგსი (25+7 პასი+3 ჩაჭრა), ელისი (18+5 მოხსნა+10 პასი), დანლივი (11).

ფ: ტერნერი (23+6 მოხსნა+7 პასი), ჰოიესი (21+12 მოხსნა), ნ. იანგი (20), ტ. იანგი (11+9 მოხსნა), ჰოლიდეი (9+6 მოხსნა+12 პასი).

**კლიპერსი–ოკლაჰომა 97:109**

22:22, 23:27, 23:33, 29:27

კ: გრიფინი (31+11 მოხსნა+5 პასი), კროუფორდი (14), ბლედსოუ (12), ბარნსი (10).

ო: დურანტი (32+7 მოხსნა+7 პასი), უესტბრუკი (26+6 პასი), იბაკა (17+9 მოხსნა), მარტინი (13).

**გია თვალაბეიშვილი**

# იყო ჰორნეტსი, გახდა პელიკანსი




„ნიუ ორლეან ჰორნეტსი“ მეტსახელს იცვლის. ამის შესახებ ოფიციალურად დღეს გამოცხადდება. ამიტომაც, დღეიდან NBA-ის კლუბს ლუიზიანას შტატიდან ასე უნდა დავუძახოთ - „ნიუ ორლეან პელიკანსი“.

შეგახსენებთ, რომ „ნიუ ორლეანმა“ მეტსახელი „ჰორნეტსი“ მას შემდეგ მიიღო, რაც ეს გუნდი შარლოტიდან ნიუ ორლეანში გადავიდა. იტყობინებიან, რომ დღევანდელი „შარლოტ ბობკეტსი“ განიხილავს ძველი მეტსახელის - „ჰორნეტსის“ დაბრუნების შესაძლებლობას.

**გია თვალაბეიშვილი**

# კობი ყველაზე მაღალანაზღაურებადია

„ბოსტონ სელტიქსის“ ფორვარდი **პოლ პირსი** 21-ე ადგილზე გადავიდა NBA-ის ყველა დროის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელების სიაში. სტუმრად „კლივლენდთან“ მატჩში პირსმა 12 ქულა დააგროვა და მისმა ჯამურმა მონაგარმა 23 364 ქულა შეადგინა. პოლმა სიაში თავის ყოფილ თანაგუნდელს **რეი ალენს** გაუსწრო.

მე-20 ადგილზე გასულ **ჩარლზ ბარკლის** პირსი 393 ქულით ჩამორჩება.

■ ■ ■

ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა NBA-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეების რეიტინგი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი თანხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველმა **კობი ბრაიანტმა** გამოიმუშავა - 59.8 მილიონი დოლარი. მეორე ადგილზეა „მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** - 57.6 მილიონი. სამეულში შედის „ჩიკაგო ბულზის“ გამთამაშებელი **დერიკ როუზი** - 32.4 მილიონი.

**გია თვალაბეიშვილი**




პოლ პირსი

ამბები

ავტოსპორტი

## ბუემი ისევ სარეზერვოა

შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** 2013 წლის სეზონშიც "რედ ბულის" სარეზერვო პილოტის ფუნქციებს შეასრულებს. 24 წლის პილოტთან შეთანხმება ერთ წელზეა გათვლილი.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელი ავსტრიული გუნდის სისტემაში 2011 წლიდან მუშაობს და რამდენიმე სეზონი "ტორო როსოს" საპრიზო პილოტი იყო. სხვათა შორის, შარშანდელი სეზონის შემდეგ, ბუემის "ფორს ინდიაში" ვაკანტური ადგილის დაკავების შანსი ჰქონდა.

## მექსიკას დაბრუნება უნდა

ფორმულა 1-ში მექსიკური ეტაპის ორგანიზატორები აქტიურად მუშაობენ ქვეყნის გრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში დასაბრუნებლად. უკვე მომზადებულია ავტოდრომის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის გეგმა.

ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მექსიკის ეტაპს უკვე 2014 წელს შეიტანენ ფორმულა 1-ის კალენდარში. უკანასკნელად, მექსიკამ ფორმულა 1-ის რბოლას 1992 წელს უმასპინძლა.

მექსიკის გრანპრის დაბრუნების პროექტს სათავეში უდგას მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანის – **კარლოს სლიმის** ვაჟი.

## გლოკი DTM-ში მიდის

როგორც უკვე ვწერდით, გერმანელმა პილოტმა **ტიმო გლოკმა** რამდენიმე დღის წინ დატოვა რუსული საჯინიბო "მარუსია". გამოცდილი ავტომრბოლის შემდეგი სამუშაო ადგილი შეიძლება გახდეს DTM-ის სერია: გლოკი BMW-ის გუნდში ტესტების გავლას აპირებს და წარმატების შემთხვევაში, 2013 წლის ჩემპიონატზე გამოსვლის შესაძლებლობას მიიღებს. თავად პილოტის თქმით, DTM-ში მოხვედრის შანსი საკმაოდ მაღალია და ის მოუთმენლად ელოდება ახალი მანქანის საჭესთან დაჯდომას.

ფიგურული სრიალი

## ჩემპიონის დაბრუნება გადაიდო

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე არ გამოვა ცნობილი ამერიკელი მოციგურავე **ევან ლაისაჩეკი.** ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მოულოდნელად გამოიტანა განაცხადი ტურნირიდან.

ასე რომ, მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონის დაბრუნება ისევ გადაიდო - ამჯერად, 2014 წლის სეზონამდე. 27 წლის მოციგურავის თქმით, ის სრულად გამოჯანმრთელდა ნოემბერში გრიჟის მოსაშორებელი ოპერაციის შემდეგ და სრული დატვირთვითაც ვარჯიშობს, მაგრამ ამერიკის ჩემპიონატისთვის ვერ მოასწრებს სატურნირო ფორმის აღდგენას.

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ოთხგზის ჩემპიონი წავიდა

ტრადიციულად, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ განსაზღვრა გასული სათამაშო დღის სამი საუკეთესო მოთამაშე. NHL-ის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, პირველ ვარსკვლავად აღიარებულია "ნიუ ჯერსი დევილზის" გოლკიპერი **მარტინ ბროდო**, რომელმაც "ფილადელფიასთან" (3:0) 24 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 120-ე "შათაუტი" შეასრულა.

მეორე ვარსკვლავია კიდევ ერთი მეკარე - "დალასის" კარის დარაჯი **კარი ლეჰტონენი**. "დეტროიტის" წინააღმდეგ მას 40-ჯერ დაურტყეს შაიბა და ფინელი 39 შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო "სან ხოსეს" ფორვარდს **ლოგან კუტურს**, რომელმაც "ედმონტონთან" (6:3) მატჩში 3 ქულა (1+2) დააგროვა.

■ ■ ■

"დეტროიტ რედ უინგზის" შემადგენლობაში სტენლის თასის ოთხგზის მფლობელმა **ტომას ჰოლმსტრიომმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.


ტომას ჰოლმსტრიომი

2011-12 წლების სეზონის შემდეგ, ჰოლმსტრიომს კონტრაქტი დაუმთავრდა "დეტროიტთან". მაგრამ კლუბმა გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა შეთანხმება თავდამსხმელთან. შვედს რამდენიმე კლუბისგან ჰქონდა მიწვევა, მაგრამ 2013 წლის დასაწყისში მან სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

შვედმა ფორვარდმა, რომელსაც გუშინ 40 წელი შეუსრულდა, მთელი კარიერა "დეტროიტში" გაატარა. "რედ უინგზის" რიგებში სადებიუტო მატჩი 1996 წელს ჩაატარა. 15 სეზონის განმავლობაში ტომასმა 1026 მატჩი ჩაატარა რეგულარულ სეზონში და 180 მატჩი - სტენლის თასზე. მის ანგარიშზეა 627 ქულა (289+338) "გოლი+პასის" სისტემით.

"დეტროიტთან" ერთად ჰოლმსტრიომს ოთხჯერ აქვს მოგებული სტენლის თასი - 1997, 1998, 2002 და 2008 წლებში.

შვედეთის ნაკრების შემადგენობაში ჰოლმსტრიომმა 2006 წელს, ტურინში ოლიმპიური თამაშები მოიგო. მან აგრეთვე მონაწილეობა მიიღო 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე, მაგრამ მაშინ შვედეთი მეოთხედფინალს ვერ გასცდა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის მაისში, ჰოკეიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა "დეტროიტში" ჰოლმსტრიომის მრავალი წლის პარტნიორმა და თანამემამულემ **ნიკლას ლიდსტრიომმა**.

**დეტროიტი-დალასი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 რაიდერი-1 (იკინი-1, მოროუ-1), 0:2 რაიდერი-2 (რეი უიტნი-2, იკინი-2), 1:2 ბრუნერი-1 (დაციუკი-2, ზეტერბერგი-2).

**მინესოტა-ნეშვილი 1:3**

1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-3 (პარიზე-3, სტოუნერი-1), 1:1 სპალინგი-1 (კლაინი-1, იიპი-1), 1:2 ერატი-2, 1:3 ლეგუანდი-1 (სპალინგი-1).

**ჩიკაგო-სტ. ლუისი 3:2**

1:0: 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 კეინი-2 (შარპი-2, ლედი-3), 2:0 სიბრუკი-1 (კიტი-1, ტეივზი-2), 3:0 სტალბერგი-2 (ბიკელი-2, ოდუია-2), 3:1 მაკდონალდი-2 (სტინი-3, შატენკირკი-5), 3:2 ოში-2 (პერონი-1, პიეტრანჯელო-3).

**კოლორადო-ლოს ანჯელესი 3:1**

0:1, 0:0, 3:0

**გოლები:** 0:1 კლიფორდი-1 (ნოლანი-1, მარტინესი-1), 1:1 ლანდესკოგი-1 (ჰეიდა-1, დუშენი-1), 2:1 დ. ჯონსი-1 (შჩასტნი-1), 3:1 პარენტო-1 (ე. ჯონსონი-1, რ. უილსონი-1).

**კაროლინა-ტამპა ბეი 1:4**

0:2, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პიატი-1 (ლეკავალიე-2, მ. კარლი-2), 0:2 კონაჩერი-2 (ლეკავალიე-3, პურსელი-4), 1:2 სკინერი-1 (ჯ. სტაალი-1, სიომინი-1), 1:3 ოლი-1 (მიკელსონი-1), 1:4 მელოუნი-1 (სტემკოსი-4, სალო-1).

**ვაშინგტონი-ვინიპეგი 2:4**

1:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰენდრიქსი-1 (ბექსტრიომი-1, ოვეჩკინი-1), 1:1 ე. კეინი-1 (ველერი-1, ბაფლინი-1), 1:2 ლედი-1 (ანტროპოვი-1, ენსტრიომი-2), 1:3 ველერი-1 (ე. კეინი-1, ენსტრიომი-3), 1:4 სლეიტერი-1 (ბაფლინი-2, ენსტრიომი-4), 2:4 ბროუერი-1 (რიბეირო-2, ბექსტრიომი-2).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ზეიჯაკი-2 (სალვადორი-1, ზუბრუსი-1), 2:0 კლარკსონი-2 (კოვალჩუკი-2, ჟიდლიცკი-1), 3:0 კოვალჩუკი-1 (ბულიტი).

**ედმონტონი-სან ხოსე 3:6**

1:6, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ბოილი-2 (პაველსკი-3, ჯ. ტორნტონი-3), 0:2 კუტური-1 (მარლო-1, პაველსკი-4), 1:2 იაკუროვი-1 (სემ განიე-2, ჰემსკი-1), 1:3 მარლო-3 (ჯ. ტორნტონი-4, ბ. სტიუარტი-1), 1:4 მარლო-4 (ჯ. ტორნტონი-5, კუტური-3), 1:5 კუტური-2 (ჰავლატი-1, გალიარდი-1), 1:6 ვლასიჩი- 1 (უინგელსი-1, გალიარდი-2), 2:5 შულტცი-1 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-1, ებერლე-1), 6:3 ტ. ჰოლი-1 (ებერლე-2, შმიდი-1).

**მონრეალი-ფლორიდა 4:1**

2:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პლეკანეცი-1 (ჯონტა-1, დიასი-2), 2:0 მარკოვი-1 (პასიორეტი-1, დეშარნე-1), 2:1 კოპეცკი-1 (ფლიშმანი-2, ბ. კემპბელი-1), 3:1 მარკოვი-2 (დიასი-3, პასიორეტი-2), 4:1 გალჩენიუკი-1 (პრუსტი-1, გალაჰერი-1).

ავტოსპორტი

# ფერარის გოგო გაუჩნდა

"ფერარის" სარბოლო აკადემიის მსმენელთა შორის გამოჩნდა პირველი გოგონა – კოსტარიკელი მრბოლელი **ვერონიკა ვალვერდე**. ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი პანამაში ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ხელმძღვანელმა **ლუკა ბალდისერიმ** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ხოსე აბედმა**.

2012 წელს, "ფერარის" სარბოლო აკადემია მხარში ედგა სამხრეთამერიკულ ახალგაზრდულ ჩემპიონატს - Panam GP Series-ს, რომლის ეტაპები იმართებოდა მექსიკაში, გვატემალაში, კოსტა რიკაში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, ეკვადორსა და ჩილეში. სერიის საუკეთესო პილოტები, რომელთა შორის, ვერონიკას გარდა იყვნენ ეკვადორელი **სებასტიან მერჩანი** და მექსიკელი **ხერარდო ნიეტო**, აკადემიაში მიიწვიეს. მარანელოში მათ ელოდებათ ერთკვირიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტესტები, აგრეთვე მუშაობა სიმულატორსა და ფიორანოს ტრასაზე.

გარდა ამისა, "ფერარის" სარბოლო აკადემიაში მიიღეს **ანტონიო ფუოკო** - ზამთრის ამერიკული სერიის მონაწილე, რომელიც ასევე იღებს დახმარებას "სკუდერიას" ახალგაზრდული პროგრამისგან.


ვერონიკა ვალვერდე

კრივი

# ერთი წელი რინგს მიღმა


მარიუშ ვახი

პოლონელი სუპერმძიმეწონოსანი **მარიუშ ვახი**, რომელმაც 2012 წლის 10 ნოემბერს საჩემპიონო ორთაბრძოლა წააგო სამი ძირითადი ვერსიით საუკეთესო მოკრივესთან, უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან**, ერთი წლით ჩამოაშორეს პროფესიულ კრივს. შეგახსენებთ, რომ უკრაინელ მოკრივესთან ბრძოლის შემდეგ, პოლონელის ორგანიზმში ანაბოლური სტეროიდების კვალი აღმოაჩინეს. ახლა, გერმანიის კრივის ფედერაციამ პოლონელი მოკრივისთვის საკრივო ლიცენზიის ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღო.

აღვნიშნავთ, რომ ახლა, მარიუშს ორი გზა აქვს: ან შეურიგდეს ასეთ გადაწყვეტილებას და 12 თვე რინგის მიღმა გაატაროს (თან 7 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა უნდა გადაიხადოს), ან მოითხოვოს "ბ" სინჯის შემოწმება. მაგრამ მეორე ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ადრე ვახის პრომოუტერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი არ აპირებს "ა" სინჯის შედეგების გასაჩივრებას.

ასე რომ, პოლონელი 2013 წლის 10 ნოემბრამდე დარჩება ლიცენზიის გარეშე, რადგან დისკვალიფიკაციის ათვლის წერტილად აღებულია კლიჩკოსთან ბრძოლის თარიღი.

# ტუა ისევ ბრუნდება

სუპერმძიმეწონაში მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი, 40 წლის ზელანდიელი **დევიდ ტუა** ისევ აპირებს რინგზე დაბრუნებას. თავისი ბოლო ბრძოლა ტუამ 2011 წლის აგვისტოში ჩაატარა, როცა ქულებით დამარცხდა ამერიკელ **მონტა ბარეტთან**. როგორც ტუას წარმომადგენელმა **დევიდ ჰიგისმა** განაცხადა, მისი კლიენტის მეტოქე შეიძლება გახდეს რომელიმე ძირითადი საკრივო ორგანიზაციის ერთ-ერთი წამყვანი მძიმეწონოსანი.

*„ჩვენ მეტოქედ ვეძებთ ნამდვილ პრეტენდენტს, ისეთს, ვინც რომელიმე ძირითადი ვერსიით რეიტინგის პირველ ექვსეულში შედის,* - ამბობს ჰიგინსი. - *მეტოქე იქნება ახალგაზრდა მოკრივე, კარიერაში მინიმალური რაოდენობის წაგებით. თუ დევიდი გაიმარჯვებს, ის უფრო მეტად მიუახლოვდება სატიტულო ბრძოლას. წაგების შემთხვევაში კი, კარიერას დაასრულებს".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დევიდ ტუა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| ს. აფრიკა-ანგოლა | 2:0 |
| მაროკო-კაბო ვერდე | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **ნაკრებები** | |
| შვედეთი-ჩრ. კორეა | 1:1 |
| ტაილანდი-ფინეთი | 1:3 |
| **კლუბები** | |
| ლუცერნი-კლუჟი | 0:1 |
| დაუგავა-მეტალურგსი | 3:1 |
| პლოცკი-პოლონია (ვ) | 3:1 |
| კორონა-ლეჩნა | 0:1 |
| რიეკა-ციურიხი | 0:0 |
| ჰორსენსი-ჰობრო | 3:1 |
| პრშიბრამი-სლოვანი | 1:1 |
| ვასლუი-ტრომსიო | 2:2 |
| დინამო (კ)-ბაზელი | 1:0 |
| მიოლდე-ვიძევი | 1:3 |
| რაუფოსი-ჰამ კამი | 2:3 |
| სტიაუა-ფერენცვაროში | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| არსენალი-ვესტ ჰემი | 5:1 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| სუონსი-ჩელსი | 0:0 (2:0) |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| რომა-ინტერი | 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| სევილია-სარაგოსა | 4:0 (0:0) |
| ვალენსია-რეალი | 1:1 (0:2) |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ნიცა-ნანსი | 2:2 პენ. 2:4 |
| მონპელიე-სოშო | 2:2 დ.დ. 2:3 |
| რაონი-ისტრი | 1:0 |
| მო აკადემი-სენტ ეტიენი | 0:0 პენ. 0:1 |
| ვენისიო-ლე პუარი | 0:0 პენ. 1:0 |
| კა ბასტია-ბრესტი | 1:3 |
| მულენი-ბორდო | 1:2 |
| სტად ბორდელე-ლანსი | 0:3 |
| პსჟ-ტულუზა | 3:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. ტრუიდენი-სტ. ნიკლაასი | 5:0 |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-პორტუ | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| არუკა-პენაფიელი | 0:0 |
| ატლეტიკო-გიმარაეში B | 3:1 |
| ბრაგა B-ბელენენსეში | 0:0 |
| მარიტიმუ B-ოლივეირენსე | 0:0 |
| ტროფენსე-ტონდელა | 1:1 |
| ბენფიკა B-ნავალი | 2:2 |
| პორტუ B-პორტიმონენსე | 2:1 |
| კოვილია-სპორტინგი B | 1:2 |
| ფეირენსე-ლეიქსოეში | 2:2 |
| ფრეამუნდე-ავეში | 2:2 |
| სტ. კლარა-უნიაო | 1:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| პლატანიასი-პანათინაიკოსი | 1:0 (1:2) |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 2:0 (1:1) |
| **თურქეთის თასი** | |
| შივასი-1461 ტრაბზონი | 2:1 |
| ფენერბაჰჩე-ბურსა | 3:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| ნეა სალამისი-აპოლონი | 0:1 |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| ალკი-ანორთოსისი | 1:2 დ.დ. (1:1) |
| აპოელ-აელ | 1:3 (2:0) |
| **ისრაელის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:0 დ.დ 1:0 |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| ბრაგანტინო-ლინენსე | 2:2 |
| კორინთიანსი-პონტე პრეტა | 0:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-ცრ. ზვეზდა | 78:59 |
| ბანვითი-ტრიუმფი | 86:79 |
| ბუდიველნიკი-ბუდუჩნოსტი | 75:79 |
| ნიმბურკი-ვეფ რიგა | 80:85 |
| სტელმეტი-სპარტაკი | 69:89 |
| ბილბაო-ვალენსია | 91:76 |
| სევილია-ლოკომოტივი | 80:87 |
| **ევროჩელენჯი** | |
| მინსკი-აალსტი | 87:91 |
| ჰაპოელი (ჰ)-შოლნოკი | 72:77 |
| ტელეკომ ბონი-ოლდენბურგი | 65:82 |

**ხელბურთი**

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები. 1/4 ფინალი** | |
| რუსეთი-სლოვენია | 27:28 |
| ესპანეთი-გერმანია | 28:24 |
| დანია-უნგრეთი | 28:26 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 23:30 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-სიბირი | 3:1 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 4:1 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-აიკ | 1:2 (ბ) |
| მოდო-შელეფტეო | 1:2 |
| ჰვ71-ლულეო | 4:1 |

TV პროგრამა

**24 იანვარი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი. არსენალი-ვესტ ჰემი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ნიურნბერგი-ჰამბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ტვენტე-ვაალვოკი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბაიერნი-ფიურტი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. I ტური. სან პაულუ-მირასოლი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. შალკე-ჰანოვერი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მანჩესტერ იუნ-კლუჟი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ფილადელფია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეტერი-ლენსტერი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. სან ანტონიო სპურსი. დევიდ რობინსონი. II ნაწილი.
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ბრუკლინი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. V ტური. მაკაბი-ოლიმპიაკოსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი 2012. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**11:30** სპორტ-NEWS.
**12:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი 2012. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**14:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა.
**16:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**16:40** სპორტ-NEWS.
**17:10** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ტოტენჰემი-პანათინაიკოსი.
**19:10** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი.
**21:10** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი 2012. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**23:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 6 | 10 | (წვიმა) |
| ბათუმი | 7 | 12 | (წვიმა) |
| ფოთი | 6 | 11 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 10 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 0 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 11 | (მზე) |
| სიღნაღი | -1 | 8 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -4 | 4 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -3 | 5 | (თოვლი) |
| მესტია | -3 | 3 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2218 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6673 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6442 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5155 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ენდი მარეი

# როჯერმა იბრძოლა, ენდიმ გაისეირნა

ქალებს შორის ამერიკული დერბის შემდეგ, ცენტრალურ კორტზე მამაკაცები გამოჩდნენ. პირველები არენაზე გავიდნენ **ჟერემი შარდი** და **ენდი მარეი**. უნდა ითქვას, რომ ფრანგი ბრიტანელისთვის მოსახერხებელი მეტოქე იყო, რადგან ცინცინატის შარშანდელ მასტერსამდე, ენდის ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული ჟერემისთვის, თუმცა ცინცინატიში სწორედ შარდიმ გაიმარჯვა. ამ ტურნირზე მან უკვე მოახდინა ერთი ხმაურიანი სენსაცია, როცა **ხუან-მარტინ დელ პოტრო** გამოთიშა ბრძოლას. ფრანგს ძლიერი მოწოდება და ფორჰენდი აქვს და შეუძლია ნებისმიერისთვის სახიფათო მოწინააღმდეგე იყოს, მაგრამ სტაბილურობა აკლია. ახლაც, ენდის წინააღმდეგ მან ძალიან ცუდად დაიწყო მატჩი და მეტოქეს 4:0 დაწინაურების საშუალება მისცა. შემდეგ, შარდიმ მოწოდება და ფორჰენდი გამოასწორა, ანგარიში შეამცირა და გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ მარეიმ მაინც მოიგო პირველი პარტია.

მეორე სეტში ენდი ისევ დაწინაურდა ორი ბრეიკის სხვაობით და ამჯერად არ მისცა მეტოქეს მიახლოების საშუალება, პარტიის ბოლოს კი მესამედ აიღო შარდის მოწოდება. ფრანგი ცდილობდა აგრესიულად თამაშს, ხშირად მარცხნივ ჩარბოდა ძლიერი მარჯვენა დარტყმის შესასრულებლად, მაგრამ ენდი პოულობდა კონტრშეტევების შესაძლებლობას და დაცვაშიც შესანიშნავად მოქმედებდა. გარდა ამისა, მარეი ახერხებდა მეტოქის რიტმიდან ამოგდებას მოჭრილი და შემოკლებული დარტყმებით, აგრეთვე ბადესთან ხშირი გასვლებით. ბრიტანელმა მთელი მატჩის განმავლობაში ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, მაგრამ, საერთო ჯამში, შესანიშნავად აწვდიდა და კარგად გამოიყურებოდა შეტევაში. ენდიმ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა - 6:4, 6:1, 6:2 და ზედიზედ მეოთხედ გავიდა ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში.

■ ■ ■

ბოლო საგზური ერთმანეთში **როჯერ ფედერერმა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** გაითამაშეს და მაყურებელს სანახაობრივი და დრამატული შეხვედრა აჩუქეს. ხუთსეტიანი და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ, შვეიცარიელი ზედიზედ მეცხრედ გავიდა ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში.

მარეის მსგავსად, ფედერერმაც თავიდანვე აქტიურად მოჰკიდა საქმეს ხელი და ბრეიკით დაწინაურდა - 3:1. და სწორედ ამ დროს, ჟომ გააკეთა ის, რაც როჯერის არც ერთ მეტოქეს არ გაუკეთებია ამ ტურნირზე - ბრეიკი აიღო. მანამდე, შვეიცარიელმა ხუთ მატჩში თავისი 57-ივე გეიმი დაიცვა. თანაფარდობის აღდგენის შემდეგ, ფრანგმა ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, მაგრამ იქ მაინც წააგო სეტი.

მეორე პარტიაში როჯერმა შეცდომებს მოუხშირა, რამაც ცონგას საქმე გაუადვილა. სწორედ მეტოქის უზუსტო დარტყმების შემდეგ, მან მეშვიდე გეიმში ბრეიკი გააკეთა, რამაც გადაწყვიტა კიდეც სეტის ბედი, რადგან შვეიცარიელმა დაკარგული ბრეიკის დაბრუნება ვერ შეძლო. ამის შემდეგ, მესამე სეტში მეტოქეებს ისევ დასჭირდათ ტაი-ბრეიკი და ისევ იღბალი ფედერერის მხარეს იყო, თან ჟოს თამაშმაც დაკარგა სიზუსტე და აგრესიულობა.

მიუხედავად ამისა, მეოთხე სეტი ცონგამ აუჩქარებლად და ცივი გონებით დაიწყო. პირველივე გეიმი თავის მოწოდებაზე „მშრალი“ ანგარიშით მოიგო, მესამეში ბრეიკ-პოინტი მოიგერია, რითაც მეტი დამაჯერებლობა იგრძნო და უფრო ენერგიულად შეუტია ფედერერს. ამან, საბოლოოდ, შედეგი გამოიღო, როცა ჟომ მორიგი ბრეიკი გააკეთა და საჭირო გახდა მეხუთე სეტის ჩატარება.

გადამწყვეტ პარტიაში დაღლილობამ იჩინა თავი, ცონგა პირველ ბურთს იშვიათად აწოდებდა ზუსტად, რაც ფედერერის უპირატესობად იქცა. მეოთხე გეიმში შვეიცარიელმა აიღო მეტოქის მოწოდება და შემდეგ სხვაობა 4:1-მდე გაზარდა. ამ მომენტში ფრანგს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მან იოლად მოიგერია ორი ბრეიკ-პოინტი მეექვსე გეიმში და თითქოს, ეს გარდამტეხი მომენტი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ფედერერმა ყოველგვარი ეჭვი გაფანტა, როცა საკუთარი მოწოდება დაიცვა. 2:5-ზე შეიძლებოდა ყველაფერი როჯერის სასარგებლოდ დასრულებულიყო, მაგრამ ფრანგმა ოთხი სეტბოლი მოიგერია და მესამე ქულა აიღო სეტში. მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდა და თავის მოწოდებაზე როჯერი შეუჩერებელი იყო.

**1/4 ფინალი**

**ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:4, 6:1, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7) 7:6(4), 4:6, 7:6(4), 3:6, 6:3.

**1/2 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-ფერერი (4); მარეი (3)-ფედერერი (2).

# დიდი სენსაცია



ვიქტორია აზარენკა

ოთხშაბათს, ავსტრალიის ღია პირველობაზე სრულად დაკომპლექტდა ნახევარფინალური წყვილები როგორც მამაკაცების, ასევე ქალების ბადეში.

გუშინდელი სათამაშო დღე ბელარუსი **ვიქტორია აზარენკასა** და რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** მატჩით იხსნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის ჩოგბურთელებს 74 სარეიტინგო საფეხური აშორებთ, სპეციალისტები მსოფლიოს პირველ ჩოგანსა და მოქმედ ჩემპიონს რთულ მატჩს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს ჩოგბურთელები აქამდე ათჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და კუზნეცოვას სამჯერ ჰყავდა დამარცხებული ბელარუსი, ოღონდ წინა ათწლეულში.

ამ ტურნირზე რუსს მისთვის სასიამოვნო და უცნაური ტრადიცია ჩამოუყალიბდა - პირველი სეტს ის 6:2-ს იგებდა, მაგრამ ამჯერად, ეს ტრადიცია დაირღვა. ბრძოლა თავიდანვე გაჩაღდა და პირველ ხუთ გეიმს მეტოქეებმა 40 წუთი მოანდომეს. მარათონული გამოვიდა მეოთხე გეიმი, რომელიც 15 წუთი გრძელდებოდა და მსაჯმა 10-ჯერ გამოაცხადა ანგარიში - "თანაბარი". მნიშვნელოვან ქულებზე უკეთ კუზნეცოვა თამაშობდა და მან 4:1 წაიყვანა ანგარიში.

მაგრამ, ამის შემდეგ, ვიქტორია საკუთარ თავს გაუბრაზდა და უფრო მძლავრად და სწრაფად ათამაშდა. მან შეძლო ინიციატივის მოპოვება და თამაშის ტემპის კარნახი. თუმცა ბელარუსი მაინც არასტაბილური იყო და კუზნეცოვას მე-10 გეიმში ჰქონდა სეტის მოგების შანსი - ორჯერ ორი ქულა აშორებდა წარმატებასთან, მაგრამ სეტბოლებამდე მაინც ვერ მიაღწია.

ამასობაში, აზარენკამ კიდევ უფრო გააძლიერა თამაში დაა მოიგო მე-11 გეიმი, რამაც მას სეტზე ჩაწოდების საშუალება მისცა. ბოლოსკენ რუსმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და 5:7 დამარცხდა. სეტი საათზე მეტხანს გაგრძელდა და მას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. სვეტლანამ მეორე პარტიის სტარტზევე ნულზე წააგო თავისი მოწოდება და ამან საფუძველი ჩაუყარა მის განადგურებას. რუსმა პარტია ისე დაასრულა, რომ ვერც ერთი საკუთარი გეიმი ვერ აიღო – 5:7, 1:6.

■ ■ ■

აზარენკამ 12 მატჩამდე გაზარდა ავსტრალიის ღიაზე მოგებათა სერია. ნახევარფინალში მის მეტოქედ ყველა **სერენა უილიამსს** წინასწარმეტყველებდა - არავის ეგონა, რომ სახელოვან ამერიკელს დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა 19 წლის თანამემამულე **სლოუნ სტივენსი**.

მათი ერთადერთი შეხვედრა მელბურნამდე ცოტა ხნით ადრე - ბრისბენის ტურნირზე გაიმართა და ის საკმაოდ რთული აღმოჩნდა სერენასთვის. სტივენსმა კარგად დაიწყო მატჩი და საკუთარ მოწოდებაზე ზედიზედ 12 ქულა აიღო, თან მეტოქის გეიმებზეც იბრძოდა. სერენას მოწოდება ბოლომდე კარგად არ მუშაობდა და თან უკანა ხაზზე ჩვეულზე მეტ შეცდომას უშვებდა. მიუხედავად ამისა, გამოცდილმა ამერიკელმა საჭირო მომენტში მოუმატა და ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი სეტზეც ჩააწოდა.

უილიამსმა მოახერხა ზედიზედ ხუთი გეიმის აღება და 6:3, 2:0 დაწინაურდა. იმ მომენტში ყველას ეგონა, რომ არცთუ ისე კარგად მოთამაშე სერენა გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მიიყვანდა საქმეს ბოლომდე, მაგრამ ამას სტივენსი არ ეთანხმებოდა. ის უფრო აქტიური გახდა, ხშირად დაიწყო ბადესთან გასვლა და ხუთი-ექვსი გეიმის განმავლობაში, უბრალოდ, ბრწყინვალე თამაში აჩვენა. რა თქმა უნდა, ამას სერენაც უწყობდა ხელს, რომელიც აშკარად ვერ ავლენდა თავის მაქსიმუმს. მთლიანად მატჩის გადამწყვეტი მომენტი გახდა მერვე გეიმი. უილიამსი "მოკლე" ბურთს გაეკიდა, ჰაერში ითამაშა და თან დამუხრუჭებამ მოუწია, რათა ბადეს არ შეჯახებოდა.

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ტკივილისგან დაიყვირა. მოგვიანებით, სერენამ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ გრძნობდა ტკივილს ზურგის არეში და ამ დარტყმის შემდეგ, ეს შეგრძნება დაბრუნდა. უილიამსმა წააგო მოწოდება, მაგრამ მაშინვე დაიბრუნა ბრეიკი, შემდეგ კი ექიმი გამოიძახა და კორტი დატოვა. პაუზის შემდეგ, სერენას მოწოდება უფრო მეტად შესუსტდა და სტივენსმა ამისგან მაქსიმალური სარგებელი ნახა. მას უკვე აღარ ეშინოდა თავისი მეტოქის და თამამ დარტყმებს ასრულებდა.

მძიმე მდგომარეობისა და ცუდი თამაშის მიუხედავად, უილიამსმა პირველმა გააკეთა ბრეიკი გადამწყვეტ სეტში და 4:3 დაწინაურდა, თუმცა ეს მისი ბოლო წარმატება აღმოჩნდა. სლოუნმა შეძლო მომატება და კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - 3:6, 7:5, 6:4. სერენა კარიერაში პირველად დამარცხდა მასზე ახალგაზრდა ამერიკელთან, სტივენსი კი ვენუსსა და სერენას თუ არ ჩავთვლით, აშშ-ის პირველი წარმომადგენელი გახდა 2005 წლის უიმბლდონის შემდეგ, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში გავიდა.

**1/4 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 7:5, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 29)**-სერენა უილიამსი (აშშ, 3) 3:6, 7:5, 6:4.

**1/2 ფინალი**

აზარენკა (1)-სტივენსი (29); ნა ლი (6)-შარაპოვა (2).



# სარეკორდო ჯარიმა სერენასთვის

**სერენა უილიამსს** თითქოს მეოთხედფინალში **სლოუნ სტივენსთან** წაგება არ ეყოფოდა, რომ ის მატჩის შემდეგ 1500 დოლარით დასაჯეს თამაშის მსვლელობისას ჩოგნის გატეხვისთვის. ეს არის ქალებისთვის ყველაზე დიდი ფულადი ჯარიმა ავსტრალიის ღია პირველობაზე.

ინციდენტი მესამე სეტში მოხდა. ერთ-ერთი გათამაშების წაგებით განაწყენებულმა უილიამსმა ორჯერ მთელი ძალით დაახეთქა ჩოგანი კორტზე, რის გამოც მისი სათამაშო ინსტრუმენტი გამოუსადეგარი გახდა. მატჩის შემდეგ, კითხვაზე - რა გრძნობა დაეუფლა ჩოგნის დამსხვრევის შემდეგ, უილიამსმა უპასუხა, რომ ამან ის გაახარა...

# ბარტოლი საფრანგეთს გამოადგება

მსოფლიოს მე-11 ჩოგანი **მარიონ ბარტოლი**, როგორც იქნა, საფრანგეთის ნაკრებს დაუბრუნდა, - ამის შესახებ წერს ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა „ეკიპი“.

ვარაუდობენ, რომ ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ, ბარტოლი ფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების ღირსებას დაიცავს. 28 წლის ჩოგბურთელი მეორე დივიზიონის პირველ წრეში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. შეხვედრა 9-10 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში გაიმართება.

ბარტოლის ნაკრებში დაბრუნება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ამჟამად, საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის **ამელი მორესმოს** წყალობით მოხდა. მან შეძლო ჩოგბურთელთან უთანხმოების მოგვარება. შეგახსენებთ, რომ მარიონს საფრანგეთის ნაკრებში ყოფნისას სხვა ჩოგბურთელებისგან განცალკევებით, თავის გუნდთან ერთად ვარჯიში სურდა. სწორედ ეს იყო კონფლიქტის მიზეზი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოძვეყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608